გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№12 (768) 4 – 5 თებერვალი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი

ექსკლუზიური ინტერვიუ ალან ხადარცევთან

„ახალგორის ლუდის ქარხნიდან ერთი „ბოლტიც“ არ დაკარგულა! ვიცი, „ლომისი“ დღემდე მუშაობს, მაგრამ ჩემი არ არის და რა უფლება მქონდა, სადმე გადამეტანა?!“

„თქვენ, ქართველებს, განვითარების მეტი შანსი და რესურსი გაქვთ. ჩვენი რესპუბლიკა კი, მხოლოდ ერთი სუბიექტია რუსეთის ფედერაციაში. ქართველებმა და ოსებმა ერთმანეთს მეგობრულად უნდა ჩამოვართვათ ხელი...“

გვ. 5

ივანიშვილმა ალასანიას ოპოზიციაში გადასვლა დაავალა?!

გვ. 3

დავით საგანელიძე „ოცნების“ აქტივისტებს აფრთხილებს

„თუ გაინტერესებთ, გეტყვით: სანოძის ცის ქმარი ბესო სურმავაა, რომელიც გაიყიდა! ეტყობა, მათ ასეთი ოჯახი აქვთ და გასაგებია, როგორც ერთია შემოგზავნილ-დავერბოვკებული, ისე — მეორე. სიძე-ცოლისძმა აშკარად, ერთ სიტუაციაშია!“

გვ. 8

სოსო მანჯავიძე „რესპუბლიკელებს“ „ნაციონალებთან“ გენეტიკურ ნათესაობაში ამხელს

გვ. 7

რატომ ჩაიშალა გიგი უგულავასა და ირაკლი ალასანიას შეხვედრა პარიზში

ვის და რატომ ხვდება უგულავას მეუღლე და რა კავშირი აქვს ელა კილაძეს პირთან, რომელმაც პრემიერ-მინისტრის დაცვის წევრი სცემა?!

გვ. 9

რას ფიქრობს გიორგი გუგავა „ლაიბორისტებიდან“ ახლახან წასულებზე



გვ. 4

დიცო ველოვანი

თეატრალური კვარტერონი

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

შს მინისტრის მოადგილემ ათას ადამიანს საააკაშვილის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე მისვლა აუკრძალა?!

გვ. 10

„გიორგი ბარამიძის „ვენოკს“ დაველოდოთ და გოგორიშვილის სამასლოლარიან თაიგულს მივუძღვნათ“

გვ. 9

თეატრალური კვარტერონი

დიტო გელოვანი

სასტავი — თანამედროვე ახალგაზრდული ჟარგონის ერთ-ერთი მთავარი ცნებათაგანი. ნიშნავს საერთო ინტერესებით მცხოვრები, ერთმანეთთან კარგად შეგუებული ახალგაზრდების ჯგუფს, გაერთიანებას, წრეს. მომდინარეობს რუსული სიტყვიდან состав - შემადგენლობა. „ყველა ახალგაზრდის ცხოვრებაში, ალბათ სასტავს პირველი ადგილი უკავია. ეს მეგობრების წრეა (...). სასტავი, უბრალოდ, ერთი ჯგუფია, ჯგუფი, რომელიც ერთ გარემოში ტრიალებს, ტრიალებს იმიტომ, რომ ასე სიამოვნებს ან ასე სჩვევია". (ქეთი ბაქრაძე); „სასტავი — ეს სიტყვა ჩვეთან რაღაც ბირთვის, გაერთიანების გამომხატველია" (ბექა მოლაშვილი)... „ნუ, მოკლედ, წუხელ მაგარ სასტავში გავეძრე" (ნინო თარხნიშვილი); „კაი სასტავშია მომჯდარი" (აკა მორჩილაძე)

(ლევან ბრეგაძე, „ქართული ჟარგონის ლექსიკონი")

ვინ სად ეძრობა და სად უნდა იყოს გარჭობილი, ვინ სად უნდა იჯდეს და სად არის მომჯდარი, სადღაც თეთრი გედი მღერის, სადღაც თეთრი რაში მიქრის და ჩვენ რა დავაშავეთ, ყველა ყვავმა და ვირმა აქ რომ მოიყარა თავი, რომ ჩასასტავდნენ, მიდგნენ-მოდგნენ, ყველა შეაწუხეს, დაეკიდნენ გრენლანდიასავით და ყველაფერი დაიკიდეს, ყელი მოიღერეს, ხმა ამოუშვეს და ყველა გააჩუმეს. როდესაც ქვემეხი ქუხს, მუზები დუმან. როდესაც მუზები დუმან, სცენაზე გამოდიან მამუკა ახვლედიანი და გიგი უგულავა. ისინი უკრავენ, თეატრალური კვარტეტი კინტოურს ცეკვავს. ქართულს ვერ იცეკვებენ, სისხლი არ ეყოფათ და ვერც ხანჯლურს იცეკვებენ, რადგან ხანჯალს ცოცხი ამჯობინეს.

„ეს მთავრობა ისეთია, რომ ჩვენ ვერ დაველოდებით 4 წელიწადს. როგორც კი დავბრუნდებით, ყველაფერს აღვადგენთ დაახლოებით 6 თვეში. ვისაც კომპიუტერული თამაშები უთამაშია, იცის, რომ პირველად არის თამაში ძნელი, თორემ მეორედ უკვე ადვილად გადიხარ", — უთქვამს ვანო მერაბიშვილს თავის სასტავში და სასტავი რა აზრის იყო, არ ვიცი, მაგრამ ჩემს აზრს კი ახლავე მოკლედ მოგახსენებთ.

პირველად იყო ძნელი სააკაშვილისთვის პანღურის ამორტყმა, თორემ მეორედ უკვე ისეთი იოლია, მამაპაპურ პანღურს კაი ლაზათიან წიხლსაც მიაყოლებ, პირდაპირ კუდუსუნში და გინაც — კუკუზნაკში, თუ იმ დროისთვის, კუდუსუნებს ცოცხებით არ დაიფარავენ.

დრო გავა, დრო მოვა და იქნებ სწორედ ახლა არის დრო, რომ გავიხსენოთ და დავუფიქრდეთ, როგორ იქცნენ ვარდები ცოცხებად და როგორ გადაიქცა თეთრ რაშზე ამხედრებული პრინცი ვირზე უკუღმა შემომჯდარ კინტოდ.

გია ცაგარეიშვილის მიერ მოყოლილი ერთი ეპიზოდი კინტოს ცხოვრებიდან, ჩაწერილი „ინტერპრესნიუსის" მიერ: „პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე ბებიასთან, მზია წერეთელთან ერთად იმყოფებოდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა აცნობა, რომლის ინფორმაციით, მზია წერეთელი შვილიშვილთან ერთად, სტრასბურგში მოწყობილ გამოფენაზე იხილეს. ცაგარეიშვილი სააკაშვილს მიმართავს კითხვით — აპირებს თუ არა ის საქართველოს პარლამენტშიც ბებიასთან ერთად მისვლას?"

ჰო, ეგ მეც მაინტერესებს, თუმცა ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ მზია ბებოს პარლამენტში ნამდვილად ვერ ვიხილავთ, რადგან პარლამენტი ქუთაისშია და არა სტრასბურგში. რამდენიმე დღეც და, სააკაშვილი პარლამენტში მივა. გაახსენდება, როგორ წავიდა პირველად სკოლაში, როგორ მიიყვანეს დედამ, ბებიამ და დიდმა ბებიამ, როგორ ტიროდა, როცა მარტო დარჩა და როგორ ტიროდა, როდესაც პირველი პანღური მოხვდა. შემდეგ, შეეჩვია მარტო დარჩენას და პანღურებსაც მიეჩვია. მიეჩვია დიდ დასვენებაზე ბებიამისის მიერ გამოტანებული კოტლეტის ჭამას და მას შემდეგ მხოლოდ ბებიამისისას მიირთმევს.

„როდესაც ლაპარაკობენ, ჩვენ რა შუაში ვართ, ამნისტიამ გაუშვაო, ბოდიშს ვიხდი, ბებიაჩემი მზია ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ამნისტიას და ახლაც, რომ დავურეკო, წინააღმდეგი იქნება", — თქვა გასულ კვირაში სააკაშვილმა და გაიფიქრა: „დავალევინე მაჭარი..."

სანამ ის მაჭარს სვამს და ეს ბოროტად ხითხითებს, გავიხსენოთ ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში, რადგან ის რაც ხდებოდა წინა კვირაში, არ ხდება ყოველ კვირას, ხოლო ის — პანღურები, მაჭარი და მზია ბებიას ძღვენი საყვარელი შვილიშვილისთვის ყოველ კვირას კი არა და, ყოველდღე ხდებოდა და კიდევ ბევრჯერ მოხდება.

მართლაცდა, სულაც არ ხდება ყოველ კვირას, რომ კეზერაშვილს ბრალი წაუყენონ, უგულავა დაკითხვაზე დაიბარონ, ლეიბორისტული პარტიის სახეებმა დატოვონ ლეიბორისტული პარტიის თავი, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ცემოს ჭიდაობის ფედერაციისავე ვიცე-პრეზიდენტი, ახლადარჩეულმა პარლამენტმა ვადაგასული პრეზიდენტის უკანასკნელი სიტყვის მოსასმენად გამოყოს დრო და მიხეილ ქარელმა გაავრცელოს განცხადება, რომელშიც არც ერთი გრამატიკული შეცდომა არ არის დაშვებული. ამ ოც წელიწადში, გასულ კვირაში პირველად მოხდა ის, რომ გია ბარამიძემ აღიარა საკუთარი კვერცხობა და ამ 25 წელიწადში პირველად გავიგე, რომ ამირან ძოწენიძემ ვიღაც ცემა.

როგორ ფიქრობთ, ვინ უფრო მეტ სიმპათიას იმსახურებს — კაცი, რომელიც ჩასაძირად განწირულ გემზე ადის თუ გასუქებული ვირთხა, რომელიც ამ გემს სასწრაფო წესით ტოვებს? რა თქმა უნდა — პირველი, ეს ზოგადად, თორემ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე ცოტათი რთულად არის. ჩასაძირად განწირული გემი ნაციონალური მოძრაობაა, მასზე ასული კაცი — ამირან ძოწენიძე, ხოლო ის ვიღაც, ვინც ძოწენიძემ ცემა, მთლი 10 წელი სააკაშვილის პურ-მარილის ნარჩენებზე იყო წამოპლაკული, ახლა კი ივანიშვილის პურ-მარილის ნარჩენებზე აპირებს წამოპლაკვას.

საქმე რთულად არის, მაგრამ ჩემთვის მარტივია — ძოწენიძეს 25 წელია ვიცნობ. არ მიცემიაო... ვაგინეო... თუ რამეში ზუსტად ვარ დარწმუნებული, არის ის, რომ საცემიც იქნებოდა და საგინებელიც. 25 წელია, რაც ამირან ძოწენიძეს ვიცნობ, მაგის ნათქვამი ტყუილი არ გამიგია, მაგრამ ახლა იმედს ვიტოვებ, რომ იტყუება. მინდა, რომ ეცემა, რადგან ჩასაძირად განწირული გემიდან გაქცეული ვირთხები ისევე იმსახურებენ პანღურს, როგორც ის კინტოები, კუდუსუნებს ცოცხებით რომ იფარავენ.

გიგი უგულავა... „ჩემთვის გაუგებარია საერთოდ, ასე გვიან რატომ მოვიდა უწყება. ჯერ სამსახურში მოუტანიათ უწყება, დამირეკა დედაჩემმაც, სახლშიც მისულან. მინდა, ვუთხრა მათ, რომ ხვალინდელი დღე მე მაქვს გაწერილი, ამიტომ ხვალ, 16:00 საათზე ველოდები გამომძიებელს, პაატა მამულაშვილს. მერიის მისაღებში მას ჩემი თანამშრომლები დახვდებიან, მივიღებ და გავცემ ნებისმიერ კითხვაზე პასუხს. თუ გამოძიებას ეს დრო არ აწყობს, მე ზეგ მივემგზავრები პრეზიდენტთან ერთად კონფერენციაზე და დაბრუნებისთანავე შევჯერდებით მომდევნო ურთიერთობის ფორმაზე. თუ ვინმეს ილუზია შეექმნა, რომ მე მივდივარ და აღარ დავბრუნდები, მინდა, ვუთხრა მათ, რომ ამ სიამოვნებას ივანიშვილს, კბილაშვილს, წულუკიანს და ა.შ არ მივანიჭებ", — განაცხადა გიგი უგულავამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და უსაქმურებზე სასაუბროდ პროკურატურაში დაიბარეს.

მერე აღარ ვიცი, რა მოხდა, წავიდა თუ არა კონფერენციაზე სააკაშვილსა და ბებიამისთან ერთად. არც ის ვიცი, ერთხელაც რომ იქნება და რომ წავა, დაბრუნდება თუ არა უკან. ყოველ შემთხვევაში, უკვე ცნობილია, რომ შეხვდა და ესაუბრა გამომძიებელს და რომ შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. „ლირიული გადახვევებიც იყო", — თქვა უგულავამ და ეგრევე ის გამახსენდა, კამერული მუსიკა გეყვარება და აგერ მაქვს შენთვის პირველი კამერაო.

ეგ დღეც დადგება, ეგ არის ჩემი ქართული ოცნება, თორემ თეატრალურ კვარტეტს, პარლამენტარ ყეენიშვილს და პოლიტპატიმარ ჩახალიანს რა თავში ვიხლი? განსაკუთრებით, ამ თეატრალური კვარტეტის ამბავია საინტერესო, აი, კომენტარი რომ არის ზედმეტი და ერთი კაი ჭიტლაყი მადლი რომ იქნებოდა. ჩემი და თქვენი კომენტარები — ერთია, ხალხის (განსაკუთრებით — კახელების) შეფასება — მეორე, მაგრამ ხანდახან ისეა, რომ, ერთ დროს დოკუმენტური ფილმების ციკლი რომ იყო — „კინო მოგვითხრობს თავის თავზე" — ისე იყო გასულ კვირაშიც: მამუკა ახვლედიანი მოგვითხრობს თავის თავზე. ეს მონათხრობი ჩემმა მეგობარმა სააგენტომ ჩაიწერა და გაავრცელა კიდეც:

„საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, მამუკა ახვლედიანის განცხადებით, „თეატრალურ კვარტეტს" შპს „თბილსერვისში" რეკომენდაცია თავად გაუწია, — ამის შესახებ მამუკა ახვლედიანმა დღეს საკრებულოში ჟურნალისტებს განუცხადა.

„ისინი ჩემი მეგობრები არიან და ეს იყო პერიოდი, როდესაც ისინი ასპარეზზე გამოსვლას იწყებდნენ. მე შევთავაზე მათ და რეკომენდაცია გავუწიე დასუფთავების სამსახურში. შევთავაზე, ხელსაყრელი სამუშაო გრაფიკი ჰქონოდათ. ეს ის პერიოდია, როდესაც აქტიურად უნდა გაგვეწია პროპაგანდა დასუფთავების სამსახურის მუშაობისთვის და იმართებოდა გარკვეული ღონისძიებები და აქციები, რომლებშიც „თეატრალური კვარტეტი" მონაწილეობდა. თეატრალური კვარტეტის წევრებმაც ანაზღაურება სწორედ ამ მიზნით მიიღეს. თუ ეს არის დანაშაული, საზოგადოებამ უნდა განსაჯოს და მზად ვართ, ამისათვის პასუხი ვაგოთ", — აღნიშნა მამუკა ახვლედიანმა".

პასუხსაც აგებ და ლენინზე ლექსებსაც იტყვი, მაგრამ ყველაზე სასაცილო ის არის, თან იმას რომ ამბობს, დასუფთავების სამსახურისთვის უნდა გაგვეწია პროპაგანდაო და თან ისე გამოდის, რომ თეატრალურ კვარტეტს იქით სჭირდებოდა რეკლამა და სიყვარული.

რავი... სისუფთავეს თუ პროპაგანდა სჭირდება და... არა, ისე მართლა სჭირდება, სამწუხაროდ, მაგრამ ცეკვა-თამაშითა და ტინგიცით, ფონოგრამითა და ლაზღანდარობით ასეთი საქმეები არ კეთდება. რაც შეეხება თეატრალურ კვარტეტს, თუ პოპულარობა უნდა, ამისთვის არსებობს „საქართველოს ვარსკვლავი" და „ახალი ხმა" ტელევიზიებში, „დუბლინი" და „ბუფალო" პეროვსკაიაზე და, ბოლო-ბოლო, ამ ქალაქში უამრავი მიწისქვეშა გადასასვლელია. რაღა ნაგვის ბუნკერიდან იწყებთ კარიერას, თქვე ჩემისებო?!

მაგარი რაღაც — როგორც ირკვევა, „თბილსერვისში" „თეატრალური კვარტეტის" წევრები ალპინისტ-დამგველებად იყვნენ გაფორმებულნი... ამაშია საქმე — თუ ეგ მომღერალ-ალპინისტ-დამგველები იმ ბუნკერიდან ამოძრომას მაინც მოახერხებენ, ქართველებს არც ტვინი გვქონია და არც მეხსიერება, თუმცა... აგერ, სულ არ აქვს ნიკა ლომიძეს პრეტენზია ალპინისტობაზე, მაგრამ ისეთი ქაქიდან ამოძვრა, წესიერი კაცი რომ არ ჩავარდება და თუ მაინც ჩავარდება, იქიდან ამოსვლას, ისევ დახრჩობას არჩევს.

როგორც ჩანს, საქართველოს ლეიბორისტული პარტია არსებობას სწორედ ნაგვის ბუნკერში დაასრულებს. ყველაფერი მაქეთ მიდის და გზაც იქით ჰქონიათ. გასულ კვირაში შალვა ნათელაშვილი ყველანაირი კიდურების გარეშე დარჩა, კი იძახის, მაგრად მკიდიაო, მაგრამ მახსოვს, რომ ოსტაპ ბენდერმა კვალიფიკაცია შეიცვალა და სახლმმართველი გახდა. გული მიგრძნობს, შალვა ნათელაშვილიც გამოიცვლის პროფესიას და დაწყებით კლასებში ინგლისურის სწავლებას მიყოფს ხელს.

და შატბერაშვილი? ძაგანია? ჯიბლაძე? გუგავა?..

„ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მიმდინარეობდა და, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება მოღალატე, დამღუპველი პოლიტიკოსების ნაციონალური მოძრაობის მხრიდან გამოყენება. ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური კომიტეტის უმრავლესობა ერთგული, მებრძოლი აქტივისტის პატივისცემის მიუხედავად, ვემიჯნებით პარტიის თავმჯდომარეს და ვტოვებთ პარტიის რიგებს. ამასთანავე, ვაცხადებთ, რომ ვაგრძელებთ ბრძოლას, ვქმნით ახალ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიას და ვრჩებით ჩვენი პოლიტიკური პრინციპების ერთგულნი", — აღნიშნულია ექსლეიბორალისტების განცხადებაში.

ანუ — შოუ მასთ გოუ ონ!!!

„მთავარი პროკურატურა „თბილსერვის ჯგუფში" ფორმალურად დასაქმებული არც ერთი თანამშრომლის პასუხისგებაში მიცემის საკითხს არ განიხილავს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" მთავარმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა განუცხადა.

აქაც იგივეს ვიტყვი — შოუ მასთ გოუ ონ!!!

შპს „თბილსერვის ჯგუფის" თანამშრომლების დაკითხვა აღვირახსნილი პოლიტიკური დევნაა, — ამის შესახებ, გუშინ საღამოს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე თბილისის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა. მისი შეფასებით, გამოძიების მიხედვით, დანაშაული ნაციონალური მოძრაობის წევრობა და აქტივისტობაა: „700 ადამიანის დასაქმება შევძელით და მეტს შევძლებთ".

გული ამიჩუყდა... იმ მეტროს სადგურს სახელი ხომ არ გადავარქვათ და „300 არაგველის" ნაცვლად, „700 ადამიანი" დავარქვათ? „სამი მუშკეტერის" პონტში ჩვენც ხომ არ შევქმნათ რამე, მაგალითად „ოთხი ალპინისტ-დამგველი"?! და იქნებ ნიკა ლომიძისთვის ახლავე მოვზომოთ ადგილი დიდუბის პანთეონში! რაღაც, მაქეთ მიდის საქმე, ეგეთი დვიჟენიებია. ხალხი უნდა იცნობდეს თავის გმირებს და ერთი გმირის განცხადების ერთ ნაწყვეტს აქვე შემოგთავაზებთ.

„დღევანდელი ვითარება საქართველოში მნიშვნელოვნად დადებით ატმოსფეროს ქმნის და შესაბამისად, ეს განცდა 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად დაბრუნებული სამართლიანობის, ღირსების, ურთიერთპატივისცემისა და პატრიოტიზმის შედეგია, რომელიც სააკაშვილის, ოქრუაშვილის, ადეიშვილის, მერაბიშვილის, ახალაიების და სხვათა მსგავსთა მიერ შექმნილი რეჟიმით იქნა სრულიად იგნორირებული"...

ბარემ, მეორე ნაწყვეტიც: „ამ რეჟიმს, ძალიან ბევრ ადამიანთან ერთად, პირდაპირ თუ ირიბად, მეც ვუჭერდი მხარს და მისი პოლიტიკის გამტარებელიც ვიყავი, თუმცა რეჟიმის იდეოლოგი და ბრმად მხარდამჭერი არასოდეს ვყოფილვარ, მიმაჩნდა რა, რომ ქვეყანა „ვარდების რევოლუციის" შემდგომ სწორ კურსს ადგა, ვიდრე სააკაშვილის მანიაკალურმა და ავტორიტარულმა მისწრაფებებმა ფრთები არ გაშალა. ამიტომაც მივიღე გადაწყვეტილება, ამ რეჟიმის წინააღმდეგ მემოქმედა ჩემს მეგობრებსა და თანამებრძოლებთან ერთად, რაც დასაწყისშივე ძალიან ძვირი დაგვიჯდა".

რომ არ ვიცოდე, ვინ არის ამ სიტყვების ავტორი, ვიფიქრებდი, ექვთიმე თაყაიშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამარიდან გველაპარაკებიან-მეთქი.

მიხეილ ქარელი... განბაჟუიწე ი უხაძიწე... კიდევ ერთი პოლიტდევნილი, მსხვერპლი რეჟიმისა... მაგრამ სააკაშვილის რეჟიმის ერთი მსხვერპლი მართლა მახსენდება — 6 წლის გორელი ბავშვი, საბავშვო ბაღში საახალწლო ზეიმზე ამაყად რომ ამბობდა მშობლისა თუ მასწავლებლის შექმნილ ნაწარმოებს „ოდა მიხეილ ქარელს". შესაძლოა, სადმე ახლაც აგდია ინტერნეტში და აუცილებლად მოვნახავ, მაგრამ ინტერნეტი ინტერნეტია და მეხსიერებაც ხომ არსებობს? ჰოდა, მახსოვს იმ ბავშვის გაბრწყინებული თვალები, მახსოვს სტრიქონები და მათი დედაზარი — მადლობა ძია მიშა ქარელს, ბავშვობას რომ გვილამაზებსო; ეგ რომ არ ყოფილიყო, დედა აღარ გვეყოლებოდაო და ა.შ.

რა არის მაინც ეს დალოცვილი მეხსიერება!.. ისეთი რამეები მახსოვს და ისეთი რამეები ვიცი!.. მაგრამ ცოდნა არ არის მთავარი, მთავარი გაგებაა. არც მოსმენაა მთავარი, მთავარი გაგებაა.

გავიგე, წავედი!

ა.ა. (არ აგვერიოს) რამსები არ აგერიოს — არაფერი შეგეშალოს. „პირი დავიბანე და მეთქი, მამუკ, არ აგერიოს რამსები, ახლა უნდა გაიგო ყველაფერი" (აკა მორჩილაძე)

(ლევან ბრეგაძე, „ქართული ჟარგონის ლექსიკონი")

რუსუდან შელია
პოლიტიკა

თბილისის მერი გიგი უგულავა, „თბილსერვის ჯგუფში“ ნაციონალური მოძრაობის 764 აქტივისტის ფიქტიურად დასაქმების საქმესთან დაკავშირებით, პროკურატურამ უკვე დაკითხა, თუმცა ჯერ უცნობია, რა შედეგით დასრულდება გამოძიება და დააკავებენ თუ არა თბილისის მერს. ამ თემაზე საუბრისას, ექსპერტი კახი კახიშვილი „ვერსიას“ ე.წ. მერიის საარჩევნო ქსელს უშიფრავს.

ივანიშვილმა ალასანიას ოპოზიციაში გადასვლა დაავალა?!

კახი კახიშვილის სკანდალური ანალიზი

— მერიაში შექმნილი სქემა კარგად ასახავს „ნაციონალების“ ხელწერას, როგორ ასაქმებდნენ პარტიის აქტივისტებს, თან — ჩვენს მიერ გადახდილი ფულით. თბილისის ათ რაიონად დაყოფაც ამ მიზანს ემსახურება — სიტუაცია ბოლომდე რომ არ გაექცეთ, აქტივისტების შენარჩუნებას გაბერილ შტატებზე დასაქმებით ცდილობენ. საერთოდ, „ნაციონალებს“ მხოლოდ ფინანსურად დაინტერესებული მხარდამჭერები ჰყავთ, ახლა კი, თანხები რთულად მოსაზიდია — არ მგონია, ბიზნესმენმა, საკუთარი ინიციატივით, ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზე თანხა ჩარიცხოს, მათ კი, პირადი თანხებით აქტივისტების შენახვის სურვილი არ აქვთ. ერთი სიტყვით, პარტია სრულ ჩიხშია.

— აღნიშნულ საქმეზე გიგი უგულავას დაკითხვა პოლიტიკურ ჭრილში უნდა განვიხილოთ — მერის შესაძლო დაკავებით, ნაციონალურ მოძრაობას ხომ მნიშვნელოვანი საყრდენი გამოეცლება?

— გიგი უგულავა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა და სერიოზული თანამდებობის პირია. ერთი მხრივ, „ნაციონალებმა“ ხელისუფლების მიერ სამართლიანობის აღდგენის პროცესი პოლიტიკურ პრობლემად გადააქციეს. მეორე მხრივ, ხელისუფლებაც პრობლემის წინაშე დგას, რადგან ყოფილი მაღალჩინოსნების პასუხისგებაში მიცემისას სერიოზული შეცდომა დაუშვა ან დააშვებინეს. კალანდაძის, გუნავასა და გვარამიას დაკავება ხელისუფლების შეცდომად უნდა ჩავთვალოთ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკურ კულისებში რაღაც ძალა მოქმედებს?

— გამორიცხული არაა, ის კადრები, რომლებიც წლების განმავლობაში ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში წამყვან თანამდებობებზე მუშაობდნენ და თანამდებობებს, რატომღაც, დღესაც ინარჩუნებენ, „ოცნების“ ზოგიერთი გამოუცდელი წარმომადგენლის შეცდომაში შეყვანას განზრახ ცდილობდეს. ფაქტია, ნაციონალურ მოძრაობას საჯარო სექტორში საყრდენი ძალა ჯერ კიდევ ჰყავს, რომლის დახმარებითაც სამართლის აღდგენის დისკრედიტაცია შეძლო და მთელი აქცენტი პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანა. აღარაფერს ვამბობ საერთაშორისო ასპარეზზე ნაციონალური მოძრაობის მუშაობაზე — „ნაციონალები“ დასავლეთში აზრის ფორმირებას სწორედ იმ კითხვის ნიშნებით ახერხებენ, რომლებიც ხელისუფლებამ გარკვეულ საქმეებში დატოვა.

— გიგი უგულავა, საქმის აღძვრამდე რამდენიმე დღით ადრე, ხელისუფლების წინააღმდეგ საკმაოდ მწვავე განცხადებით გამოვიდა. ესეც წინასწარ დაგეგმილი პოლიტიკური სკანდალის ჭრილში უნდა განვიხილოთ თუ უგულავამ, უბრალოდ, ხელისუფლების გამოწვევა სცადა?

— ზოგადად, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას ბოლომდე იწვევს და ყველანაირად ცდილობს, პროკურატურას რაც შეიძლება მეტი ყოფილი თანამდებობის პირი დააბარებინოს. მათ დაჭერის შიში, რა თქმა უნდა, არ აქვთ, რადგან პროკურატურამ რამდენი ყოფილი ჩინოვნიკიც უნდა დაიჭიროს, სასამართლო, რომელიც „ნაციონალების“ ხელშია, ყველას გაათავისუფლებს. დღეს ხელისუფლება უფრო რთულ ვითარებაშია: სასამართლო ოპონენტია და არა — არბიტრი, და ასეთ დროს კონკრეტული ადამიანისთვის ბრალეულობის დამტკიცება რთულია.

— მაინც, ვის ინტერესშია გიგი უგულავას დაკავება — ხელისუფლების თუ ნაციონალური მოძრაობის?

— გიგი უგულავას დაკავება წმინდა წყლის პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილება იქნება, რადგან დიდი ხანია, პროცესი პოლიტიზირებულია, მით უმეტეს, გიგი უგულავა ერთ-ერთი ძირითადი სახეა, რომელიც ძველ ხელისუფლებასთან ასოცირდება. ამის მიუხედავად, არ გამოვრიცხავ, უგულავა დააკავონ და შემდგომში, მისი თანამდებობრივი საქმიანობის შეჩერებაც მოითხოვონ. მიკერძოებული სასამართლოს პირობებში, უგულავა წინასწარი დაკავების იზოლატორში, შესაძლოა, მხოლოდ სამი დღით ვიხილოთ. ვვარაუდობ, გიგი უგულავას საქმის გარდა, სასამართლო საკმაოდ ბევრ გახმაურებულ საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანას გეგმავს, ამიტომ აუცილებელია თითოეული ნაბიჯის გათვლა, რათა სასამართლოს არ მიეცეს საშუალება, პროკურატურის მხრიდან არგუმენტაციის ნაკლებობის გამო, მისთვის სასურველი გადაწყვეტილება გამოიტანოს.

— ნიშანდობლივია, რომ პროკურორი და გამომძიებელი თავად მიდიან თბილისის მერიაში უგულავას დასაკითხად, რადგან ამ უკანასკნელმა პროკურატურაში მისვლაზე უარი განაცხადა. პროკურატურის მხრიდან დათმობაზე წასვლა რით აიხსნება?

— გიგი უგულავამ ბოლომდე გამოიწვია პროკურატურა და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ იგივეს ზურა ადეიშვილს ვერ გაუბედავდა. უგულავა პროკურატურაში რომ არ მისულიყო, მისი იძულებით დაკითხვის გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ, რაც მორიგი სკანდალის საფუძველი გახდებოდა, ამიტომაც, შესაძლებელია, პროკურატურამ ეს ნაბიჯი იმ მიზეზით გადადგა, რომ მისვლა-არმისვლის გარჩევით, ნაციონალური მოძრაობისთვის პოლიტიკური განცხადებების კეთების საფუძველი არ მიეცა.

— საერთოდ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გიგი უგულავას ირგვლივ არსებული ვითარება, ცეზარ ჩოჩელისა და დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმეების ფონზე, მიხეილ სააკაშვილის იზოლაციაში მოქცევას ემსახურება?

— არ ვფიქრობ, ყველაფერი ეს მიშასთვის საყრდენის გამოსაცლელად კეთდება. უბრალოდ, შესაძლოა, სააკაშვილს გაფრთხილების სიგნალს უგზავნიან, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც წარმოუდგენია. საერთოდ, „ქართული ოცნების“ სურვილი რომ ყოფილიყო, მიშა დღეს პრეზიდენტი არ იქნებოდა, მით უმეტეს, კოალიციის წარმომადგენლები ამტკიცებენ, მათთვის საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება პრობლემა არაა. მარტივად შეიძლებოდა, ცვლილებების პაკეტში სიტყვა „ოქტომბერი“ ამოვარდნილიყო, რის შემდეგაც საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნაც შესაძლებელი გახდებოდა. როგორც ჩანს, ოქტომბრამდე მიშას პრეზიდენტად ყოფნა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რომელშიც სერიოზული როლი უცხოელებმაც შეასრულეს. არადა, მიშას ხელთ არაერთი ბერკეტი აქვს, რომლის გამოყენებითაც ხელისუფლებისთვის სერიოზული პრობლემების შექმნა შეუძლია. კერძოდ, მთავრობის დათხოვნა და პოლიტიკურ კრიზისამდე მიყვანა, საზღვარგარეთ დესტრუქციული განცხადებების გაკეთებით კი, ინვესტორებს აშინებს. ყველაფერი ეს ერთობლიობაში რომ განვიხილოთ, მივალთ დასკვნამდე, ქვეყანაში სრული საბოტაჟია, რაც ერთ მიზანს ემსახურება: რაც შეიძლება მოკლე დროში ხალხის აზრის ფორმირება მოხდეს, რომ დღევანდელი მთავრობა აბსოლუტურად უსუსურია. იგივე მეთოდით ცდილობენ დასავლეთში აზრის ფორმირებას, თითქოს ახალი ხელისუფლება რუსეთის შპინებითაა დაკომპლექტებული. დღეს მოსახლეობას ჰგონია, რადგან არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ყველაფერი მის ხელშია, არადა, თვითმმართველობების პრობლემა ხელისუფლებისთვის ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. კომპანიები, რომლებიც მოსახლეობას არჩევნებამდე საკმაოდ ნორმალურად აწვდიდნენ დენს, წყალს, გაზს და ა.შ. დღეს ხელოვნურ პრობლემებს ქმნიან. ასევე, გზების მოწესრიგება თვითმმართველობებს ევალება, რაც შეგნებულად არ კეთდება, ამასობაში კი, ორმოები გაჩნდა, რაც საზოგადოებას აღიზიანებს და ხალხი იწყებს ფიქრს, საკაშვილის დროს გზა მაინც იყოო.

— „ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის საბოტაჟის წინააღმდეგ ადეკვატურად მოქმედებს?

— „ოცნება“ შექმნილ ვითარებას პროფესიულად უნდა მიუდგეს. იცით, მისი ძირითადი პრობლემა რა არის? — სამინისტროებში პირველ, მეორე და მესამე პირებად მართვის გამოცდილების არმქონე ადამიანები დაინიშნენ, რომლებმაც არ იციან, დაქვემდებარებულ უწყებებში რა ვითარებაა. წარმოიდგინეთ, სანამ მინისტრი გაარკვევს, რა ბერკეტი აქვს რიგით თანამშრომელს, რომელსაც შეიძლება, ვერც ამჩნევს, დიდი დრო გავა, რასაც „ნაცმოძრაობა“ სათავისოდ იყენებს. სწორედ ასეთი ტაქტიკა ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში, როცა თითქოს ოპოზიციაში გადავიდა, თუმცა თანამოაზრეები საჯარო სამსახურებში დარჩნენ და სამინისტროებს პრობლემებს შიგნიდან უქმნიდნენ — საქმეს შეგნებულად აფუჭებდნენ, საზოგადოებაში მინისტრის წინააღმდეგ განწყობას ქმნიდნენ და ა.შ. „ნაციონალებმა“ შიგნიდან ჩამოშალეს ქვეყანა და დღესაც იგივე სცენარის განხორციელებისთვის ემზადებიან.

— ვანო მერაბიშვილის განცხადება, ხელისუფლებაში არჩევნების გარეშე დავბრუნდებითო, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ?

— რა თქმა უნდა, ოთხ წელიწადში, არჩევნების გარეშე დაბრუნების მცდელობა მიანიშნებს, რომ მათ ხელისუფლების უზურპაცია აქვთ განზრახული. პოლიტიკოსისგან მსგავსი განცხადების გაკეთება საკმაოდ საშიშ ქვეტექსტს გულისხმობს, ხელისუფლების უზურპაციის ტექნოლოგიებს კი „ნაცმოძრაობა“ უდავოდ ფლობს. ამას ემატება ის სამწუხარო ფაქტიც, რომ „ოცნება“ ამის შანსს აძლევს — მრავალპარტიულ კოალიციაში შიდაკონფლიქტები უკვე იკვეთება და ნათელი ხდება, რომ საკუთარი პარტიის გაძლიერების მიზნით, პოლიტიკოსები არასწორ გადაწყვეტილებებს იღებენ და კოალიციის საერთო ინტერესზე ნაკლებად ფიქრობენ. არაპროფესიონალიზმი „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი პრობლემაა, რაც „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამს წყალს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ხელისუფლებაში რამდენად მყარი პოზიციები ჩამოყალიბდება და რა გაკეთდება „ნაციონალების“ ჩანაფიქრის პრევენციისთვის. ისე არ უნდა მოხდეს, ივანიშვილზე განაწყენებულმა მინისტრებმა, რომლებიც კოალიციაში პერსპექტივას ვერ ნახავენ, „ნაცმოძრაობის“ სცენარით ითამაშონ და მათ ხელისუფლების უზურპაციის პროცესი გაუმარტივონ.

— განაწყენებულ მინისტრად ირაკლი ალასანიას განიხილავენ და იმასაც ამბობენ, შესაძლოა, კოალიცია დატოვოს...

— ფაქტია, რომ ირაკლი ალასანიას ის გავლენა აღარ აქვს, რაც ბიძინა ივანიშვილთან თავიდან ჰქონდა. ალბათ, გახსოვთ, პოლიტიკაში შემოსვლისთანავე, ბიძინა ივანიშვილმა ირაკლიზე გააკეთა აქცენტი, თუმცა შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, კოალიციაში სხვა ძალები გაძლიერდნენ. საერთოდ, ირაკლი ალასანიასა და ბიძინა ივანიშვილს შორის კონფლიქტი ან რეალურად არსებობს და, სავარაუდოდ, ალასანიას მიერ კოალიციიდან წამოსვლას მალე ვიხილავთ, ან არ გამოვრიცხავ, ეს კონფლიქტი ინსპირირებული იმ მიზეზით იყოს, რომ თავდაცვის მინისტრმა ქვეყანაში სერიოზული ოპოზიციური ძალა შექმნას.

— ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ალასანიას ოპოზიციისთვის ამზადებს?

— დიახ, რადგან დღეს ყველა საკითხზე მხოლოდ „ნაციონალები“ აკეთებენ კომენტარს, სხვა ოპოზიცია ქვეყანაში ნაკლებად გავლენიანია. ვფიქრობ, ამ ეტაპზე, ირაკლი ალასანიას სახით, ოპოზიციის ლიდერი ხელოვნურად იკვეთება.

ვერსიანიუსი

„ოცნებელმა“ შიმშილობა დაიწყო

„ოცნების“ ცენტრალურ ოფისთან, კოალიციის რუსთავის ორგანიზაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ბერიძემ შიმშილობა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ბერიძე დედაქალაქში ფეხით ჩამოვიდა.

„მზად ვარ, ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ ფორმატში დავუჯდე და მოვხსნა ყველა კითხვის ნიშანი, რომელიც ჩემთან დაკავშირებით არსებობს“, — განაცხადა ჟურნალისტებთან ბერიძემ.

ალექსანდრე ბერიძე დავით საგანელიძისგან მოითხოვს განმარტებას, თუ რატომ დაადანაშაულა „ქართული ოცნების“ რუსთავის რაიონული ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობაში.

„ჯი-ეიჩ-ენი“

რომის აეროპორტში, თვითმფრინავის მოცურების შედეგად, 16 ადამიანი დაშავდა

რომის აეროპორტ „ფიუმინჩინოში“ რუმინეთის ავიაკომპანია „კარპატეარის“ კუთვნილი თვითმფრინავი ART 72 დაჯდომისას ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე სამასი მეტრით მოცურდა, რის შედეგადაც, ბორტზე მყოფი 16 ადამიანი დაშავდა, მათ შორის ერთი ბორტგამცილებელი. ამის შესახებ იტალიური მედია იუწყება.

დაშავებულთაგან ორი ადამიანის მდგომარეობა კრიტიკულია. თვითმფრინავში სულ 50 ადამიანი იმყოფებოდა. ადგილობრივი მედია იუწყება, რომ ინციდენტის მიზეზი, შესაძლოა, ძლიერი ქარი იყოს, თუმცა არ გამორიცხავენ მფრინავის შეცდომასაც. თვითმფრინავი პიზადან რომისკენ მიფრინავდა.

„ინტერპრესნიუსი“

„რუსეთი ეკონომიკაში ნაკლებად სანდო პარტნიორია“

„რუსეთი, ტრადიციულად, ნაკლებად სანდო პარტნიორია ეკონომიკაში, რუსული ბაზარი უფრო მესახება, როგორც პოლიტიკური ბაზარი“, — ასეთ შეფასებას აკეთებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გიორგი აბაშიშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ რუსულ ბაზარზე გასვლა არ არის გრძელვადიანად სტაბილური გადაწყვეტილება.

ექსპერტის თქმით, საქართველომ რუსეთის არასაიმედო პარტნიორობა მაშინ გამოსცადა, როცა კრემლმა ქართულ პროდუქციას ემბარგო დაუწესა.

„ამიტომ ქართველ მეწარმეებს მართებთ სიფრთხილე, რადგან რუსულ ბაზარზე გასვლა არ არის გრძელვადიანად სტაბილური გადაწყვეტილება“, — აცხადებს ექსპერტი გიორგი აბაშიშვილი.

„ნიუპოსტი“

ჭიათურაში ქმარმა ცოლი მოკლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ჭიათურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ჭიათურის რაიონის სოფელ ვაჭევში მცხოვრები, 1947 წელს დაბადებული, ავთანდილ ქ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას, საკუთარი მეუღლე, 1951 წელს დაბადებული მერი ქურციკიძე მოკლა.

თავის არეში ნაჯახით მიყენებული მძიმე ჭრილობის შედეგად, რამაც თავის ქალა მნიშვნელოვნად დააზიანა. მერი ქურციკიძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ნივთმტკიცების სახით, მკვლელობის იარაღი ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს. გამოძიებას იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

ჩადენილი დანაშაული თავისუფლების 7-დან 15 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

„ნიუპოსტი“

მოსკოვში ქართველი „კანონიერი ქურდი“ ჯემალ მიქელაძე დააკავეს

მოსკოვში, სამართალდამცველებმა კრიმინალური ავტორიტეტი ჯემალ მიქელაძე, მეტსახელად „ჯემო“ დააკავეს. დაკავების დროს, 37 წლის „კანონიერ ქურდს“ 5 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება და ორი ყუმბარა აღმოაჩნდა. მას ბრალად სწორედ ნარკოტიკული და ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვა ედება.

სამართალდამცველებმა მიქელაძის პასპორტიც ამოიღეს, რომელიც სავარაუდოდ, ყალბია.

ჯემალ მიქელაძე რამდენიმე კვირის წინ, მოსკოვში მოკლული კრიმინალური ავტორიტეტის, ასლან უსოიანის, იგივე „დედ ჰასანის“ მოწინააღმდეგედ მიიჩნევა. მისი სახელი „დედ ჰასანის“ მკვლელობის დამკვეთთა სიაშიც კი ფიგურირებს.

„ნიუპოსტი“

რას ფიქრობს გიორგი გუგავა „ლეიბორისტებიდან“ ახლახან წასულებზე

ნინო კომახიძე
პოლიტიკა



დამარცხებული „რობინ ჰუდის“ პარტიიდან ლიდერების წასვლა დაიწყო. „ლეიბორისტების“ რიგები სოსო შატბერაშვილმა, კახა ძაგანიამ და სხვა „ფეისებმა“ დატოვეს. გამგეობაში 6 კაციდან მხოლოდ გიორგი გუგავაღა დარჩა, რომელმაც „ვერსიას“ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა.

— ამ თემის განვრცობა არ მინდოდა, რადგან მრავალი წლის თანამებრძოლობა გვაკავშირებს და მათ წარმატებას ალალად ვუსურვებ! ჩემი პოზიცია კი, ასეთია: ვრჩები პარტიაში, ვაგრძელებ უკომპრომისო და შეუვალ ბრძოლას ივანიშვილ-სააკაშვილის მავნებლური, მტაცებლური, „კოჰაბიტაციური“ რეჟიმის წინააღმდეგ! ამაზე საუბარი ადამიანური და პიროვნული განცდებიდან გამომდინარე, ჩემთვის ძალიან რთულია, მიჭირს, გული მტკივა!

— კი, მაგრამ ამას არ ელოდით? პროცესი ჯერ კიდევ ნესტან კირთაძის წასვლით დაიწყო და მერე, ჭორი სოსო შატბერაშვილის წასვლაზეც გავრცელდა...

— ცხადია, ეს ერთდღიანი პროცესი ვერ იქნებოდა. შატბერაშვილი კი არსად წასულა. ამიტომ, მარკ ტვენისა არ იყოს, ხმა, ჩვენი გარდაცვალების შესახებ, გადაჭარბებულია! პარტია ჩვეული შემართებით აგრძელებს მუშაობას და ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზეც თავისი პოზიცია აქვს!

— ამბობენ, შატბერაშვილი-ძაგანია ახალ პარტიას ქმნიანო. ამაზე რა პოზიცია გაქვთ?

— ჩვენ ერთმანეთთან წლები გვაკავშირებს, ამ ხალხს ძალიან კარგად ვიცნობ, თითოეულს პატივს ვცემ და მინდა, გულწრფელი წარმატება ვუსურვო, ყოველგვარი ზედმეტი კეკლუცობის გარეშე! ადამიანური განცდები, ბუნებრივია, მეც მაქვს და შალვასაც, მაგრამ საქმე საქმეა, პოლიტიკა — პოლიტიკა!

— ამის აღიარება თქვენგან უცნაურია...

— ალალად გეუბნებით! ჩვენს შედეგებზე პასუხისმგებლობას ჩვენვე ვიღებთ. უბრალოდ, ისე ვერ წარვმართეთ პროცესი, ხალხისთვის გვეჩვენებინა, ხვალ რას მიიღებდა „ოცნებისგან“. სამწუხაროდ, ეს „ხვალ“ უკვე დადგა! ახლა დავიწყოთ ანალიზი — რა შეიცვალა ქვეყანაში? თითქოს გარედან ვუყურებთ, რომ „ოცნება-ნაციონალებს“ მწვავე დაპირისპირება აქვთ, მაგრამ ეს ორივე ძალას აწყობს — ამით ერთმანეთს აძლიერებენ, რეიტინგს უნარჩუნებენ და ცდილობენ, გაკრიფონ ის „მესამე“, რომელიც სიმართლეს იტყვის! რომელი რიგითი მოქალაქე იცით, ვის მიმართაც აღდგა სამართლიანობა? მაგალითად, იმ 10 000 სტუდენტიდან, რომელსაც სტატუსი ფულის გადაუხდელობის გამო შეუწყდა, ვის აღუდგა ეს სტატუსი? 300 ათასი კრედიტორი „შავ სიაში“ რომაა შეყვანილი, აქედან 70 ათასი გამოსახლებულია, დანარჩენებზე კი, სააღსრულებლო ბარათებია გამოწერილი და ხვალ-ზეგ სახლიდან მათაც გამოყრიან. ვის კრედიტს გადახედეს, ან ბანკებში კრედიტის პროცენტი შემცირდა? — არა, მათ შორის, არც) ივანიშვილის ბანკში, რომელიც რიგით მოქალაქეებს არც ემსახურება! პირიქით, მდგომარეობა გაუარესდა და ეს ყოველდღე პროგრესირებადი ხდება. ხალხში მართლა თვითგადარჩენის ინსტინქტმა იმოქმედა, როცა ხმას „ოცნებას“ აძლევდა!

„შე მამაცხონებულო, ათას რეჟიმზე, პარტიაზე, დროშასა თუ ხიშტზე გადამხტარი პარტიები გვყავს ხელისუფლებაში, მე კი, ვზივარ ისევ აქ, ჩემს ოფისში! ეს ხალხი პოლიტიკურ რწმენასა და პლატფორმას ისე იცვლიდა, ადამიანები ასე სწრაფად წინდებს ვერ იცვლიან და ამ, ოცნებით შეპყრობილების გონების განათების იმედად უნდა ვიყოთ?!“

— ბატონო კახა, პროცესი განვაზოგადოთ, „ლეიბორისტების“ მსგავსი მოვლენები პარლამენტსგარეთ დარჩენილ სხვა ოპოზიციურ პარტიებშიც ხდება...

— სხვა პარტიების მოქმედებების ანალიზს ვერ დავიწყებ, მაგრამ როცა ქვეყანაში ასეთი მოვლენებია, წასვლა-წამოსვლა ბუნებრივი პროცესია. 2003 წელსაც იგივე მოხდა და, როგორც ჩანს, პოსტსაბჭოთა სივრციდან ჯერ ქვეცნობიერად, ვერ გამოვედით, მით უმეტეს, რომ ქვეყნის სათავეში რეფორმატორები სულაც არ გვყავს! ახლაც იმავე ქვაბში ვიხარშებით, რომელიც ხშირად იწვის ხოლმე.

— იმის თქმა გინდათ, რომ თქვენგან წასულებიც ახალ ხელისუფლებასთან დაიწყებენ მჭიდრო თანამშრომლობას?

— საზოგადოებას ის უფრო აინტერესებს, რომ კოალიცია არჩევნებიდან სამ თვეში იშლება. სხვისი რა უნდა უკვირდეთ, როცა კოალიციაში დაშლის ღრმა პროცესია დაწყებული.

— ბოდიში, ეს 6-პარტიული კოალიციაა, თქვენ კი — ერთი პარტია ხართ.

— რა იყო მათი შემაკავშირებელი ძალა? — ივანიშვილის ქარიზმა?! განვლილი პოლიტიკური გზა და განსაკუთრებული იდეები თუ რა?! ამ ჯგუფების მიზიდულობის ცენტრი დიდი ფული იყო. ფულს კი, როგორც მიზიდვის, ასევე, შურის ძალაც აქვს და როცა იმით ვერ კმაყოფილდები, რასაც იღებ, ისეთი დეზინტეგრირებული პროცესი მიდის, რასაც ახლა კოალიციაში ვუყურებთ, თუმცა არჩევნები სამართლიანად ჩატარდა და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა „ლეიბორისტებისთვის“ შედეგები არ გაუყალბებიათ! ჩვენ ხალხმა ხმა არ მოგვცა!

— ამ პროცესით ასე ბედნიერი რატომ ხართ და აღფრთოვანებით რატომ საუბრობთ?

— ბედნიერი როგორ ვიქნები, როცა ყველაფერი ეს ჩემი და ჩემი ახლობლების კისერზე გადადის! ადრე „ნაციონალობის“ ნიშნით ჰყავდათ ხალხი დასაქმებული, ახლა — „ოცნების“, ესაა სამართლიანობის აღდგენა?! ბიძინა ივანიშვილმა პირველი, რაც გააკეთა, როცა მოვიდა, თავისი 80 მლნ ლარი უკან დაიბრუნა და სადაც მის კორპორაციასა და იმპერიას პრობლემა შეექმნა, იმ საკითხების მოგვარება დაიწყო! მითხარით ერთი ადამიანი, ვისაც მიშას რეჟიმმა ქონება წაართვა და ბიძინას რეჟიმმა დაუბრუნა?!

— „რობინ ჰუდი“ საარჩევნოდ მარტო შალვა ნათელაშვილი იყო?

— ერთი შემთხვევა მითხრან, სადაც უბრალო მოქალაქისთვის გაკეთდა რაღაც და მათ დავუჯერებ. არავითარი განსხვავება მგელსა და მგლისფერ ტურასა თუ ძაღლს შორის არაა!

— რა დასკვნა გამოგაქვთ მთელი ამ პროცესიდან?

— ჩვენ ვუყურებთ სააკაშვილ-ივანიშვილის ვნებიან კოჰაბიტაციას! ისინი ამაგრებენ, აძლიერებენ ერთმანეთს, მოსახლეობა გარეგნული დაპირისპირების ხიბლში ჰყავთ, მაგრამ რეალურად არაფერი შეცვლილა — იგივე სახეებს ვხედავთ, ვინც 20 წლის განმავლობაში, სხვადასხვა პარტიის აბრევიატურის ქვეშ, ისე იცვლის ფერს, როგორც ქამელეონი და ანგრევს ამ ქვეყანას! სანამ ქვეყანაში სააკაშვილ-ივანიშვილის ერთი ყაიდის რეჟიმი არ დამარცხდება, მანამ არაფერი გვეშველება! ბიძინამ თვითონ თქვა, 2003 წლის მერე, მე ვაფინანსებდი მინისტრებსა და ჩინოვნიკებს, რომ არ მოეპარათო და ახლა, როცა ხალხს ოცნებასა და ციურ მანანას დაჰპირდი, შენი კანცელარიის პირისფარეშებს, საახალწლოდ, ამ ხალხის ხარჯზე რატომ ურიგებ პრემიებს, ამას რა ჰქვია?! შე მამაცხონებულო, მილიარდერი ხომ ხარ, ხალხს არ აძლევ, ნუ აძლევ, მაგრამ ნუ ართმევ მაინც! რა იმუშავეს ამისთანა ერთი თვეში კანცელარიის თანამშრომლებმა, რომ 3-ჯერ გამოიწერეს პრემია? რითია ივანიშვილის კანცელარია სააკაშვილის კანცელარიაზე უკეთესი, განსხვავება რაშია?!

— ამასობაში, თქვენ, როგორც „სიმართლისმთქმელი მესამე ძალა“ ჩაგხსნეს ამ პროცესიდან?

— ეს ვერც აქამდე შეძლო ვერავინ და არც მომავალში მოხდება!

— ცარიელ კედლებში დარჩით ორი კაცი და ეს „ჩახსნა“ არაა?

— როგორ გეკადრებათ — რეგიონული სტრუქტურები ისევ მუშაობს, ახალგაზრდული ორგანიზაციებიც ისევ ისეა. დანარჩენებზე კი, გული მტკივა!

ვფიქრობ, ახლა ხალხის მხარდაჭერა უფრო მძლავრი იქნება, ჩვენ კი, ყველა ხერხს გამოვიყენებთ არსებული რეჟიმების წინააღმდეგ!

— ბრძოლას ისევ მარტო გააგრძელებთ თუ სხვა პარტიებსაც დააფასებთ, მაგალითად, შეუერთდებით თუ არა სააკაშვილის იმპიჩმენტის მოთხოვნის პროცესს, რაც თავის დროზე, თქვენი ინიციატივა იყო?

— რატომ არ იწყებს „ოცნება“ იმპიჩმენტს? კარგი, შეიძლება, საქმე ბოლომდე არ მიიყვანონ და „იკოჰაბიტაციო“, მაგრამ რატომ არ კეთდება რეჟიმის სამართლებრივი შეფასების დოკუმენტი?! იმიტომ, რომ სააკაშვილის არ იყოს, როცა შევარდნაძეს ხელშეუხებლობის გარანტია მისცა, ახლა ამათაც ეშინიათ პრეცედენტის შექმნის, რადგან ეს მერე მათვე შეუბრუნდება! ჩვენ კი, მარტო არასოდეს გვიბრძოლია. უამრავი შემთხვევა იყო, როცა ოპოზიციასთან ერთად ვიბრძოდით, მაგრამ პარტიას საკუთარი სახე და იდეოლოგია ხომ უნდა შეენარჩუნებინა?! ხოლო მათ გვერდით ყოფნა, ვისაც რამდენიმე სკამის აღება და სადღაც შეკვეხება სურდა, არასოდეს გვდომებია!

— საპარლამენტო სკამების გაყიდვას თქვენ გაბრალებდნენ!

— შე მამაცხონებულო, ათას რეჟიმზე, პარტიაზე, დროშასა თუ ხიშტზე გადამხტარი პარტიები გვყავს ხელისუფლებაში, მე კი, ვზივარ ისევ აქ, ჩემს ოფისში! ეს ხალხი პოლიტიკურ რწმენასა და პლატფორმას ისე იცვლიდა, ადამიანები ასე სწრაფად წინდებს ვერ იცვლიან და ამ, ოცნებით შეპყრობილების გონების განათების იმედად უნდა ვიყოთ?! ამათ არ ჩამდეს მიწაში „ვარდების რევოლუციის“ დროს და შევარდნაძესთან შეკრულად, მტრად, რუსეთის აგენტად გამომაცხადეს?!

ჩვენგან ინიციატივებიც იქნება, სხვების შემოკრების პროცესსაც დავიწყებთ და ყველა საინტერესო პროექტის მონაწილეენიც ვიქნებით. დილა-საღამოს მიშას დავდევდით და რაც პრეზიდენტად მოვიდა, მას მერე, ქუჩაში ვეყარეთ. ახლა კი ორი უბედურების წყარო გვყავს — მიშა და ბიძინა! ჩვენი დოკუმენტი იმპიჩმენტის შესახებ ახლაც პარლამენტში დევს, საკითხის ინიცირებას კი „ოცნების“ პარლამენტის ერთი მესამედი სჭირდება. თუ თვითონ თავს ვერ მოაბამენ, მე გავუწევ კონსულტაციებს, მაგრამ უნდათ რო?! ერთი ბუდიდან აფრენილები არიან, ერთი პოლიტიკა აქვთ გატარებული და ამიტომ „კოჰაბიტაციობენ“ ასე ხმაშეწყობილად!

ექსკლუზიური ინტერვიუ ასლან ხადარცევთან

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

28 იანვარს, „ვერსიაში“ გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც კარგად ინფორმირებული, კომპეტენტური წყარო, მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელისა და ვანო მერაბიშვილის კრიმინალურ-კორუფციულ გარიგებებზე გვიამბობდა, გამოხმაურება მოჰყვა — „ვერსიას“ ყველა ის კომპანია დაუკავშირდა, რომელიც, პირდაპირ თუ ირიბად, ცეზარ ჩოჩელთან იყო დაკავშირებული. ამასთან, სპეციალურად ზემოხსენებული სტატიის გამო, ჩვენთან შეხვედრა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის, ალანიას პარლამენტის წევრმა, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბიზნესმენმა ასლან ხადარცევმა ითხოვა, რომელიც 2003-2007 წლებში, რუსეთის ფედერაციის პარლამენტის სახელმწიფო სათათბირო „გოსდუმის“ წევრიც იყო.
ასლან ხადარცევი „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციამ აღაშფოთა, რომელიც ჩოჩელებისა და ხადარცევების ურთიერთობაზე გვიამბობდა.
შეგახსენებთ: წყაროს ინფორმაციით, ცეზარ ჩოჩელმა ბიზნესი ხადარცევის ინვესტიციით დაიწყო, მერე ჩოჩელმა პარტნიორის „გადაგდება“ მოინდომა, რის გამოც, ხადარცევმა ლუდის ქარხანა „ლომისი“ დაშალა და ვლადიკავკაზში გადაიტანა... როგორც ხადარცევი „ვერსიას“ ეუბნება, „ლომისი“ მის საკუთრებაში არასოდეს ყოფილა. მეტიც, წლების წინ, ცეზარ ჩოჩელმა „ლომისი“ გაყიდა, რომელიც თურქულმა კომპანია „ეფეს პილსნერმა“ იყიდა.
„ვერსიასთან“ ექსკლუზიური ინტერვიუ ასლან ხადარცევმა სწორედ ამ თემაზე საუბრით დაიწყო.

— ბოლო 20 წლის განმავლობაში, ცეზარ ჩოჩელმა საქართველოში 8 ქარხანა აამუშავა, ხადარცევებისა და ჩოჩელების ოთხი თაობა დამეგობრდა — ჩვენი მშობლები, ჩვენ, უმცროსი ძმები და შვილები, კიდევ რა კრიტერიუმები გაქვთ საქართველოში საქმიანი ადამიანის შესაფასებლად?! წარმოიდგინეთ, მე და ცეზარი მთელი ცხოვრება ვშრომობთ, ვაშენებთ, ჩვენს ირგვლივ თავს ვუყრით ადამიანებს, თაობებს ვაახლოებთ, მაგრამ ერთი კვირის წინ წავიკითხე თქვენი სტატია და გავოგნდი. არ იფიქროთ, რამეში გადანაშაულებთ, ეს იმ ადამიანის ბრალია, ვინც არასწორი ინფორმაცია მოგაწოდათ, მაგრამ ჩვენი მსაჯული უფალია. თქვენი სტატია ჩემთვის კოღოს ნაკბენივით იყო, როგორ დაწერეთ, რომ ხადარცევებმა ახალგორის ქარხანა დავშალეთ და 21 მანქანით, ვლადიკავკაზში გავიტანეთ?

— უკაცრავად, ბატონო ასლან, ამ დეტალს ვერ გადავამოწმებდი, რადგან ახალგორის რაიონი ოკუპირებულია, თორემ დიდი სიამოვნებით წავიდოდი და ქარხანას ადგილზე ვნახავდი, ხალხსაც გავესაუბრებოდი...

— ჰოდა, გეუბნებით, რომ ახალგორის ქარხნიდან ერთი „ბოლტიც“ არ დაკარგულა! ვიცი, რომ „ლომისი“ დღემდე მუშაობს, მაგრამ ჩემი არ არის და რა უფლება მქონდა, სადმე გადამეტანა? ერთხელ დამირეკა „ლომისის“ ქარხნის დირექტორმა, რაღაც დეტალის შეძენა მთხოვა და დავეხმარე, მაგრამ ეს ხომ ბუნებრივია. გიმეორებთ, ვამაყობ ჩვენი მეგობრობით, რადგან ამ 20 წლის განმავლობაში, ხადარცევებმა და ჩოჩელებმა ულამაზესი, მეგობრული პირამიდა შევქმენით. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ ყველაფერში, რუსეთის ფედერაციის „დუმის“ წევრი, მახარბეკ ხადარცევიც გარიეს, მას წარმოდგენაც არ აქვს, რაზეა საუბარი და არაფერ შუაშია! მახარბეკი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, უძლიერესი ბიზნესმენი და შვიდი შვილის მამაა! როგორ, ჩვენ ჩამოვედით ახალგორში და ქარხანა ვლადიკავკაზში გადავიტანეთ? ეს ხომ აბსურდია! ამ ამბავს არავის მოვუყვები, ან რა მოვყვე, ქურდი ვარ, რომელმაც სხვისი კუთვნილი ქარხანა დავშალე და ვლადიკავკაზში გადავიტანე?

ჩოჩელებისა და ხადარცევების მეგობრობის 20-წლიანი პირამიდა

მათი მეგობრობა 1994 წლიდან დაიწყო. ცეზარ ჩოჩელმა „ვერსიას“ უამბო, რომ 1994 წელს, როდესაც საზღვარი ჩაიკეტა და ქართველებსა და ჩრდილოეთ ოსებს შორის მიმოსვლა შეწყდა, ახალგორში, ლუდის საწარმოს აშენება გადაწყვიტა. მძიმე პერიოდის მიუხედავად, დასახმარებლად ვლადიკავკაზში, ასლან ხადარცევთან ჩავიდა, რომელიც ახალგაზრდა, ქართველი კაცის ასეთმა გამბედაობამ განსაკუთრებით მოხიბლა, დაეხმარა და მათი მეგობრობაც ასე დაიწყო. ჩოჩელებისა და ხადარცევების ხანგრძლივი და მყარი მეგობრობის შესახებ თავად ასლან ხადარცევი გვიამბობს, მაგრამ დასაწყისში იმ რამდენიმე, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტს აღვნიშნავ, რომელიც დიქტოფონსმიღმა მითხრა. დაძაბული ქართულ-ოსური, გნებავთ, ქართულ-რუსული ურთიერთობების ფონზე, ვლადიკავკაზში სტუმრად ჩასული ჩოჩელები ასლან ხადარცევმა რესტორანში დაპატიჟა. ეს ის პერიოდია, როცა ასლან ხადარცევი „გოსდუმის“ დეპუტატია, სტუმრების პატივსაცემად, მასპინძელმა რესტორნის მუსიკოსებს რევაზ ლაღიძის „თბილისო“ შეუკვეთა. მუსიკოსებმა თხოვნა არ შეასრულეს, უფრო ზუსტად, ვერ გაბედეს „თბილისოს“ შესრულება. ასლან ხადარცევმა რესტორნის დირექტორი დაიბარა და მუსიკოსები სამსახურიდან გააშვებინა. რამდენიმე დღის შემდეგ, ვლადიკავკაზში, სხვა რესტორანში შევიდნენ, მაგიდა გაშლილიც კი არ იყო და ისე, რომ არავის შეუკვეთავს, მუსიკოსებმა „თბილისო“ საკუთარი სურვილით შეასრულეს...

ხადარცევებისა და ჩოჩელების მეგობრობას, მათი უმცროსი ძმები და შვილები აგრძელებენ: ასლან ხადარცევის უფროსი ვაჟი ზაურ ხადარცევი, ცეზარ ჩოჩელის ბიზნესპარტნიორია. ზაურს ჯერ ერთი, 3 წლის შვილი ჰყავს, მაგრამ ღიმილით ამბობს, რომ სამი შვილი ეყოლება, რადგან სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ უთხრა, მესამე შვილს აუცილებლად მოგინათლავო...

— ბატონო ასლან, როგორ გაიცანით ცეზარ ჩოჩელი, საუბარი იქიდან დავიწყოთ, როცა ყველაზე რთულ დროს, ვლადიკავკაზში, თქვენი კაბინეტის კარი ჩოჩელმა შემოაღო და ფულის სესხება გთხოვათ.

— არავითარი ფული! თანხა საერთოდ არ ყოფილა, ჩოჩელი და მისი ცოლისძმა სტუმრად ჩამოვიდნენ ჩემთან, მითხრეს, რომ ახალგორში ლუდის პატარა საწარმოს გახსნა უნდოდათ. მთელი ჩრდილოეთ კავკასია შემოუვლიათ, მაგრამ ალაო ვერ იშოვეს და მხოლოდ 2 ტონა მთხოვეს. ისიც მითხრეს, რომ როდესაც საწარმოს აამუშავებდნენ, აუცილებლად ჩამოვიდოდნენ და თანხას გადაიხდიდნენ. თვალებანთებულები მიმზერდნენ და, რა თქმა უნდა, მივეცი 2 ტონა ალაო. შევატყვე, არ ელოდნენ, ასე ადვილად თუ დავთანხმდებოდი და, ალბათ, იფიქრეს, ესეც ჩვენსავით გადარეულიაო. მოკლედ, ცეზარ ჩოჩელი თავიდანვე მომეწონა. მოგვიანებით, ისევ ჩამოვიდნენ ვლადიკავკაზში, ძალიან გამიკვირდა, მაგრამ შინაგანად მესიამოვნა. ლუდის წარმოება დაუწყიათ და საწარმოს დასათვალიერებლად დამპატიჟეს, მიპატიჟება მივიღე, ჩამოვედი საქართველოში, მაგრამ რაც ვნახე, იმას საწარმოს ნამდვილად ვერ დაარქმევდი. ცეზარ ჩოჩელისა და მისი თანამოაზრეების შრომისმოყვარეობამ გამაოცა, ყველაფერს საკუთარი ხელით აკეთებდნენ, არ დაგიმალავთ, ასეთი რამ არსად მინახავს. ხომ გახსოვთ, რა მძიმე დრო იყო — უშუქობა, უწყლობა, მაგრამ ამ ხალხის თვალებში ცეცხლი ენთო, 24 საათის განმავლობაში შრომობდნენ და ამან აღმაფრთოვანა. ეს იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება და ასე დაიწყო ის უდიდესი მეგობრობა, რომლითაც განსაკუთრებით ვამაყობ! ჩოჩელებსა და ხადარცევებს შორის არასოდეს ყოფილა ფულზე საუბარი, ჩვენს შორის თავიდანვე გულწრფელი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რადგან ერთი ხასიათისა და თვისებების ადამიანები შევხვდით: გვიყვარს საქმე, რომელსაც ვაკეთებთ, ჩოჩელები — აქ, საქართველოში და ხადარცევები — იქ, ვლადიკავკაზში, ნებისმიერ სიტუაციაში, ლხინსა და, სამწუხაროდ, ხანდახან ჭირშიც ერთმანეთის გვერდით ვართ, მნიშვნელობა არ აქვს, დღესასწაულია თუ არჩევნები — ერთმანეთს მხარს ვუჭერთ და ვგულშემატკივრობთ. მაშინ, როდესაც ცეზარ ჩოჩელს გამგებელად, შემდეგ კი, მხარის გუბერნატორად ირჩევდნენ, ხადარცევები საქართველოში ჩამოვედით და მის გვერდით ვიდექით, 2003 წელს, როდესაც რუსეთის ფედერაციის მესამე მოწვევის პარლამენტის დეპუტატად მირჩევდნენ, ცეზარი მხარს მიჭერდა...

1994 წლის შემდეგ, როდესაც ახალგორში, ლუდის საწარმო „ლომისი“, მართლაც, არაჩვეულებრივ ქარხანად აქციეს და ახალი ხარისხის ლუდი ჩამოასხეს, ჩოჩელებმა ისევ დაგვპატიჟეს. დაახლოებით, 5-6 ოჯახი ჩამოვედით და პრეზენტაციის ორგანიზებაშიც დავეხმარეთ, ტელევიზიებმა გააშუქეს და ვფიქრობ, ხალხმა პირველად მაშინ შეიტყო, რომ ახალგაზრდა კაცმა, ცეზარ ჩოჩელმა, თავის გუნდთან ერთად, ასეთი წარმატებული საწარმო შექმნა. ამ დროს, ცეზარსა და მის გუნდს ჯერ კიდევ არ ჰქონია ურთიერთობა ჩეხურ კომპანიასთან, მაგრამ ისინი დღე და ღამე, მუხლჩაუხრელად შრომობდნენ.

— თუკი ფინანსურად არ დახმარებიხართ, გამოდის, მხოლოდ რჩევებითა და რეკომენდაციებით შემოიფარგლებოდით?

— რეკომენდაციებს ვაძლევდი, მაგრამ იმდენად დაინტერესებულები იყვნენ, რომ წარმოების შესახებ სპეციალურ ლიტერატურასაც ეცნობოდნენ. მხოლოდ იმას ვეუბნებოდი, სად, რომელი მილი უნდა დაემონტაჟებინათ და იმდენად ნიჭიერები არიან, ყველაფერს უსიტყვოდ ხვდებოდნენ. პირველად რომ ჩამოვიდნენ ვლადიკავკაზში და ჩვენი ქარხანა დაათვალიერეს, ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ „ლომისი“ აეშენებინათ. აი, ასეთი დაუღალავი შრომის საფუძველზე ჩამოყალიბდა ჩვენი მეგობრობა და ეს უმთავრესია, თუმცა ჩოჩელები და ხადარცევები ისე ვმეგობრობთ, როგორც კავკასიელებს შეეფერება. ერთმანეთს არ ვეუბნებით, რა ყოჩაღები ვართ. მოკლე დროში, ჩოჩელებმა საქართველოში იმაზე მეტს მიაღწიეს, ვიდრე ჩვენ, ხადარცევებმა — ვლადიკავკაზში და ეს მხოლოდ მათ შრომისმოყვარეობაზე მეტყველებს.

დასასრული მე-6 გვერდზე

შესწორება

„ვერსიის“ №11 (767)-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ მიხელ მაჭავარიანთან, სადაც ნათქვამი იყო: „მე, ხათუნა გოგორიშვილმა და მაია ნადირაძემ ჟვანია იმ დღეს ვნახეთ, როცა მოკლეს. შუადღისას, აუზზე წასვლამდე“. მიხეილ მაჭავარიანის თხოვნით, ვაზუსტებთ, რომ ეს ფრაზა ასე უნდა იკითხებოდეს: „მე, ხათუნა გოგორიშვილმა და მაია ნადირაძემ ჟვანია გარდაცვალების დღეს ვნახეთ“.

პოლიციამ, ყაჩაღობის ბრალდებით, მამაკაცი დააკავა

სამართალდამცველებმა, „ლუკოილ ჯორჯიას“ ბენზინგასამართი სადგურის დაყაჩაღების ბრალდებით, 1979 წელს დაბადებული ნიკოლოზ პ. დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულმა 2012 წლის 11 დეკემბერს, 18:45 საათზე წერეთლის გამზირზე, სამთო ქიმიის მოპირდაპირე მხარეს მდებარე შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორებს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, 215 ლარი გასტაცა და დანაშაულის ადგილიდან მიიმალა.

ნიკოლოზ პ. 2013 წლის 25 იანვარს რუსთავში დააკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას Gold Star-2002-ის მოდელის პისტოლეტი, ერთი მჭიდი და 5 ვაზნა ამოიღეს.

დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, Blow Mini Mod 2003-ის მოდელის პისტოლეტი, ერთი მჭიდი და 12 ვაზნა აღმოაჩინეს.

„პირველი“

შსს-ს მიერ აუქციონზე გატანილ ავტომობილებში 20-მდე პირმა საკუთარი ავტომობილი ამოიცნო

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადვოკატმა ირმა ჭკადუამ განუცხადა, აღნიშნული პირები აცხადებენ, რომ ავტომობილები უკანონოდ წაართვეს და მათ დაბრუნებას მოითხოვენ. მისივე ინფორმაციით, საქმეზე მთავარ პროკურატურას გამოძიება უკვე დაწყებული აქვს:

„წინა ხელისუფლება, როდესაც აკავებდა გარკვეულ პიროვნებებს, განაჩენის გარეშე აიძულებდა მათ, როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება გადაეფორმებინათ ძალოვანი სტრუქტურების ან, ხშირ შემთხვევაში, კერძო პირების სახელზე, რომლებიც შემდგომ, შინაგან საქმეთა სამინისტროზე აფორმებდნენ. ბუნებრივია, ეს იყო უკანონო ქმედება, თუმცა წინა ხელისუფლების პირობებში, აღნიშნულთან დაკავშირებით, რაიმე მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო. დაახლოებით, ერთი თვის წინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება და აჩვენა ავტომობილები, რომელთა გატანასაც აპირებენ აუქციონზე. იქ ძალიან ბევრმა ადამიანმა ამოიცნო საკუთარი ავტომობილები, რომლებიც იძულებით და შანტაჟის გზით იქნა გადაფორმებული მათ მიერ, ხოლო განაჩენში ის მანქანები მოხსენიებული არ არის. მივმართეთ მთავარ პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და კატეგორიულად მოვითხოვთ, შეაჩერონ ამ ავტომობილების აუქციონზე გატანა, დაუბრუნდეს ისინი კანონიერ მესაკუთრეებს და არ დაუშვან წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების ახალი ხელისუფლების მიერ დაკანონება“, — განაცხადა ჭკადუამ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მის ბალანსზე არსებული ძვირადღირებული ავტომანქანების აუქციონის წესით გაყიდვასთან დაკავშირებით განცხადება შარშან, 24 დეკემბერს გააკეთა.

სარეალიზაციოდ გამზადდა 50-მდე ავტომანქანა. საუბარია ისეთ ძვირადღირებულ მოდელებზე, როგორიცაა Range Rover, Range Rover Sport, Range Rover truck, Mercedes S, ML, INYX6, X5 და M5 და რომლებიც უწყებაში ახალი მინისტრის დანიშვნამდე იყო შეძენილი.

თითოეული მანქანის ღირებულება, ხშირ შემთხვევაში, 100 000 დოლარს აჭარბებს, ხოლო მათი ტექნიკური მომსახურება, როგორც სამინისტროში აცხადებენ, ჯამში, წელიწადში მილიონ ლარზე მეტი ჯდებოდა.

„ინტერპრესნიუსი“

სახელმწიფო დაცვის სამსახურის რეორგანიზაციისთვის სპეციალური კომისია შეიქმნა

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის რეორგანიზაციის მიზნით, სპეციალური კომისია შეიქმნა. უწყების რეორგანიზაცია და კომისიის შექმნა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია. მათ საფუძველზე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური პრეზიდენტის დაქვემდებარებიდან მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა. მოქმედი პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების დასაცავად პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახური ცალკე იქმნება. მას, უშუალოდ, მიხეილ სააკაშვილი გააკონტროლებს.

კომისია შემდეგი შემადგენლობით დაკომპლექტდა: ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია, მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი, მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დიმიტრი ძაგნიძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ირაკლი ნადირაძე და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი თეიმურაზ ჯანაშია. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვათ დეპუტატებს: პავლე კუბლაშვილსა და ირინე იმერლიშვილს, პრემიერ-მინისტრის პირადი დაცვის უფროს ანზორ ჩუბინიძესა და ექსპერტრებს: კახა ჯაფარიძესა და ნუკრი ლოლაძეს.

კომისიამ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება უნდა უზრუნველყოს. მათ შორის, პრემიერის განკარგულებით, კომისიამ 15 დღის ვადაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახურის ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის გამოყოფის შესახებ და შესაბამისი წინადადებები ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სათანადო ცვლილების შეტანის მიზნით წარუდგინოს.

„მედიანიუსი“

ექსკლუზიური ინტერვიუ ასლან ხადარცევთან

მე-5 გვერდიდან

ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად გადავწყვიტეთ, რომ მხოლოდ ასლან ხადარცევი და ცეზარ ჩოჩელი კი არა, ჩვენი ოჯახებიც უნდა დამეგობრებულიყვნენ, უფროს თაობას — მშობლებსაც უნდა გაეცნოთ ერთმანეთი და ასე ჩამოვიდნენ ვლადიკავკაზში ცეზარის მშობლები, ცეზარის მეგობრის, დევი ოვაშვილის მამა და სიმამრი, რომლებსაც საზღვარზე დავხვდი და სახლში მივიპატიჟე. პირველი თაობა, ჩვენი მშობლებიც დამეგობრდნენ, ამასობაში პატარა ძმები გაიზარდნენ და ახლა უკვე ჩვენი შვილებიც მეგობრობენ. მართალია, პოლიტიკური ვითარება დაიძაბა და პრობლემები გაჩნდა, მაგრამ ამას ჩვენს მეგობრობაზე გავლენა არ მოუხდენია და როდესაც მცხეთის სვეტიცხოველში ცეზარის შვილებს ნათლავდნენ, საქართველოში ვლადიკავკაზიდან ერევნის გავლით ჩამოვედი.

— ფინანსურად ან, თუნდაც, ინვესტიციებით არ დახმარებიხართ ცეზარ ჩოჩელს?

— წლების შემდეგ, როდესაც „ლომისის“ გარდა, ახალი ქარხნის, „ნატახტარის“ მშენებლობა წამოიწყეს, ამისთვის კრედიტი აიღეს და მაშინ დავეხმარე. არ შემეძლო, თორემ ფინანსურადაც სიამოვნებით დავეხმარებოდი. მეტიც, როგორც ბიზნესმენს, მონაწილეობაც არ მიმიღია მის პროექტებში, რადგან იმ დროს მეც პატარა პრობლემები მქონდა. ახალი ქარხნის მშენებლობაც თვითონ დაიწყეს და დაუფარავად გეტყვით, „ნატახტარის“ მსგავსი პროექტი, არსად მინახავს. ამ დროს, ცეზარ ჩოჩელის პარტნიორი უკვე ჩეხური კომპანია იყო...

— ესე იგი, „ნატახტარის“ მშენებლობის დროს გააცანით ერთმანეთს ვაცლავ დვორჟაკი და ცეზარ ჩოჩელი?

— არა, ვაცლავ დვორჟაკი უფრო ადრე გავაცანი, როდესაც ის ახალგორში იყო ჩამოსული და მათ შორის საქმიანი ურთიერთობა გაცილებით სწრაფად და ოპერატიულად ჩამოყალიბდა. როდესაც „ნატახტარის“ პროექტის ნახაზი ვნახე და წარმოვიდგინე, რომ ამხელა საწარმო, ტრიალ მინდორზე უნდა აშენებულიყო, თმა ყალყზე დამიდგა. მაქსიმალურად გვერდით ვედექი და საჭირო რჩევებით ვამხნევებდი, მაგრამ პოლიტიკური სკანდალის გამო, ქარხნის გახსნის ღონისძიებას ვერ დავესწარი. სამაგიეროდ, მოგვიანებით, ისევ ერევანის გავლით ჩამოვედი. დაახლოებით, ორი წლის განმავლობაში, ერთმანეთი არ გვინახავს და მხოლოდ ტელეფონით ვურთიერთობდით, მაგრამ ჩვენი მეგობრობა სულ უფრო და უფრო მყარდებოდა. მეტსაც გეტყვით, ჩემზე უკეთ იცით, რა მიღწევები აქვს ქართულ მედიცინას, უკვე 10 წელია, თბილისში, ზურაბ მეტრეველთან ვმკურნალობ. ზურაბი მე-9 საავადმყოფოში მუშაობს, პერიოდულად ჩამოვდივარ მასთან გასასინჯად და კონსულტაციისთვის...

— უკაცრავად, რუსეთიდან საქართველოში ჩამოდიხართ კონსულტაციაზე?

— დიახ, ასეა. გარდა ამისა, ძალიან მაღალი დონის თვალის კლინიკები გაქვთ, სადაც ბევრი ჩემი ახლობელი, ნათესავი და მეგობარი მკურნალობს. იმის თქმა მინდა, რომ ყველგან და ყოველთვის, მხოლოდ კარგი უნდა დაინახო. რამდენიმე წლის წინ, საქართველოში ყოფნის დროს, ცეზარმა ურთულესი საწარმოების მშენებლობები დამათვალიერებინა, გაოცებულმა ვუთხარი, ხომ არ გაგიჟდი, ცეზარ, ამდენ საწარმოს რატომ აშენებ? მან კი მიპასუხა, რატომ უნდა შემოგვქონდეს თურქეთიდან მეტალოპლასტმასის მილები, ხომ შეიძლება, თვითონ დავამზადოთო. ვლადიკავკაზში რომ დავბრუნდი, ჩემებს ვუთხარი, ნამდვილი მეწარმეები ჩვენ კი არა, ცეზარია, რომელიც საკუთარი ხელებით უამრავ საწარმოს აშენებს-მეთქი. მართალია, 2008 წლის მოვლენებმა დიდი ტკივილი დაგვიტოვა, მაგრამ როგორც ფილოსოფოსები ამბობენ, ნებისმიერ ომს მშვიდობა მოსდევს. როდესაც საქართველოს ინტელიგენციას, მსახიობებსა და კულტურის მოღვაწეებს, საზღვარზე მემორიალური დაფის გახსნა უნდოდათ, მეც მომმართეს, როგორც პარლამენტის წევრს, სხვათა შორის,

„ახალგორის ლუდის ქარხნიდან ერთი „ბოლტიც“ არ დაკარგულა! ვიცი, „ლომისი“ დღემდე მუშაობს, მაგრამ ჩემი არ არის და რა უფლება მქონდა, სადმე გადამეტანა?!“

ცეზარ ჩოჩელს ჩვენს პარლამენტშიც კარგად იცნობენ. ეს დაფა საზღვარზე აღვმართეთ, რომელსაც ქართულ, რუსულ და ოსურ ენებზე, შოთა რუსთაველის სიტყვები ამშვენებს: „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

— მაპატიეთ, გულწრფელი ემოციისთვის, მაგრამ გისმენთ და მგონია, რომ ჩვენს შორის თითქოს არავითარი უთანხმოება არაა. როგორ ფიქრობთ, რა დაგვემართა ქართველებსა და ოსებს?

— ჩვენს შორის ზუსტად ის მოხდა, რაც ორ ძმას ემართება ხოლმე. დროთა განმავლობაში, კავკასიაში, ორი მოსისხლე მტერიც კი რიგდება და ეს ყოველთვის ასე იყო, თუმცა შერიგების პროცესს დრო და ნათელი გონება სჭირდება, ისეთი ადამიანებია საჭირო, როგორებიც მე და ცეზარი ვართ, რომლებსაც ჩხუბი კი არა, მუშაობა და კარგად ცხოვრება გვინდა. ვინც არ მუშაობს, ის ყოველთვის ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ მან საკუთარი ისტორია არ იცის, არაფერი წაუკითხავს თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესახებ. ფაქტია და ვერავინ უარყოფს, რომ ოსური ოჯახებიდანაც გზავნიან შვილებს საქართველოში განათლების მისაღებად და პირიქით, აქედანაც ჩამოდიან ვლადიკავკაზში. ჩვენი ამოცანაა, გავაგრძელოთ ის, რაც წინაპრებმა დაგვიტოვეს, რადგან ახლანდელი უთანხმოება მხოლოდ დროებითი მოვლენაა, რომელიც აუცილებლად გაივლის. ერთხელ მითხრეს, ყველას რომ ისე უყვარდეს საქართველო, როგორც ასლან ხადარცევს, უკეთ ვიცხოვრებდითო, არ მრცხვენია, რადგან ეს მართლაც ასეა. ჩვენ არასოდეს შევიცვლებით, ასეთებად დავრჩებით და ამ ურთიერთობებს გავუფრთხილდებით!

— ახალგორში მცხოვრებ ოსებს მართლა უთხარით, რომ ისინი ქართველების ძმები არიან და საქართველოში ერთად, მშვიდობიანად უნდა იცხოვრონ?

— დიახ, და ეს არაერთხელ მითქვამს მათთვის, დასამალი არაფერია! იცით, როგორი ხასიათი მაქვს? თუკი ოჯახში ბევრი არაფერი გექნებათ, მაგრამ პურის ნაჭერს მთელი გულით შემომთავაზებთ, ჩემთვის ესეც საკმარისი იქნება. ამიტომ ახალგორის რაიონში, ბევრ ოჯახში ვარ ნამყოფი და ვიცი, როგორ ცხოვრობს ხალხი. ეს ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე ვუთხარი ახალგორელ ოსებს, როდესაც ცეზარის ძმა, ვეფხია ჩოჩელი, პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი იყო. რაიონის კლუბში იყო შეხვედრა და ოსებს მივმართე, რომ მამაჩემიც მეგობრობდა ქართველებთან და მეც ვმეგობრობ მათთან. ჩვენი ცხოვრება იმდენად ხანმოკლეა, არ შეიძლება, ომსა და ჩხუბში გავატაროთ. ეს ურთიერთობა არ უნდა დავკარგოთ, რადგან ის, რაც სისხლში გვაქვს, შეუძლებელია, არ შევინახოთ. „მიმინო“ ხომ გახსოვთ? მხოლოდ ქართველს შეუძლია, სომეხ მეგობართან ერთად, მთელი ფული რესტორანში დახარჯოს, მეორე დღეს კი, ცარიელი ჯიბით, ქუჩაში დარჩეს. ისევ წინა კითხვას დავუბრუნდები, 20 წლის წინ, ჩვენც ის დაგვემართა, რაც ყველა ქვეყანას — დსთ-ს სივრცეში, გავცხარდით, მაგრამ დამიჯერეთ, ეს ყველაფერი ჩაივლის. ისევ სიამოვნებით წავიკითხავთ რუსთაველს, ვნახავთ გიორგი დანელიას ფილმებს, მოვუსმენთ ვახტანგ კიკაბიძეს... მართალია, გავცხარდით, მაგრამ ის, რაც ისტორიულად გვაკავშირებს, არ დაიკარგება. თქვენ, ქართველებს განვითარების მეტი შანსი და რესურსი გაქვთ, რადგან ჩვენი რესპუბლიკა მხოლოდ ერთი სუბიექტია რუსეთის ფედერაციაში, ამიტომ აუცილებელია, ჩვენს შორის კულტურული, საგანმანათლებლო ურთიერთობები დალაგდეს. კარგად მესმის, რომ ინგლისურიც აუცილებელია, მაგრამ ჩვენი კულტურული ურთიერთობები ბავშვებს თავიდანვე უნდა ვასწავლოთ და ეს ორივე მხარემ უნდა გავაკეთოთ. დღევანდელმა ბავშვებმა „შრეკი“ უფრო კარგად იციან, არადა, კარგი იქნება, თუ „წუნას და წრუწუნას“ უფრო ხშირად ვაჩვენებთ და პატარაობიდანვე შევაყვარებთ!

— ბატონო ასლან, უხერხული შეკითხვა უნდა დაგისვათ, თუკი ოსები მზად არიან, რუსთაველი წაიკითხონ, დანელიას ფილმები ნახონ, გამოდის, რომ პრობლემა ქართველებსა და ოსებში კი არა, სხვა, მესამე ძალაშია. არ გგონიათ, რომ ჩვენს შორის კონფლიქტი რუსეთის ინსპირირებულია?

— ვერ დაგეთანხმებით, რადგან საფუძველი არ მაქვს ვიფიქრო, რომ ეს კონფლიქტი ვიღაცის მიერაა ინსპირირებული. ვფიქრობ, ნებისმიერი კონფლიქტის მიზეზი ეკონომიკური, ან სოციალური მიზეზია, ხშირად კონფლიქტს ამა თუ იმ ხელმძღვანელი პირის დაუფიქრებლობა, მცდარი საქციელი, ან სულაც შემთხვევითობა იწვევს, რადგან თავის დროზე, როდესაც ავსტრიის ჰერცოგი მოკლეს, ომი დაიწყო. როდესაც ორი ერი ასე მჭიდროდაა დაკავშირებული, გარეგანი არა, მაგრამ შინაგანი ფაქტორები კონფლიქტს იწვევს. ვფიქრობ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი მაშინდელი ხელმძღვანელები შეცდნენ. მარტივ მაგალითს გეტყვით: დაღესტნის ხელმძღვანელად, დროებით, რამაზან აბდულატიპოვი დანიშნეს, რომელიც დიდებული პოლიტიკოსია. მიმაჩნია, რომ კავკასიაში, ახალგაზრდა კაცის ხელმძღვანელად არჩევის ტენდენცია ყოველთვის არ ამართლებს. კავკასიის ქვეყნებში, სადაც საუკუნეების განმავლობაში მიჩვეულები არიან, უფროსების რჩევას დაუგდონ ყური, ხელმძღვანელად შედარებით უფროსი ასაკის, გონიერ ხალხს უნდა ვირჩევდეთ. ჩვენ, კავკასიელები, ცხელსისხლიანები ვართ, ამიტომ პოლიტიკური ხელმძღვანელი გონიერი ადამიანი უნდა იყოს. ცხადია, ომმა ტკივილი და ჭრილობები დაგვიტოვა, მაგრამ დრო გავა და ერთად ცხოვრებას ისევ შევძლებთ. დიახ, ერთმანეთის მოსისხლეებად ვიქეცით, მაგრამ სიმართლის თქმის არ უნდა შეგვრცხვეს. მოდი, საკუთარ თავში ვეძებოთ კონფლიქტის მიზეზი, შეცდომებიც ჩვენში აღმოვაჩინოთ და არა სხვა, მესამე ძალაში. ქართველებმა და ოსებმა ერთმანეთს მეგობრულად უნდა ჩამოვართვათ ხელი და ვუთხრათ, საუკუნეების განმავლობაში ვმეგობრობთ და ასე უნდა გავაგრძელოთო. ინგლისელებს, შოტლანდიელებსა და ირლანდიელებს ერთმანეთში სულ დავა აქვთ, მაგრამ რას იზამ, მაინც ერთ ქვეყანაში არიან გაერთიანებულნი, რომელსაც დიდი ბრიტანეთი ჰქვია!

„აგვისტოს ომამდე ვუთხარი ახალგორელ ოსებს, რომ მამაჩემიც მეგობრობდა ქართველებთან და მეც ვმეგობრობ მათთან. ჩვენი ცხოვრება იმდენად ხანმოკლეა, არ შეიძლება, ომსა და ჩხუბში გავატაროთ... 20 წლის წინ ჩვენც ის დაგვემართა, რაც ყველა ქვეყანას დსთ-ს სივრცეში, გავცხარდით, მაგრამ დამიჯერეთ, ეს ყველაფერი ჩაივლის. ისევ სიამოვნებით წავიკითხავთ რუსთაველს, ვნახავთ გიორგი დანელიას ფილმებს, მოვუსმენთ ვახტანგ კიკაბიძეს... თქვენ, ქართველებს, განვითარების მეტი შანსი და რესურსი გაქვთ. ჩვენი რესპუბლიკა კი, მხოლოდ ერთი სუბიექტია რუსეთის ფედერაციაში. ქართველებმა და ოსებმა ერთმანეთს მეგობრულად უნდა ჩამოვართვათ ხელი და ვუთხრათ, საუკუნეების განმავლობაში ვმეგობრობთ და ასე უნდა გავაგრძელოთო“

„ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუს ასლან ხადარცევის უფროსი ვაჟი, ზაურ ხადარცევი აგრძელებს:

— ხადარცევებსა და ჩოჩელებს შორის მეგობრობა უფროსებმა დაიწყეს და ახლა ჩვენ, შვილებიც ვაგრძელებთ, მალე ამ მეგობრობის 20 წლის იუბილესაც აღვნიშნავთ. ჩვენ უკვე ისეთი ურთიერთობა გვაქვს, რომ ასე ახლოს, სისხლით ნათესავებიც კი არ არიან.

— ზაურ, ცეზარ ჩოჩელის ქარხანაში მუშაობთ თუ მამათქვენის ლუდის საწარმოში?

— არა, მამაჩემი, ბებიასა და ბაბუასთან ერთად, სოფელში ცხოვრობს. მას შემდეგ, რაც დავოჯახდი, ვლადიკავკაზში გადავედი საცხოვრებლად და დამოუკიდებლად ვმუშაობ. ამჟამად ცეზარ ჩოჩელის პარტნიორი ვარ ბიზნესში და პროდუქციის დისტრიბუციაში ვეხმარები, თუმცა არ იფიქროთ, მხოლოდ „ზედაზენისა“ და „ნატახტარის“ პროდუქციის დისტრიბუციას ვახორციელებ, სხვა კომპანიებსაც ვეხმარები, რომლებიც სასმელს აწარმოებენ. თუ საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დალაგდება და აღდგება, უალკოჰოლო სასმელის გარდა, რუსეთის ბაზარზე აუცილებლად გავიტან ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყლებსაც.

ვერსიანიუსი

კერძო იპოთეკარები გრძელვადიან და დაბალპროცენტიან სესხებს ითხოვენ

ბათუმში, მერიის წინ, კერძო იპოთეკარებმა აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები გრძელვადიან და დაბალპროცენტიან სესხებსა და საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერ მურმან დუმბაძესთან შეხვედრას მოითხოვდნენ, თუმცა მათი თხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან როგორც დუმბაძის წარმომადგენელმა განუცხადა, მურმან დუმბაძე აშშ-ში სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

კერძო იპოთეკარები, საკითხის მოუგვარებლობის შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ბიძინა ივანიშვილთან ჩასვლასაც გეგმავენ და პროტესტის გაგრძელებით იმუქრებიან.

აქციის მონაწილეებთან ერთად იმყოფებოდა უფლებადამცველი თამაზ ბაკურაძე, რომლის ინფორმაციით, კერძო იპოთეკარები აქციებს მანამ გააგრძელებენ, სანამ ხელისუფლება მათი პრობლემით არ დაინტერესდება.

„მედიანიუსი“

ანტისამთავრობო დემონსტრაციაზე პოლიციას ბოთლები დაუშინეს

ეგვიპტის დედაქალაქში ოპოზიცია ხელახლა გამოვიდა ანტისამთავრობო დემონსტრაციაზე — პრეზიდენტის სასახლესთან პოლიციასთან შეტაკება მოხდა. დემონსტრანტებმა დაცვას ქვები და ბოთლები დაუშინეს, პოლიცია კი მათ დაშლას ცდილობდა, რის დროსაც ჰაერში გასროლა მოხდა.

ათასობით ადამიანი ხელახლა გამოვიდა ეგვიპტის ქალაქებში, რათა უკმაყოფილება გამოთქვას პრეზიდენტ მოჰამედ მურსის და მოძრაობა „ძმები მუსულმანების“ პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ. ოპოზიციის ლიდერები კვლავ მოუწოდებენ მოსახლეობას, შეუერთდნენ საპროტესტო აქციებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ქვეყნის მმართველ პარტიასთან შეთანხმებას მოაწერეს ხელი, ძალადობაზე უარის თქმის შესახებ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

სოსო მანჯავიძე „რესპუბლიკელებს“ „ნაციონალებთან“ გენეტიკურ ნათესაობაში ამხელს

რატომ უჭერს „ოცნების“ პარლამენტი მხარს სააკაშვილისთვის საპრეზიდენტო ვადის ოქტომბრამდე გაგრძელებას და როგორ აპირებს საქართველოს პატრიოტთა ალიანსი ხალხისთვის ღირსების აღდგენას

ასეთი რამ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდშიც არ ხდებოდა. ბუნებრივია, მოსახლეობისთვის სრული შოკი იქნებოდა, როცა გაიგებდა, პარლამენტმა, თავისი წარმომადგენლის სახით, მხარი მიხეილ სააკაშვილის მიერ უზურპირებული ძალაუფლების ოქტომბრამდე გაგრძელებას დაუჭირა. უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესი ერთმანეთს ემთხვევა — ორივეს სააკაშვილის შენარჩუნება აწყობს. შესაბამისად, ორივე ძალა შეთანხმებულად მოქმედებს, რომ საინფორმაციო კამპანია კონტროლდებოდეს.

ირუსუდან შელია
პოლიტიკა

რატომ აცხადებს უარს საქართველოს პარლამენტი პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტაზე, რა შეთანხმება დაიდო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, როგორ აპირებს სამართლიანობის აღსადგენად ბრძოლას და რისკენ მოუწოდებს საქართველოს პატრიოტთა ალიანსი მოსახლეობას. „ვერსიის“ კითხვებს პარტიის გენერალური მდივანი სოსო მანჯავიძე პასუხობს.

— 29 იანვარს, ბათუმში, საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა გაიმართა, რომელმაც ჩვენს მიერ შეტანილი სარჩელის შესაბამისობის საკითხი განიხილა. მოგეხსენებათ, სარჩელით, 2006 წლის 26 დეკემბერს მიღებული კანონის ბათილად ცნობას მოვითხოვდით, რომლის მიხედვითაც, მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო ვადა 10 თვით გაიხანგრძლივა. აღნიშნული კანონი ყოველგვარი პროცედურის დარღვევით მიიღეს, თან ხალხის მიერ განსაზღვრული ვადით არჩეულ პრეზიდენტს უფლება არ აქვს, ძალაუფლება უკანონოდ მიითვისოს. პროცესზე მოსარჩელე მხარეს მე წარმოვადგენდი, მოპასუხე კი, საქართველოს პარლამენტი იყო. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი ზურაბ დეკანოსიძე საქართველოს პრეზიდენტად სააკაშვილის ოქტომბრამდე დარჩენის პოზიციას გააფთრებული იცავდა და ეს ჩემთვის უსიამოვნო სიურპრიზი იყო.

— პარლამენტის წარმომადგენელი ამ პოზიციას რა არგუმენტით ამყარებდა?

— პირდაპირ გეტყვით: პროცესზე ზურაბ დეკანოსიძემ, არგუმენტების ნაცვლად, აბსოლუტური იურიდიული დომხალი წარმოადგინა. ყურებს არ ვუჯერებდი, როცა „რესპუბლიკელების“, კერძოდ, ვახტანგ ხმალაძის პარადოქსულ მაქსიმაზე საუბარი დაიწყო, 2006 წელს მიღებული კანონი უსამართლოა, თუმცა იმის გამო, რომ კანონის ამკრძალავი ფორმა არ არსებობს, არსებობა უნდა განაგრძოს. დეკანოსიძეს ვკითხე, თუკი უმრავლესობამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი მარადიულ პრეზიდენტად უნდა იქცეს, ასეთ შემთხვევაში, საზოგადოებამ რა ქნას-მეთქი, პასუხი ვერ მივიღე. ისე, ერთი სასაცილო არგუმენტი მოვისმინე: სარჩელის განხილვა, თურმე, იმ მიზეზით არ შეიძლება, რომ აღნიშნული კანონი, 2006 წელს შესული ცვლილების შემდეგ, კონსტიტუციის ორგანული ნაწილი გახდა. იცით, ეს რას ნიშნავს? რას და, თუ კვალიფიციურმა უმრავლესობამ მიიღო ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის ნახევარმა ტანსაცმლის გარეშე უნდა იაროს, საკონსტიტუციო სასამართლოში ამ კანონის განხილვა შეუძლებელია. ერთი სიტყვით, ახლა ქვეყნის ბედი რომ არ წყდებოდეს, ეს ლოგიკა სრული იდიოტიზმი და, ალბათ, იუმორისტულიც იქნებოდა. საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია სწორედ კონსტიტუციური წესრიგის დაცვაა და ეს დებულება ვერც საქართველოს პარლამენტმა უარყო, მაგრამ პროცესზე პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანები ამაში ვერ დავითანხმეთ.

— „პოლიტიკურად ანგაჟირებულ ადამიანებში“ ვის გულისხმობთ?

— ძირითადად, „რესპუბლიკელებისა“ და კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსის პოლიტიკურ ინტერესებზე ვსაუბრობ. ეს ინტერესი კი იმაში მდგომარეობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები სახალხო აღარ იყოს და ქვეყნის პირველი პირი პარლამენტმა აირჩიოს. ამ კანონის მიღებას ამჟამინდელი უმრავლესობაც ზუსტად ისე აპირებს, როგორც ნაციონალურმა მოძრაობამ 2006 წლის 27 დეკემბერს მიიღო. კოალიციაში, „რესპუბლიკელებთან“ ერთად, სხვა „ჭკვიანი“ პოლიტიკოსებიც არიან, რომლებიც საქართველოში განვითარების საშუალებას, პრაქტიკულად, სპობენ. არადა, ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნების შედეგი მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ხათრითა და სააკაშვილის სიძულვილით მივიღეთ. სხვა შემთხვევაში, „რესპუბლიკელებს“ პარლამენტში არავინ შეუშვებდა. შესაბამისად, ახლა, ამ ადამიანებს არჩევნების შედეგად მოპოვებული პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცება სურთ, რითიც ნაციონალურ მოძრაობასთან გენეტიკურ ნათესაობას ამჟღავნებენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ნაციონალური მოძრაობა ხისტად მოქმედებდა, ამჟამინდელი უმრავლესობის წარმომადგენლები კი, შედარებით, რბილ გზას ირჩევენ. საკონსტიტუციო სასამართლოში გამართულმა დებატებმა, რომელიც ოთხ საათს გრძელდებოდა, სწორედ ამ დასკვნამდე მიმიყვანა. თავადაც არ იციან, რას ამბობენ და, როგორც ჩანს, წარმოდგენა არც სამართლის პრინციპებზე აქვთ. უსამართლო იურისპრუდენცია ხომ ფაშიზმია? — ის, რაც გერმანიაში ხდებოდა, იმჟამინდელ გერმანულ კონსტიტუციასთან აბსოლუტურად შესაბამისი და ლეგიტიმური იყო, მაგრამ ნიურნბერგის პროცესზე ვინმეს რომ ეთქვა, კანონი უსამართლოა, მაგრამ კანონიერიო, რა პასუხს მიიღებდა?

აღსანიშნავია, რომ პროცესზე აბსოლუტურად ყველა ქართული ტელევიზია იმყოფებოდა და თითოეულმა საკმაოდ ვრცელი სიუჟეტიც მოამზადა, თუმცა ეთერში ერთიც არ გაუშვეს.

— ბატონო სოსო, ეს საკმაოდ სერიოზული ბრალდებებია... გაუგებარია, უმრავლესობას ოქტომბრამდე სააკაშვილის პრეზიდენტობა რაში აწყობს?

— ჩემი სიტყვები მხოლოდ ფაქტებზეა დამყარებული, ამიტომ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: გარკვეული ძალა იბრძვის, პრეზიდენტის ძალაუფლების შენარჩუნებასთან დაკავშირებით, პარლამენტის პოზიცია საქართველოს საზოგადოებისთვის ცნობილი არ გახდეს. ყველამ კარგად ვიცით, რომ მოსახლეობის 90% სააკაშვილის წინააღმდეგია. იმასაც ვხედავთ, რომ „ოცნებაში“ გაწევრიანებულ პარტიებს შორის აზრთა სხვადასხვაობა დღითიდღე მკვეთრ ხასიათს იღებს, რაც არაჯანსაღი პოლიტიკის წარმოებას იწვევს. ერთხელ და სამუდამოდ, უნდა მივაღწიოთ, რომ ქვეყანაში საჯარო პოლიტიკის წარმოების კულტურა დაინერგოს. თუ დღევანდელ ვითარებას გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ხელისუფლების გარკვეული ნაწილი კაციჭამიებს „ათეთრებს“, არადა, პარალელურად გვიმტკიცებს, ნაციონალური მოძრაობა ჩვენებების მისაღებად დაკავებულის თვალწინ ოჯახის წევრებს აუპატიურებდაო. ისიც ცნობილია, რომ ბრალდებულებს მიწაში მარხავდნენ და თავზე ბუნებრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდნენ. გეკითხებით, ასეთ არაადამიანებს პენსიაზე გასვლა მშვიდად რატომ უნდა ვაცალო? გარწმუნებთ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება. თუ ადრე, საზოგადოება თოფისა და გაუპატიურების შიშის ქვეშ ცხოვრობდა, დღეს ვითარება რადიკალურად შეცვლილია და ხალხი ღირსებას აუცილებლად აღიდგენს. საამისოდ ჩვენც ბოლომდე ვიბრძოლებთ.

— თუკი საკონსტიტუციო სასამართლო თქვენს სარჩელს არ დააკმაყოფილებს, ბრძოლას რა ფორმით გააგრძელებთ?

— ამ ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლო ფიქრობს, აქვს თუ არა უფლება, ჩვენი სარჩელი განიხილოს, თუმცა საბედნიეროდ, პირველ პროცესზე საქმის არსებითი განხილვა, პრაქტიკულად, დაიწყო. სხვათა შორის, ვენეციის კომისიის თავმჯდომარეს სარჩელი პირადად გადავეცით და კიდევ არაერთ ინფორმაციას მივაწვდით იმის შესახებ, როგორ უგზავნიდნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები კომისიას მხოლოდ პროექტებს, საქართველოში კი, სულ სხვა შინაარსის კანონებს იღებდნენ. ისე, იმის თქმა, თითქოს დასავლეთს პრეზიდენტის თანამდებობიდან მიშას გაშვებას ვერ ავუხსნით, სრული აბსურდია. უკანონობის აღმოფხვრით ხელისუფლებაც უნდა იყოს დაინტერესებული. პარლამენტში მყოფ თანამებრძოლებს ვეკითხები: რა დაგემართათ, ხალხმა მიშასთვის ხელისუფლების გასახანგრძლივებლად აგირჩიათ? ნუ გვიქმნით კოჰაბიტაციის კერპს, რომელიც, თუკი მისი ნების წინააღმდეგ წავალთ, თითქოს დაგვსჯის. მსგავსი მარაზმი, რაც საქართველოში ახლა ხდება, ჩემთვის წარმოუდგენელი იყო და გაოცებული ვარ! ვიმედოვნებ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება.

ვერსიანიუსი

მაია ფანჯიკიძე მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა

სამხრეთ–აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ სესიაზე მაია ფანჯიკიძემ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებსა და კავკასიის რეგიონში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა, — ამ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია ახალი მთავრობის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად რჩება. ამ არჩევანს მხარს უჭერს ქართველი ხალხის უმრავლესობა და ჩვენის მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხალხის სურვილი შესრულდეს“, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა საქართველოს მიერ ევროკავშირთან დაახლოების პროცესში მიღწეულ წარმატებებს, ისაუბრა საქართველო–ევროკავშირის ნაყოფიერ თანამშრომლობასა და ვილნიუსში დაგეგმილი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის მნიშვნელობაზე.

მაია ფანჯიკიძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხზე:

მიუნჰენში მიმდინარე უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში, მაია ფანჯიკიძემ ორმხრივი შეხვედრები უკვე გამართა ისრაელის ვიცე-პრემიერ ეჰუდ ბარაკთან; სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მიროსლავ ლაიჩაკთან; ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრ ანტონიო პატრიოტასა და ბავარიის სახელმწიფო მინისტრ ემილია მიულერთან.

„ინტერპრესნიუსი“

ილია მეორე: „ხშირია, როდესაც ადამიანს ერი ავიწყდება და მხოლოდ საკუთარ თანამდებობაზე ფიქრობს!“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას აღნიშნა, უფალი ყველაფერს ხედავს და ადამიანებმა სიკეთის კეთება უნდა იჩქარონ:

„უნდა ვაკეთოთ სიკეთე და ისეთი საქმე, რომელიც საჭიროა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ერისთვის. ხშირია, როდესაც ადამიანს ერი ავიწყდება, ფიქრობს მხოლოდ საკუთარ სკამსა და თანამდებობაზე და საკუთარ კეთილდღეობას უფრო მაღლა აყენებს და ანაცვალებს მას ერის კეთილდღეობას, ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ დაკვირვებულნი. არსებობს ფართო და ვიწრო გზა, ვისაც უნდა იაროს ფართო გზით, ის ვერ მივა სასუფეველში“.

პატრიარქმა უფალს შესთხოვა, მიანიჭოს ერს „განცდა ცოდვათა თვისთა და გული გონიერი“, რათა შეძლოს გარჩევა, სად არის კეთილი და სად ბოროტი.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანი ბედნიერია, თუმცა ამ ბედნიერებას ვერ ხედავს:

„ხშირად ადამიანს გააჩნია მძიმე ჯვარი და ღვთის წყალობით, ადვილად ატარებს თავის ჯვარს. მეცნიერები ამბობენ, რომ სამი რამ აფუჭებს და რყვნის ადამიანს: დიდება ანუ დიდი თანამდებობა, სიმდიდრე და სილამაზე. ჯავახიშვილი ამბობს, რომ თამარ მეფეს სამივე ჰქონდა და ის გახდა წმინდანი. ეს წუთისოფელი ცდილობს, დაიჭიროს ადამიანი ფულით, თანამდებობითა და სხვა საშუალებებით, მაგრამ ადამიანი უნდა ხედავდეს, სად არის კეთილი და სად — ბოროტი, სად არის საფრთხე“.

უწმინდესის თქმით, ბედნიერი ადამიანია ის, ვინც მორწმუნეა, მოსიყვარულეა, ცხოვრობს მომავლისა და ღვთის იმედით და ადამიანებს ენდობა.

„ინტერპრესნიუსი“

ეკლესიის გადაწყვეტილებით, 2013 თამარ მეფის წლად ცხადდება

საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილებით, 2013 თამარ მეფის წლად ცხადდება, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა. როგორც უწმინდესმა აღნიშნა, 2013 საიუბილეო წელია, რადგან მეცნიერები ფიქრობენ, რომ წელს თამარ მეფის გარდაცვალებიდან 800 წელი სრულდება.

„არსებობს სხვა მოსაზრებებიც, თუმცა მეცნიერთა უმეტესობა ასე მიიჩნევს, ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ წელს თამარ მეფის წელი დაერქვას. წმინდა თამარ მეფე შეეწიოს სრულიად საქართველოს, გაამთლიანოს და გაახაროს ქვეყანა და ყოველი ადამიანი“, — ბრძანა უწმინდესმა.

„ინტერპრესნიუსი“

ქართული ოცნების გორის რაიონულ ორგანიზაციაში დაპირისპირებაა

ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს გორის რაიონულ ორგანიზაციაში დაპირისპირებაა. გორში პარტიის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენციის ჩატარებაა დაგეგმილი. კოალიციის წევრთა ერთი ჯგუფის განცხადებით, ხდება დამფუძნებლების იგნორირება და იმ ადამიანებს, ვინც წვლილი შეიტანა წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების შემდგომაც, კონფერენციაზე დასწრების საშუალება დელეგატის მანდატითაც კი არ ეძლევათ.

ადვოკატი და პარტიის ერთ-ერთი წევრი მამუკა ნოზაძე აცხადებს, რომ არასამართლებრივი წესით ხდება პარტიაში ადამიანების განევრიანება. მისივე თქმით, პარტიის გორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეობის კანდიდატი მარინა მეტრეველი პირადი შეხედულებისამებრ არჩევს იმ ადამიანებს, ვინც ხვალინდელ დამფუძნებელ კონფერენციაში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

თავად მარინა მეტრეველი ამ ბრალდებას აბსურდულს უწოდებს და აცხადებს, რომ პარტიაში ყველა იმ ადამიანის განევრიანება ხდება, ვისაც სურვილი აქვს და დელეგატებადაც ის პირები შეირჩნენ, ვინც მართლაც, შეიტანა წვლილი პარტიის საქმიანობაში.

თავის მხრივ, დაპირისპირებულ მხარეს პარტიის თავმჯდომარის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა ჰყავს — ადვოკატი სოსო სოსიაშვილი და მიაჩნია, რომ ის გაცილებით მეტის გაკეთებას შეძლებს, ვიდრე — მარინა მეტრეველი.

„ინტერპრესნიუსი“

„ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნება, სისხლიანი რევოლუციითაც გაუჭირდება“

ეს განაცხადა, „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას, პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ ივანე მერაბიშვილის სიტყვების კომენტირებისას გააკეთა და აღნიშნა, რომ ხელისუფლებაში დაბრუნების განზრახვა ყველას შეიძლება ჰქონდეს:

„ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილი და განზრახვა ყველას შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ გააჩნია, რა მექანიზმით. თეორიულად, ხელისუფლებაში დაბრუნების რამდენიმე მექანიზმი არსებობს, პირველი — არჩევნების გზით, მეორე — საპროტესტო აქციებითა თუ სხვა მექანიზმებით, რომელიც ხავერდოვან რევოლუციას გულისხმობს და მესამე — ე.წ. არახავერდოვანი ანუ სისხლიანი რევოლუცია, რომელიც კანონით ისჯება. ამ სამი ალტერნატივიდან არჩევნებსა და ხავერდოვან რევოლუციაში გამარჯვებას, სისხლიანი რევოლუციისგან განსხვავებით, ხალხის მხარდაჭერა სჭირდება. სისხლიანი რევოლუციის დროს, ამა თუ იმ ძალას, შესაძლოა, მცირე მხარდამჭერი ჰყავდეს, მაგრამ თოფით გაიმარჯვოს. ნაციონალური მოძრაობა ამ გზით თუ აპირებს წასვლას, მაშინ საქართველოს წინაშე უფრო დამნაშავე აღმოჩნდება, ვიდრე დღესაა და შესაბამისადაც დაისჯება“.

საყვარელიძის თქმით, ამ ფორმით სააკაშვილის გუნდს ხელისუფლებაში დაბრუნება გაუჭირდება.

ნაციონალურ მოძრაობას კი მოქმედი ხელისუფლების დასუსტების გეგმა უკვე აქვს. **„სამწუხაროდ, ეს მთავრობა ისეთია, რომ ჩვენ ვერ დაველოდებით 4 წელიწადს“,** — ეს განცხადება ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა, ვანო მერაბიშვილმა „ნაცმოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში, იძულებით გადაადგილებულ პირებთან შეხვედრისას გააკეთა.

მისი თქმით, ხელისუფლებაში დაბრუნებისთანავე, ყველაფერს აღადგენენ, დაახლოებით, 6 თვეში.

„ჯი-ეიჩ-ენი“

დავით საგანელიძე „ოცნების“ აქტივისტებს აფრთხილებს

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

იუსტიციის სახლში გამართული შეხვედრის დასრულებისთანავე, „ვერსია“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძეს იმ დახურულ თემებზე ესაუბრა, რომლებიც პრემიერს მედიასთან არ გაუჟღერებია. რას ფიქრობს კოალიციის დაშლა-არდაშლასა და შიდა დავებზე, რა ურთიერთობა აქვს ირაკლი ალასანიას პარტიასთან, რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს უჭერს მხარს და მონაწილეობს თუ არა კოალიცია სხვა ოპოზიციური პარტიების დაშლაში? — ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ვერსიას“ „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, დავით საგანელიძე ესაუბრება.

„თუ გაინტერესებთ, გეტყვით: სანოძის დის ქმარი ბესო სურმავაა, რომელიც გაიყიდა! ეტყობა, მათ ასეთი ოჯახი აქვთ და გასაგებია, როგორც ერთია შემოგზავნილ-დავერბოვკებული, ისე — მეორე. სიძე-ცოლისძმა აშკარად, ერთ სიტუაციაშია!“

— მთავრობასთან შეთანხმებული პოზიციები რომ გვქონდეს, შეხვედრაზე პარლამენტში მიმდინარე პროცესები განვიხილეთ. ასევე, ის საკითხები შევათანხმეთ, რომლებიც საგაზაფხულო სესიაზე გაგვაქვს. პრემიერთან კონსულტაცია პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო ცვლილებაზეც გვქონდა — ამ ინიციატივას პარლამენტი მიმდინარე კვირას განიხილავს. შეხვედრაზე პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლაც განვიხილეთ...

— პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლისას „ოცნებისგან“ დემარშს უნდა ველოდეთ?

— შორს არ ვარ იმ აზრისგან, პარლამენტართა ნაწილს დემარშის სურვილი გაუჩნდეს. ზოგს სააკაშვილის მოსმენა ან მასთან დებატები, შეიძლება, არც უნდოდეს. ასე რომ, არ ვიცი, ვის რისი სურვილი გაუჩნდება. ისე, ბუნტისთავი ბევრია!

— აკი, პინგ-პონგის რეჟიმში აღარ გვინდა ყოფნაო... ბატონო დავით, ისევ პოსტ ფაქტუმ რომ არ გავიგოთ, ამ შეხვედრაზე რომელიმე მინისტრი ხომ არ მოგიხსნიათ? ამბობენ, რომ თანამდებობას მალე მაია ფანჯიკიძე დატოვებს...

— ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა. ჭორის დონეზე, სხვადასხვა გვარი სახელდება, მაგრამ ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ მაია ფანჯიკიძე გამორჩეულად კარგი მინისტრია და მისი სხვაგან გადასვლა ჩემთვის მიუღებელი იქნება.

— საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, „ოცნების“ ოთხი ფრაქციის ლიდერმა სპეციალური ბრიფინგის ჩატარება რატომ გადაწყვიტეთ, მით უმეტეს, რომ ეს თემა დიდი ხანია, საჯაროდ განიხილება?

— საჯარო განხილვები მიმდინარე პროცესზე ინფორმაციას ხალხის მცირე ნაწილს აძლევდა. საერთოდ, ეს განხილვები, ჩემი აზრით, არაეფექტური იყო — უფრო ფორმალობას ჰგავდა!

— კოალიცია რომ იშლება, შეხვედრაზე ამაზეც ისაუბრეთ?

— კოალიცია არ იშლება და ამ წუთას, ამის წინაპირობა არ არსებობს, მაგრამ ფაქტია, ეს გაერთიანება დროებითია. ორი გამოსავალია — ან უნდა დაიშალოს ან ყველა პარტია ერთ პოლიტიკურ ძალად გაერთიანდეს. სხვა თემაა, 6 სუბიექტად დავიშლებით, სამი გავა, სამიც ერთ პარტიაში გაერთიანდება თუ რა კონფიგურაციით წავა პროცესი. დღეს გაერთიანებაზე საუბარი არაა და ეს რეალური არც მომავალში მგონია.

— საუბარიც იყო, ნიშნებიცა და გადაწყვეტილებაც, მაგრამ ქართულ ოცნებასთან „ფორუმის“ გაერთიანება არ შედგა. რატომ?

— ეს გაერთიანება, უბრალოდ, გადაიდო და სხვა არაფერი. ეს ჩვენი დაშლის ნიშანი არაა, მაგრამ იმის პირობას ნამდვილად მოგცემთ, რომ კოალიცია ოდესმე დაიშლება!

— საქმე ისაა, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთად მიაღწევთ თუ არა და, საერთოდ, რას მოიტანს თქვენი შეუთანხმებლობა საპრეზიდენტო კანდიდატზე!

— ეს იმდენად პრაგმატული საკითხია და თუ კოალიციის რომელიმე სუბიექტი კანდიდატს დამოუკიდებლად დააყენებს, ჩათვალეთ, არაპრაგმატულად მოიქცევა და შანსი არ ექნება. დარწმუნებული ვარ, კოალიციას ერთი კანდიდატი ეყოლება, თუმცა ყველა კმაყოფილი ვერ იქნება. აქამდე დასახელებული ორი კანდიდატი, მგონი, ოფიციალურად არ შეთანხმებულა. ნუ გვიკვირს, რომ ხმალაძე-ალასანიას კანდიდატურები იყო დასახელებული, მაგრამ ვფიქრობ, სხვა გვარებიც გამოჩნდება.

— ბატონო დავით, დამამშვიდეთ და მითხარით, რომ კოალიცია ქვეყნის მართვის ფორმაზე შეთანხმდა...

— ვერ დაგამშვიდებთ, ერთადერთი საორჭოფო საკითხი, რაც ღიად რჩება, ქვეყნის საკონსტიტუციო მოწყობაა. კოალიციაში შემავალი პარტიების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ჩვენთვის საუკეთესო საპარლამენტო რესპუბლიკაა. ასე რომ, საზოგადოებას უნდა მივმართოთ და პლებისციტი ან რეფერენდუმი ჩავატაროთ.

— ეს რეფერენდუმიც ისეთივე დაბალი დონის იქნება, როგორც საჯარო განხილვები იყო? ისე, რთულია, ხალხს უთხრა, პრეზიდენტს შენ კი არა, ჩემი პარლამენტი აირჩევსო.

— ეს ორი რამ პროცედურულად, სხვადასხვა მოვლენაა. ყოველთვის პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის მომხრე ვიყავი, მაგრამ ახლა, როცა საპარლამენტო რესპუბლიკისკენ მივდივართ, სადაც ძირითადი უფლებამოსილება პარლამენტსა და მის მიერ არჩეულ პრემიერზე გადადის, პრეზიდენტს კი ნომინალური უფლებები აქვს, მის არჩევაზე დროისა და ენერგიის დახარჯვა არ ღირს და პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს, თუმცა ეს მაინც საკამათო თემაა და თუ რეფერენდუმით ხალხის უმეტესობა გადაწყვეტს, რომ პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა უნდა, ასეც იქნება!

— ბატონო დავით, ირაკლი ალასანია თქვენზე განაწყენებულია? — მისი პარტიის წევრი, ნიკოლოზ სანოძე მოღალატედ გამოაცხადეთ, რომელსაც ზურაბ აბაშიძე გამოესარჩლა და აბაშიძესთან დისკუსიაში შეხვედით...

— აქ საწყენი არაფერია — „ოცნება“ აქამდე ნომინალურად იყო წარმოდგენილი, რადგან პარტიული სტრუქტურები რეგიონებში, პრაქტიკულად, არ გვქონდა. დღეს ამაზე ზრუნვა დავიწყეთ, რამაც „ნაციონალები“ და მათ მიერ ჩანერგილი აგენტები გამოაცოცხლა. „ჩანერგილები“, ალბათ, კოალიციის ყველა პარტიაში, განსაკუთრებით, ბევრი კი, „ქართულ ოცნებაშია“. თემა იმიტომ გამწვავდა, რომ ადამიანების ნაწილმა პირდაპირი დავალება მიიღო, აჩვენონ კოალიციის „ხარვეზები“ და ა.შ. ეს ხალხი ლიდერებად საკუთარ თავს გვთავაზობს, სხვებს კი ძირს უთხრის! არჩევნების შემდეგ ანალიზი გავაკეთეთ და მივხვდით, რომ ბევრგან ჩვენმა კადრმა არ ივარგა — შეცდომა დავუშვით, ინფორმაცია გადიოდა. შესაბამისად, ეს ადამიანები გვერდზე გავწიეთ და წინ ახალგაზრდები წამოვწიეთ. ასე მოხდა ნიკა სანოძის შემთხვევაშიც. ის ინფორმაცია, რაც გვქონდა, პარტნიორ პარტიებს სულ კონკრეტული სახელ-გვარებით მივაწოდეთ.

— მაგრამ სანოძე ივანიშვილის ახლობელია — მისი დაცვის წევრის ნათესავი...

— თუ გაინტერესებთ, გეტყვით: სანოძის დის ქმარი ბესო სურმავაა, რომელიც გაიყიდა! ეტყობა, მათ ასეთი ოჯახი აქვთ და გასაგებია, როგორც ერთია შემოგზავნილ-დავერბოვკებული, ისე — მეორე. სიძე-ცოლისძმა აშკარად, ერთ სიტუაციაშია.

— სანოძე აკაკი ბობოხიძემ „დაავერბოვკა“? ან, აქამდე სად იყავით და ყველაფერი არჩევნებამდე რატომ არ იცოდით?

— სანოძე და ბობოხიძე ძალიან ახლო მეგობრები და პარტნიორები იყვნენ, მერე, ცოტა ხნით, ერთმანეთს ვითომ დაშორდნენ, შესაბამისად, ჩვენი კოალიციის შეცდომა იყო, ასეთი ადამიანები რომ გვყავდა მაჟორიტარობის კანდიდატებად. ხონის რაიონი ნამდვილად ჩვენი მოსაგები იყო და მხოლოდ შიდაპრობლემების გამო წავაგეთ. როცა შესაბამისი დასკვნები გავაკეთეთ, სანოძეს ვუთხარი, პარტიის ლიდერად არ აგირჩევთ, გაიწიე-მეთქი, სწორედ მაშინ მისცა სანოძემ თავს ბევრი რამის უფლება! პარტიიდან, რა თქმა უნდა, უკვე გარიცხულია, მაგრამ იმ უზრდელობისთვის, რაც გაბედა, პასუხსაც აგებს! მინდა, სხვებიც გავაფრთხილო: ისეთ ხალხს ნუ აყვებით, ვისაც თავისი წარსული დაავიწყდა! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მას მერე, რაც მისი დის ქმარმა ჩაიდინა, ხმას როგორ იღებდა? თუმცა თუ ასეთი დავალება ჰქონდა, ხმა არ ამოეღო, წინ განვლილ ისტორიას დაუდებდნენ.

— თუ არადა, თქვენ დაუდებთ ამ ისტორიას, არა?

— მე — არა, ასეთ ადამიანებს ყველაფერს ცხოვრება ულაგებს! ბევრი დრო დავუთმე ისეთ ნაძირალას, როგორიც ნიკა სანოძეა. მისნაირი ნაძირლები ცხოვრებაში მოდიან, მიდიან და, კვალის ნაცვლად, მხოლოდ სიბინძურეს ტოვებენ!

— ბატონო დავით, თქვენი სტრატეგია იმ საკითხთან მიმართებაშიც საინტერესოა, რასაც სხვა პარტიის ბრენდადქცეული სახეების ოცნებაში გადანაცვლება ჰქვია. თქვენს მისაღებში „ქრისტიან-დემოკრატი“ ჯაბა სამუშია და ზაზა გაბუნია იცდიდნენ. მათ მიიღებთ?

— ბევრია ისეთი, ვინც დიდი ხანია, პოლიტიკაშია და, პარტიული ნიშნის მიუხედავად, მის ღირსებაში ეჭვი არ შემეპარება. მოდი, ჩემგან დავიწყოთ — ერთადერთი პარტიის წევრი ვიყავი, რომელიც ჩემს მეგობრებთან, „ახალ მემარჯვენეებთან“ ერთად, 10 წლის წინ შევქმენი. ჩემი თავისთვის არასოდეს მიმიცია უფლება, მათზე ერთი გადაბრუნებული სიტყვა მეთქვა და ყველა ნაბიჯი, რაც მათთან ერთად გადავდგი, მეამაყება! ასე რომ, არავისზე მაქვს სათქმელი, პარტიიდან რატომ წამოვიდა-მეთქი, თუმცა არის მეორე ჯგუფი, რომელმაც, როცა ყველაფერი ჩამთავრდა, გადაწყვიტა, ძლიერთან გაიქცეს. ეს ცოტა სხვა თემაა და ისინი მედროვეები არიან.

— რომელ ჯგუფს მიაკუთვნებთ ყოფილ „ქრისტიან-დემოკრატებს“ — სამუშიასა და გაბუნიას?

— ვიცი, მათ დატოვეს ქდმ და გააკეთეს დამოუკიდებელი ფრაქცია საკრებულოში. მეტსაც გეტყვით, პიროვნულად, ორივეს დიდ პატივს ვცემ, ორივე საკმაოდ ნიჭიერი და აქტიური ადამიანია და მიმაჩნია, რომ ისინი ნებისმიერი პარტიისთვის საინტერესო კადრები არიან!

— საქმის კურსში იქნებით, რომ „ახლების“ ისნის ორგანიზაციაც დაიშალა და ამ ორგანიზაციის ნაწილიც, ასევე, ვნახე თქვენს მისაღებში — ეს „გადაბირება“ იყო თუ მათი გადაწყვეტილება?

— შარშან, მაისში, როცა აქ მოვედი, „ოცნებაში“ ერთი „მემარჯვენეც“ არ გადმოსულა. ეს არც მე მინდოდა, ვინმეს სწორედ, გადაბირება რომ არ დაებრალებინა. პირიქით, „ოცნებაში“ დამხვდა რამდენიმე გამოცდილი კადრი ისნის, სამგორისა და რეგიონული ორგანიზაციებიდან. ისინი „ოცნებაში“ ჩემს მოსვლამდე იყვნენ. ასე რომ, შეიძლება ხუმრობით ითქვას, მე კი არ გადავიბირე, აქეთ გადმომიბირეს.

— „ლეიბორისტებიც“ დაიშალნენ, ამ პროცესში თქვენ და „ოცნება“ არ მონაწილეობთ?

— „ლეიბორისტების“ ამბავი ტელევიზიით გავიგე. კარგია, შალვასთან ვიღაც რომ დარჩა, თორემ მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. მათაც, რა თქმა უნდა, დიდი გამოცდილება აქვთ, არ ვიცი, რა აზრზე არიან, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ხედვები ერთმანეთს არ ემთხვევა და არ მგონია, ამ ურთიერთობიდან რამე გამოვიდეს, თუმცა ყველაფერს დრო გვაჩვენებს. დაშლა კი ჩვეულებრივი დინამიკაა და, გულწრფელად რომ გითხრათ, მომწონს, გარშემო კონკურენტი რომ არ არის, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას ექნება პოლიტიკური ნება, ოპოზიცია მოძლიერდეს და, როგორც წესია, ბიუჯეტიდან დაფინანსდეს!

ეკა სეხნიაშვილი

გიგი უგულავას პრობლემები აქვს. ამბობენ, რომ დედაქალაქის ბიუჯეტიდან 5 მილიონ 245 945 ლარის გაფლანგვა უგულავას მთავარი თავისტკივილი არ არის და, „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, მას პრობლემა ოჯახურ ურთიერთობებშიც აქვს. თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც ქალაქის მერის პოლიტიკური და პირადი ინტერესები ერთმანეთს კვეთს. ორივე ერთად კი უგულავას წინააღმდეგ მუშაობს. რა პოლიტიკური გარიგების შესახებ დაიგეგმა შეხვედრა პარიზში, ვის და რატომ ხვდება უგულავას მეუღლე და რა კავშირი აქვს ლელა კილაძეს პირთან, რომელმაც პრემიერ-მინისტრის დაცვის წევრი სცემა?!

რატომ ჩაიშალა გიგი უგულავასა და ირაკლი ალასანიას შეხვედრა პარიზში

ვის და რატომ ხვდება უგულავას მეუღლე და რა კავშირი აქვს ლელა კილაძეს პირთან, რომელმაც პრემიერ-მინისტრის დაცვის წევრი სცემა?!

დიდი პარიზული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია, ალბათ, პოლიტიკური კულუარებიდან არც გამოვიდოდა, რომ არა თაკო სალაყაიას გარემოცვა. როგორც ამბობენ, თბილისში, უგულავასა და ალასანიას ფარული კავშირის შესახებ ხმები სწორედ აქედან გავრცელდა. თუმცა ვის ინტერესში შედის პარიზული შეხვედრის შესახებ ინფორმაციის განსაჯაროება, ეს ცალკე საკითხია.

კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, გაფრენა პრაღის მიმართულებით გასულ კვირას მოხდა. თბილისიდან პრაღაში ერთი თვითმფრინავით იმგზავრეს გიგი უგულავას მეუღლემ — ლელა კილაძემ, ირაკლი ალასანიამ და მისმა მეგობარმა თამთა კუპრაძემ, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში ჯერ კიდევ იმ დროიდან მუშაობს, როცა ალასანია გაერო-ში საქართველოს წარმომადგენელი იყო. საგარეო საქმეთა სამინისტროს კულუარებში ამბობენ, რომ კუპრაძე ალასანიასთან დაახლოებული ქალბატონია და ამავე დროს, ლელა კილაძისა და მერაბიშვილის მეუღლის, თაკო სალაყაიას მეგობარიც გახლავთ. კილაძე და კუპრაძე პარიზში, ხოლო ალასანია ლონდონში, პრაღის გავლით ჩაფრინდნენ. მოგვიანებით, მათ მესამე მეგობარი, ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის მეუღლე, თაკო სალაყაია და კიდევ ერთი პირი შეუერთდა. კუპრაძისა და კილაძის გზები პარიზში, მონმარტრზე მხოლოდ ,,ბუტიკებში“ შესამოსად არ გადაკვეთილა, ძაღლის თავი სწორედ აქ არის დამარხული: თავად ერთ-ერთი მონაწილე სუბიექტის საახლობლოდან გამოჟონილი ინფორმაციით ირკვევა, რომ ალასანიამ თამთა კუპრაძის საშუალებით, უგულავას მესიჯი გაუგზავნა და ლელა კილაძეს მეუღლესთან შეხვედრის დაგეგმვა სთხოვა. ეს ის პერიოდია, როცა ალასანია თავს „ქართული ოცნების“ უალტერნატივო საპრეზიდენტო კანდიდატად განიხილავდა და, როგორც ჩანს, პოლიტიკური მოკავშირეების ძებნა უგულავა-ბოკერიას ჯგუფშიც განიზრახა. ალასანიას სურდა, განეხილა უგულავასთან პოლიტიკური პარტნიორობის გეგმები და ამ გეგმებში თავად უგულავასა და გიგა ბოკერიას პოზიცია. ასევე აინტერესებდა, დაუჭერდნენ თუ არა მხარს მის საპრეზიდენტო კანდიდატურას „ნაციონალები“ არაოფიციალურად შიდა პოლიტიკაში, ხოლო ოფიციალურად საერთაშორისო წრეებში. მით უმეტეს, ბოკერიას კონტაქტებისა და გავლენის ალასანიას სასარგებლოდ გამოყენება მისთვის სერიოზული ბერკეტი იქნებოდა.

კუპრაძე-კილაძის მოლაპარაკების შემდგომ, ამავე წყაროს ინფორმაციით, პარიზში ალასანიასა და უგულავას კონსპირაციული შეხვედრაც იგეგმებოდა. გიგი თბილისიდან უნდა გადაფრენილიყო, ხოლო თავდაცვის მინისტრი — ლონდონიდან. თუმცა მას შემდეგ, რაც ალასანიას თბილისში პრობლემები შეექმნა, იგი იძულებული გახდა საქართველოში დაბრუნებულიყო. ჯერ-ჯერობით, უგულავასთან ამ კონსპირაციული შეხვედრის ორგანიზება ვერ მოხერხდა.

თუმცა ქალაქის მერის ყურამდე, როგორც ჩანს, ჯერ არ მისულა თბილისში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლელა კილაძემ, შესაძლოა, ისევე დაუქნიოს ხელი, როგორც, თავის დროზე, წინამორბედ მეუღლეს. როცა საქმე დიდ პოლიტიკას ეხება, დელიკატური სულაც აღარ არის საქმის „მოსაკვარახჭინებლად“ ცოლების გააქტიურება, მაგრამ ამ ქალაქში რა დაიმალება?! პოლიტიკური კულუარები ხომ ჭორებით სულდგმულობს და ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისში, სააკაშვილის ხელისუფლებისგან დევნილი, კილაძის ძველი მეგობარი დავით მიქაძე დაბრუნდა. დავით მიქაძემ, რომელსაც ვერელები კარგად იცნობენ, საქართველო 2008 წელს ვაკის აუზზე მომხდარი გახმაურებული სკანდალი შემდეგ დატოვა — მას მაშინდელი პრემიერ-მინისტრის დაცვის წევრთან მომხდარ უსიამოვნო ინციდენტსა და ჩხუბს აბრალებდნენ. მიქაძე, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თბილისში დაბრუნდა. ამბობენ იმასაც, რომ 2012 წლის დეკემბერში, გუდაურში, ლელა კილაძე, თაკო სალაყაია და მათი რამდენიმე მეგობარი, სწორედ იმ სასტუმროში ნახეს, სადაც დათო მიქაძე იმყოფებოდა. შეიძლება, ეს უბრალო დამთხვევაც იყო, მაგრამ ამბობენ, რომ ინფორმაცია ვანო მერაბიშვილამდე და თამარ ჩერგოლეიშვილამდეც მივიდა. ბოკერია-მერაბიშვილის ტანდემს ინფორმაციის გახმაურება პოლიტიკური ინტერესების გამო, არ აწყობდათ — ისინი ხომ გიგიზე, როგორც პოლიტიკურ ლიდერზე, ფსონს დღემდე აკეთებენ და ამიტომაც სიტუაციის ჩაფარცხვას ეცადნენ. მალევე, ინფორმაცია უშუალოდ, კილაძის სამეგობროდან გავრცელდა და ამის თაობაზე, შეფასებები სოციალურ ქსელშიც გაჩნდა, მაგრამ ერთია გაზიარებული სტატუსი ვინმეს პირად „ვოლზე“ და მეორე – პირადად უგულავასთან. მოკლედ, ინფორმაცია, რომელიც უგულავამდე უნდა მისულიყო, დაიბლოკა. თუმცა სადამდე გასტანს „ჩირგვებში ყოფნა“ და როდის შეახსენებს თავს ქალაქის მერს პოლიტიკური და პირადი პრობლემები, ეს დროის საკითხია.

„გიორგი ბარამიძის „ვენოკს“ დაველოდოთ და გოგორიშვილის სამასდოლარიან თაიგულს მივუდგათ“

რეპორტაჟი ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მე-8 წლისთავიდან

რუსუდან შელია
პოლიტიკა

2005 წლის 3 თებერვალს, დილის 9 საათზე, საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა ქვეყანას პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ამბავი ამცნო. ოფიციალური ვერსიით, ჟვანიას გარდაცვალება გაზის გამათბობლის გაუმართაობამ გამოიწვია, თუმცა FBI-ს სპეციალისტებმა აღნიშნულ გამათბობელზე არასრული წვის კვალი ვერ აღმოაჩინეს და ისიც ხაზგასმით მიუთითეს, რომ ოთახში, სადაც გარდაცვლილი პრემიერის გვამი იპოვეს, სასიკვდილო გარემო არ ფიქსირდებოდა. მას შემდეგ რვა წელი გავიდა, საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა და ახალი მთავრობის პირობებში პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების საგამოძიებო პროცესი განახლდა, თუმცა საზოგადოება ჯერ კიდევ მოლოდინის რეჟიმშია, როდის გაეცემა ბურუსითმოცულ საქმეში დაგროვილ ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი.

3 თებერვალს, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მერვე წლისთავზე, პრემიერის საფლავთან ოჯახის წევრები — მეუღლე, შვილები, დედა — ნათესავები და ახლო მეგობრები, ტრადიციულად, დღის ორ საათზე შეიკრიბნენ. ტრადიცია არც იმ მხრივ დაირღვა, რომ მამა იოსებმა გარდაცვლილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა, დედაოებმა კი, საგალობლები შეასრულეს, თუმცა შარშანდლისგან განსხვავებით, წელს დიდუბის პანთეონთან შეკრებილთა სიმრავლე თვალშისაცემი იყო: ზოგი შორიდან აკვირდებოდა მოვლენებს, მათ შორის, პრეზიდენტის მრჩეველი ვან ბაიბურთი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მოქმედ წევრებს ეძებდა. ზოგიც, პირიქით, ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრებთან მიახლოებას იმდენად ცდილობდა, რომ გზადაგზა საფლავების გადათელვასაც არ ერიდებოდა. დათო ოქიტაშვილი ხუმრობდა, გადახედეთ ზურას საფლავთან შეკრებილ ადამიანთა რაოდენობას, აი, აქ ჩანს, რომ საზოგადოებაში შიშის სინდრომი აღარ არსებობს, დღეს ისეთი პიროვნებები გამოჩნდებიან, მოულოდნელობისგან პირს დააღებთო.

დიდუბის პანთეონში ყველაზე ადრე ზურაბ ჟვანიას თანაშემწეები — ლევან მინდიაშვილი და ზვიად გოგიაშვილი გამოჩნდნენ, მალევე მოიტანეს ხათუნა გოგორიშვილის მიერ გამოგზავნილი თაიგულებიც, რომელიც ჟვანიას თანამებრძოლების ხუმრობის თემად იქცა, ახლა გიორგი ბარამიძის „ვენოკს“ დაველოდოთ და გოგორიშვილის სამასდოლარიან თაიგულს მივუდგათო.

მალევე გამოჩნდნენ საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეები — იური მეჩითოვი მოსწავლეებითურთ, ხათუნა ხოფერია შვილსა და შვილიშვილთან ერთად, რომან კუსიანი, ელდარ შენგელაია, შალვა ოგბაიძე, ზურაბ ნოღაიდელი, გოგა ხაინდრავა...

„ვერსია“ ზურაბ ჟვანიას თანამებრძოლებს ესაუბრა:

შალვა ოგბაიძე: „ზურას მეგობრებისათვის მისი გარდაცვალების დღე საკრარულ თარიღად გადაიქცა. ზურა დააკლდა არა მარტო ოჯახსა და მეგობრებს, არამედ ქართულ პოლიტიკასა და სრულიად საქართველოს. ის ცოცხალი რომ ყოფილიყო, საქართველოში, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, ბევრი მტკივნეული პროცესი არ მოხდებოდა. რაც შეეხება ზურას გარდაცვალების საქმის გამოძიების განახლებას, ახალი ხელისუფლება სწორედ სამართლიანობის აღდგენასთან ასოცირდება. მართალია, ზურას ვერავინ გააცოცხლებს, მაგრამ როგორც მისი ოჯახისთვის, ასევე, ჩვენთვის სიმართლის დადგენა მნიშვნელოვანია. არ არსებობს ეჭვი, რომ ზურა მოკლულია, მაგრამ არ ვამბობ, რომ ის ჩახმახით, ან საწამლავით მოკლეს. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მასზე სერიოზული ზეწოლა — მორალური და პოლიტიკური შეტევა ხორციელდებოდა. სიკვდილამდე ზურას გარიყვა და ბოლომდე იგნორირება ხდებოდა, ყველაფერი კეთდებოდა, რომ სახელმწიფო მმართველობიდან ჩამოეცილებინათ. ზურას განეიტრალება პოლიტიკური მკვლელობით დაიწყო და მისი ფიზიკური ლიკვიდაციით დასრულდა. შეიძლება, ცუდ რამეს ვამბობ, მაგრამ მისი გარდაცვალება ლოგიკურიც იყო. მხოლოდ ამ შემაშფოთებელი ფაქტის შემდეგ შეძლო სააკაშვილის მთავრობამ შვებით ამოესუნთქა“.

ხათუნა ხოფერია: „დღევანდელ პროკურატურას ზურას ოჯახის წევრებისა და მეგობრებისგან სრული ნდობა აქვს. ჩემ ხელთ არსებული ინფორმაცია, ზურას მკვლელის შესახებ გოგლა ჟვანიას უკვე მივაწოდე... ამიტომ ვფიქრობ, საქმის გამოძიება უახლოეს მომავალში დასრულდება“.

ელდარ შენგელაია: „ზურას კარგად ვიცნობდი. მიუხედავად იმისა, რომ წლოვანებით მასზე უფროსი ვიყავი, ზოგჯერ მეგონა, რომ პირიქით, ის იყო ჩემზე უფროსი. საქართველომ არამხოლოდ კარგი პოლიტიკოსი, სიყვარულით სავსე, არაჩვეულებრივი ადამიანი დაკარგა. სამწუხაროდ, ზურასნაირი ადამიანი ბევრი არ არის. იმედს არ ვკარგავ, რომ პროკურატურა საქმეს ობიექტურად გამოიძიებს“.

გოგლა ჟვანია: „საქმეში ახალი დეტალები გამოიკვეთა, პარალელურად, ძველ ინფორმაციებზეც მუშაობენ. ერთი სიტყვით, პროცესი საკმაოდ აქტიურ ფაზაშია შესული და სავარაუდოდ, გამოძიება რამდენიმე თვეში დასრულდება. იმედი მაქვს, მომავალ წლისთავს, ზურას მკვლელობის დღეს პასუხგაუცემელი კითხვები აღარ იქნება“.

ზურაბ ჟვანიას ოჯახს ბადრი პატარკაციშვილის დედამ, **ნათელა პატარკაციშვილმაც** მიუსამძიმრა: „3 თებერვალი ჩემთვის საკმაოდ მტკივნეული დღეა. ბატონი ზურას გარდაცვალებიდან, რომელიც ჩემ შვილს გულითა და სულით უყვარდა, რვა წელი შესრულდა. ჩემი შვილიცა და ბატონი ზურაც ისე დაიღუპნენ, რომ მათმა დედებმა რეალურად არაფერი ვიცით. პასუხი ვერ მივიღეთ, რა მოუვიდა ან ერთს, ან მეორეს. ბატონ ზურაბს ვაფასებდი და სიკვდილის კარამდე მეყვარება. ვფიქრობ, დადგა დრო, საქართველომ და სრულიად ქართველმა ერმა ბოროტებაზე გაიმარჯვოს“.

ნინო ჟვანია კი, დიდუბის პანთეონი საკმაოდ ემოციურად და შემდეგი სიტყვებით დატოვა: „ზურა გარდაცვლილია, ზურა დავკარგეთ, სხვას აქვს დღეს რამეს აზრი? პროკურატურა აცხადებს, რომ საქმეში ახალი დეტალები გამოჩნდა, მაგრამ ჯერჯერობით, კონკრეტულად, არაფერს ამბობენ...“

პრეზიდენტი დავით კირვალიძეს აკრიტიკებს

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში, ჯინჭარაძეების ოჯახში სტუმრობისას, სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე გააკრიტიკა.

მას შემდეგ, რაც გურამ ჯინჭარაძემ პრეზიდენტს უთხრა, რომ ოთხი ტონა მანდარინიდან ნახევარი მაინც გადაყარა, მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, ოქტომბერში დანიშნული სოფლის მეურნეობის მინისტრი სამი თვის დაგვიანებით, იანვარში გაეცნო მეციტრუსეების პრობლემებსო და

უკრაინაში საქართველოს ყოფილი ელჩის გამოწვევის საკითხზეც გაამახვილა ყურადღება, — მას მაინც ჰკითხონ, როგორ მოგვარდა მანდარინის გასაღების საკითხი წინა წლებშიო. პრეზიდენტმა რუსეთის ბაზარზე ქართული მანდარინის გატანის საკითხზეც ისაუბრა:

„ნებისმიერი მთავრობისთვის გამოწვევაა ციტრუსის ჩაბარება. პირველივე დღეს, შენი სოფლის მეურნეობის მინისტრი არ უნდა წავიდეს იქ, სადაც მანდარინია? ჩამოვიდა სამი თვის დაგვიანებით. მე შენ გეტყვი, რომელი უზარმაზარი ქვეყანა ჩვენ ვართ. მანქანაზე დამჯდარიყო, ჩამოსულიყო და დაინტერესებულიყო. ოქტომბრის მეორე ნახევარში დანიშნული, აქ იანვრის მეორე ნახევარში, სამი თვის დაგვიანებით ჩამოვიდა და იმის მაგივრად, ხალხისთვის ეთქვა, რა გავაკეთოთ, თქვა, ყველაფერი წინა მთავრობის ბრალიაო. წინა მთავრობისთვის ეკითხათ მაინც, როგორ კეთდება ჩაბარება.

ჩვენი ელჩი უკრაინაში, რომელმაც ყველაფერი იღონა შარშან და შარშანწინ, უკრაინაში რომ ჩაგვეტანა ციტრუსი და გაგვესაღებინა, უკან გამოიწვიეს ჩხუბითა და ზარზეიმით — არ გვინდა ასეთი ელჩიო. ჰკითხეთ მაინც იმ ელჩს, როგორ კეთდება ასეთი რაღაცები. კარგი, არ გინდათ ვარშალომიძე, გავიგე, ჰკითხეთ მას, როგორ კეთდება. დაკითხვაზე რომ ჰყავდათ და ათასგვარი სისულელე ჰკითხეს, იქ მაინც ეკითხათ, თუ სხვანაირად ერიდებათ კითხვა — როგორ ხდება ციტრუსის გაყიდვა საქართველოში. ეს ხომ არ არის მთავრობის საკითხი, ეს არის ადვილი გასაკეთებელი. თქვეს, ორი კონტეინერი შევიდა ჩვენი მანდარინის რუსეთშიო.

სად არის ის ორი კონტეინერი, ასავალ-დასავალი იცის ვინმემ? დაბრუნდა უკან მანქანა? ფული ჩამოიტანეს? დიდ სახელოვან რუსულ ბაზარზე შესვლის შედეგი ნახა ხალხმა? ნეტავ, ნახოს. მე მართლა, ამას ნიშნის მოგებით არ ვამბობ, არ მიხარია ნამდვილად. რა უნდა მიხაროდეს, გზები არის სავსე გადაყრილი მანდარინით, მაგრამ მომავალ წელს მაინც არ უნდა მოხდეს ასეთი რაღაც. ყველას, რა ცოდნაც აქვს, ამ ხალხს უნდა გავუმართოთ ხელი“.

„ინტერპრესნიუსი“

შს მინისტრის მოადგილე გელა ხვედელიძემ ათას ადამიანს სააკაშვილის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე მისვლა აუკრძალა?!

თემურ შაშიაშვილი იმუქრება, რომ 8 თებერვალს ზნეობრივად, პრეზიდენტთან ერთად, პარლამენტსაც გაანადგურებს!

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

მართალია, პრეზიდენტის იმპიჩმენტში ივანიშვილის მთავრობა და პარლამენტი ვერ დაარწმუნეს, მაგრამ კოალიცია „ერთსულოვნება“ და სააკაშვილის წინააღმდეგ მებრძოლი თემურ შაშიაშვილი უკან არ იხევს და იმუქრება, 6 თებერვალს, პარლამენტში სიტყვით გამოსასვლელად მისულ მიშას სირცხვილის კორიდორს მოვუწყობთო. სირცხვილის კორიდორის დეტალებსა და იმის შესახებ, რატომაა პარლამენტი, პრეზიდენტის მსგავსად, შერცხვენილი, „ვერსიას“ თემურ შაშიაშვილი ესაუბრა, რომელიც შს მინისტრის მოადგილე გელა ხვედელიძეს სკანდალურ ბრალდებას უყენებს.

— თუ სააკაშვილი დღეს გაცნობიერებულად იქცევა, სპეციალურ დაწესებულებაში თეთრი ხალათითაა მოსათავსებელი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერ ამას პარტიის გადასარჩენად აკეთებს, მთელი პარტია უნდა გასამართლდეს! საერთოდ, მგონია, რომ ეს კაცი ციხისკენ კატასტროფული ნაბიჯებით მიდის!

— ისეთი პირი უჩანს, სააკაშვილის დაჭერას ან პოსტიდან გაშვებას ახალი ხელისუფლება არ აპირებს...

— საერთაშორისო დონეზე აღიარებულმა კონსტიტუციონალისტმა, პაატა ცნობილაძემ ვახტანგ ხმალაძე დებატებში გამოიწვია, მაგრამ ერთი კვირაა, მისგან პასუხიც არ მიგვიღია — ფიზიკოსი კაცი, რომელიც მთელი ქვეყნის კანონმდებლობაზე პასუხისმგებლობას იღებ, ცნობილაძესთან დებატებში დაჯდომას რატომ უნდა გაურბოდე?! ისე, სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადასთან დაკავშირებით, ხმალაძემ მითხრა, იურიდიულად სწორი ხართ, მაგრამ ახლა, ეს პოლიტიკური საკითხიაო. ამ საკითხს სულ სამი — სამართლებრივი, პოლიტიკური და ზნეობრივი ასპექტი აქვს. ცხადია, სამართლებრივი და ზნეობრივი ასპექტები მოვიგეთ და თუ პოლიტიკურს ვაგებთ, მაშინ ცალსახად ვაცხადებ: სააკაშვილის ქმედებებზე უმძიმეს პასუხისმგებლობას ბიძინა ივანიშვილი აიღებს! სააკაშვილი მდგომარეობიდან გამოვიდა, რადგან არც დავოსში მიიწვიეს და არც — აშშ-ში, ინაუგურაციაზე. სწორედ ამ დროს ილია მეორე პუტინს შეხვდა, ივანიშვილმა შეხვედრები დავოსში გამართა, სააკაშვილს კი, საქართველოში ეძახდნენ, ვადა გაგივიდაო. სააკაშვილი ხვდება, რომ თამაშგარე მდგომარეობაშია!

— პარლამენტი და მთავრობა არაფერს ამბობს და თქვენ რამდენიც გინდათ, ეძახეთ სააკაშვილს, ვადაგასული ხარო...

— როცა მერაბ ბერძენიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ჩხეიძე და სხვა ბევრი ცნობილი ადამიანი ამბობს, სააკაშვილი აღარაა პრეზიდენტიო და ამ აზრს ქვეყნის ყველა კონსტიტუციონალისტი თუ მილიონზე მეტი მოქალაქე იზიარებს, პარლამენტი, სიმართლე გითხრათ, ზნეობრივადაა დამარცხებული!

მერი და გუბერნატორი ხალხმა უნდა აირჩიოს, პრეზიდენტი კი — პარლამენტმა და ეს ახალი პარლამენტის მხრიდან სწორი მიდგომაა?! ორივე მთავარი ფიგურა — პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე ერთი და იგივე პარტიამ უნდა აირჩიოს?! — ეს ხალხის გამასხარავებაა და მას, ვინც ამას აკეთებს, საქართველოში მუდმივი დაძაბულობა უნდა! სააკაშვილის წინააღმდეგ ხელმოწერებს 2 მილიონამდე ავიყვანთ და ეს ორივე მხარის — პრეზიდენტისა და პარლამენტის ზნეობრივი განადგურება იქნება, რის გამოც, დღის წესრიგში, რეალურად, ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობა დადგება, რადგან ასეთი ხალხისა და არაპროგნოზირებადი კაცის ხელში, ქვეყანა წინ ნამდვილად ვერ წავა!

— ეს „არაპროგნოზირებადი კაცი“ 8 თებერვალს პარლამენტში მიდის...

— 8 თებერვალს ქუთაისის პარლამენტთან, დილის 10 საათზე, „ღირსების შეკრებას“ ვაწყობთ და პარლამენტში ამ თვითმარქვიას მისვლას გავაპროტესტებთ! რამდენიმე ადგილზე გამოვფენთ ისტორიულ ტექსტს, სადაც ეწერება, ჩვენ ქვეყანას ისეთი პარლამენტისგან ვიცავთ, რომელიც თვითმარქვია პრეზიდენტს იწვევს და, ასევე, ვიცავთ პირველი ოქტომბრის მონაპოვარს! რაც მთავარია, ეს შეკრება სხვების მიერ ორგანიზებული აქციებისგან რადიკალურად განსხვავებული იქნება — ყველა ქალაქისა თუ რაიონის სიას შევადგენთ და რომელი რაიონიდან და ქალაქიდანაც ხალხი არ ჩამოვა, ე.ი. ამ რაიონმა და ქალაქმა უარი თქვა ამ ისტორიულ ბრძოლაზე და ეს მათი სირცხვილი იქნება. აქამდე სააკაშვილს ხალხი ყველგან ფულით დაჰყავდა, ასე ქირაობდა ავტობუსებს ივანიშვილიც, ჩვენ კი, საპირისპიროს მომხრე ვართ!

— ალბათ იმიტომ, რომ ფული არ გაქვთ!

— ეგ არაფერ შუაშია, ვისაც ფული არ აქვს და ჩამოსვლა არ შეუძლია, ის თავის ხელმოწერას მეზობელს ან ნაცნობს გამოატანს. ასე ჩამოვა „ღირსების ავტობუსები“ ყველა რაიონიდან და ყველაფერ ამას იმ პირობებში შევძლებთ, როცა ორმხრივი — ახალი და ძველი ხელისუფლების მხრიდან ლანძღვის ქვეშ ვართ!

— 8 თებერვლის ერთდღიანი აქციისგან რა შედეგს ელოდებით, ბატონო თემურ?

— პრეზიდენტთან საქმე აღარ გვაქვს! ახლა საქმე პარლამენტია, სადაც დავით უსუფაშვილის სახელზე გადაწყვეტილების პროექტია გაგზავნილი, რომელსაც საკონსტიტუციო უმრავლესობა კი არა, ერთი ხელმოწერა სჭირდება, თუმცა პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალეს. ვის უკეთებს პარლამენტი იგნორირებას? შეიძლება, რეზო ჩხეიძეს სიტყვა არ მისცე, „ნაციონალები“ ნაწყენები დარჩებიანო?! — ვის წყენინებაზეა ლაპარაკი, იმ ხალხისა, ვინც ციხეში უნდა იჯდეს?!

— თუ იმპიჩმენტის პროცედურაზე საუბრობთ, გაუგებარია, პარლამენტს რას ერჩით, როცა ბიძინა ივანიშვილმა ერთი თვის წინ თქვა, იმპიჩმენტის მოწყობას არ ვაპირებთო!

— ბატონი უსუფაშვილის სახელზე ისეთი პატივსაცემი ადამიანების წერილია გაგზავნილი, როგორიც, მაგალითად, ჭაბუა ამირეჯიბია, მაგრამ პასუხიც კი არ მიგვიღია და კიდევ ჩვენ ვართ დამარცხებულნი?

ახლა, ერთ ისეთ ფაქტს გეტყვით, კონკრეტული გვარებით, რომელზეც დიდხანს ვდუმდი:

> **ბატონმა ხუბულურმა, რომელიც პოლიტპატიმარია, ათასამდე ადამიანი შეკრიბა და აპირებდა, 20 იანვარს, ავლაბრის რეზიდენციასთან, ჩვენს აქციას შემოერთდებოდა, მაგრამ შს მინისტრის მოადგილე გელა ხვედელიძემ დაუძახა და საშინელი რამეები უთხრა, ჩვენ ამ აქციის წინააღმდეგნი ვართ, იქ არ მიხვალო და ეს ათასი ადამიანი დააშლევინა!**

— ანუ ამბობთ, რომ აქცია შს სამინისტრომ ჩაგიშალათ. თუკი ეს მართალია, მაშინ რითი განსხვავდება ივანიშვილის შს სამინისტრო სააკაშვილის ამავე უწყებისგან?

— ბატონი ხუბულური, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე განგვიცხადა, ათასკაციანი სია მაქვსო, აქციაზე, საერთოდ, არ მოვიდა! ორი დღის წინ, პოლიტპატიმრების შეკრებაზე ხუბულურმა საჯაროდ მითხრა, ამ დღეებში პრეს-კონფერენციას ჩავატარებ და ვიტყვი, როგორ დამიბარა გელა ხვედელიძემ და აქცია როგორ დაშალაო! სხვათა შორის, ხვედელიძე სახალხო კრების საორგანიზაციო ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი იყო. გული მწყდება, რომ ამ ადამიანებს, რადგან თანამდებობებზე მივიდნენ, ჰგონიათ, რაღაცას წარმოადგენენ, ტელეფონები შეცვალეს და ხალხს ემალებიან! თუ ივანიშვილმაც თავისიანებს ყველაფერი აპატია, აღარ ვიცი, ეს კაცი ვინ იქნება! ასეთი მტრობა, როგორც ივანიშვილს მის მიერვე გაცოცხლებული პოლიტიკური გვამები მტრობენ, არ მინახავს!

— ბატონო თემურ, შალვა ნათელაშვილი პირველი ოპოზიციონერი იყო, ვინც სააკაშვილს ხელმოწერები შეუგროვა და მისი იმპიჩმენტის მოთხოვნა პარლამენტში პროცედურების დაცვით შეიტანა. ბრძოლის გაგრძელებას ნათელაშვილთან ერთად არ გეგმავთ?

— რაც შეეხება შალვა ნათელაშვილს, ადამიანთან, რომელმაც მხოლოდ ლანძღვა იცის და ჰგონია, მთავარი მხოლოდ თვითონაა, საქმეს არ დავიჭერთ და ამას არც სხვას ვურჩევ!.. უნდა ვაიძულოთ პარლამენტი, სწორი გადაწყვეტილება მიიღოს, ოღონდ ამას თემური, შალვა და ყველა ერთად უნდა ვითხოვდეთ, მაგრამ არიან პოლიტიკოსები, რომელთაც თავი „დიდი კაცები“ ჰგონიათ. სინამდვილეში კი, პოლიტიკოსი, რომელსაც პოლიტიკური კულტურა არ აქვს — წერილს გაუგზავნი და პასუხსაც არ მოგწერს, პოლიტიკოსი არაა! საქართველოში პოლიტიკოსების პარპაში აღარ მინდა, თუ ივანიშვილიც ასეთივე გახდება — თავის ხალხს აპარპაშებს და მოსახლეობას თავზე დაასვამს, ამის წინააღმდეგ ისე ვიბრძოლებ, როგორც შევძლებ!

ვაჰაგნ ჩახალიანი — სააკაშვილის რუსული თამაში თუ ბოთლიდან გამოშვებული ჯინი

მერაბ ბერიძე

სეპარატისტული ორგანიზაცია „ჯავახკის“ ერთ-ერთი ლიდერის, ციხიდან გათავისუფლებული ვაჰაგნ ჩახალიანის ადვოკატმა და ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის წარმომადგენლებმა პრეზიდენტის წინააღმდეგ პროკურატურაში საჩივარი შეიტანეს. უფლებადამცველები მიხეილ სააკაშვილს „ცრუ დასმენაში“ ადანაშაულებენ და განმარტავენ: „პრეზიდენტი და უმცირესობის წევრები ცრუობენ და არღვევენ ჩახალიანის უფლებებს, როდესაც მას ისეთ ქმედებებში ადანაშაულებენ, რომლებიც არ ასახულა ჩახალიანის ბრალდებაში“. ჩახალიანზე სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიამაც დაგმო.

ვაჰაგნ ჩახალიანი 2008 წლის ზაფხულში, ახალქალაქში დააკავეს და ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განაჩენით, სასჯელის სახით, თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით განესაზღვრა. ჩახალიანი სასჯელს ჯგუფურ ხულიგნობაში მონაწილეობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერების შეძენა-შენახვისათვის იხდიდა. პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული ამნისტია ამ მუხლებსაც შეეხო და, შესაბამისად, ჩახალიანი პატიმრობიდან გათავისუფლდა, რის შემდეგაც, სააკაშვილმა ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, ჩახალიანი სეპარატისტი და საქართველოს სახელმწიფოებრიობის პირდაპირი მტერიაო. პრეზიდენტის განცხადებით, ის პირადად ესაუბრა ბიძინა ივანიშვილს, გიგა ბოკერია — ირაკლი ღარიბაშვილს, დავით ბაქრაძე კი — დავით უსუფაშვილს, რათა სკრილნიკოვი და ჩახალიანი ციხიდან არ გაეშვათ:

„ჩვენ ამნისტიის თემაზე ხელისუფლებასთან, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, ბევრი ვილაპარაკეთ. გიგა ბოკერია ამ თემაზე კვირობით ელაპარაკებოდა შინაგან საქმეთა მინისტრს, დავით ბაქრაძე ელაპარაკებოდა უსუფაშვილს, მე ველაპარაკე ამ თემაზე ივანიშვილს. საგანგებოდ ველაპარაკებოდით, არ გაუშვათ სკრილნიკოვი და ძმანი მისნი-თქო და არ გაუშვათ ჩახალიანი-თქო. დანარჩენი ამნისტია პრობლემაა, პრობლემაა ის, რომ უკვე დაიწყო გაქურდვა შენობების, მაგრამ ეს მოვლადი პრობლემაა. ახლა იძახიან, რომ რამდენი ხმას ამოიღებს, უკან შევკეტავთო, ვერაფერსაც ვერ შეკეტავთ. „ვარდების რევოლუციამდე“ ჯავახეთში ვერც ერთი პოლიციელი ვერ შედიოდა. მე ორი წელი დამჭირდა, რომ ეს პრობლემა მომეგვარებინა. ეს ტერიტორია იყო მთლიანად რუსების ხელში, ჩვენ რუსეთი იძულებული გავხადეთ, გაეყვანა ჯარი აჭარიდან და ამ რეგიონიდან ისე, რომ არავის არაფერი გაუგია და არავისთვის არაფერი დაგვიყვედრებია. ახლა ჯავახეთის მოსახლეობა ფიქრობს, რომ ჩავა ეს ბანდიტი და დააწიოკებს მათ. ვინ დაიცავს ამ ადამიანებს? მე მინდა, ვთქვა, რომ ჩვენ, მართლაც, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ქართული სახელმწიფო ძალიან ახალგაზრდაა და არ არის არადანგრევადი. მე, უბრალოდ, არ მინდოდა, რომ ბოთლიდან ჯინი გაეშვათ“.

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი ამბობს, რომ მთავრობამ ქვეყნის მტერი გამოუშვა ციხიდან. უმცირესობის წევრის, გოგა ხაჩიძის განცხადებით კი, მთავრობის ეს გადაწყვეტილება უპასუხისმგებლობაა.

საპასუხოდ, პრემიერი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ არ განსაზღვრავს პატიმრების არც გათავისუფლებას და არც — დაჭერას: **„იმას, რაც მე არ მეხება, როგორც წესი, მე არ ვეხები, მე არ განვსაზღვრავ არც პატიმრების გათავისუფლებას, არც — დაჭერას და არც პროკურატურას მივუთითებ. სომხეთშიც ამის კარგი მაგალითი იყო: მე დამისვეს შეკითხვა, მაგრამ მასზე პასუხი არ გამიცია, არ ვარ კომპეტენტური-მეთქი, ვუპასუხე და მაშინვე გადავამისამართე. მგონი, სოზარ სუბარმა გასცა პასუხი“.**

სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი, ჩახალიანის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტისა და ნაციონალური მოძრაობის წევრების განცხადებებს „უტიფარ ტყუილს“ უწოდებს. როგორც სუბარმა განაცხადა, ვაჰაგნ ჩახალიანს სამი მუხლით ჰქონდა ბრალი წაყენებული, რომელთაგანაც არც ერთი არ იყო მძიმე დანაშაული, ამიტომაც, მას ამნისტია შეეხო და ეს არ ყოფილა კონკრეტული პირის გადაწყვეტილება.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ამბობს, რომ ჩახალიანი ამნისტიის შესახებ კანონის საფუძველზე გათავისუფლდა, გათავისუფლებული პატიმრის ციხეში დატოვება კი, უკანონო პატიმრობად ჩაითვლებოდა: **„მას შეეხო ამნისტიის შესახებ კანონი და გათავისუფლდა, როგორც არაერთი სხვა პატიმარი. თუ რომელიმე ადამიანი არ მოქმედებს სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, ეს არის საუბრის აბსოლუტურად სხვა თემა. თუკი ჩახალიანი გამოვიდა თავისუფლებაზე, დაიბრუნა სუფთა ჰაერით სუნთქვის უფლება და მოიფიქრებს, რომ დაუპირისპირდეს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, ეს სხვა ტიპის დანაშაულია. იმედი მაქვს, ის ამ ჭკუაზე არ არის, მაგრამ რაც შეეხება გათავისუფლებას, ჩახალიანს შეეხო ამნისტია და გამორიცხულია ამნისტირებული პატიმრის ციხეში დატოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ხდება უკანონო პატიმარი. ჩვენ არ ვართ ხელისუფლება, რომელსაც უკანონო პატიმრები ჰყავს იმ პრეზიდენტისგან განსხვავებით, რომელიც აღშფოთებული იყო ამ საკითხთან დაკავშირებით“.**

ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილის შეფასებით, ვაჰაგნ ჩახალიანი თუ მართლა აგენტია, მას ბრალი აგენტობისთვის უნდა ჰქონოდა წაყენებული და არა — იარაღის ტარებისთვის: **„ყველაზე დიდი აგენტი მიხეილ სააკაშვილია, რადგან სწორედ მისმა მოქმედებებმა გამოიწვია საქართველოს ტერიტორიის დაკარგვა და არ ვიცი, მასზე დიდი აგენტი ვინ შეიძლება იყოს. ყველას შეიძლება აგენტი უწოდო, მაგრამ მათი აგენტობის შედეგი საქმით უნდა გამოჩნდეს და სახეზე გვაქვს, პრეზიდენტის მოღვაწეობის შედეგად, საქართველოს დაქუცმაცება. ჩახალიანი თუ ისეთივე აგენტია, როგორც „ენვერის“ ოპერაციაში მონაწილე პირები, გიორგი აბდალაძე, სიმონ კილაძე და წინა ხელისუფლების დროს დაკავებული სხვა პირები, მაშინ კარგი ადამიანი ყოფილა. ვაჰაგნ ჩახალიანი თუ მართლა აგენტია, მას ბრალი აგენტობისთვის უნდა ჰქონოდა წაყენებული და არა — იარაღის ტარებისთვის“.**

თავის მხრივ, საქართველოში სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ჰოვანეს მანუკიანის განცხადებით, საქართველოს შიდა პოლიტიკაში ვერ ჩაერევა და სომხეთის ეპარქიის მიერ გავრცელებულ განცხადებას, რომელიც ქსენოფობიურ საკითხებს ეხება, ვერ შეაფასებს, თუმცა მანუკიანი აღნიშნავს, რომ ჩახალიანი პატიმრობიდან საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლდა: **„ჩახალიანი არა სომხეთის, არამედ საქართველოს მოქალაქეა და, შესაბამისად, მასზე განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აქტი საპატიმროდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მეტს ვერაფერს ვიტყვი“.**

ჩახალიანის გათავისუფლებამ ქართულ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილი გადაწყვეტილებას მხარს უჭერს და „ნაციონალების“ შეშფოთებას არ იზიარებს. მეორე მხარისთვის კი, ასეთი პოლიტიკა მიუღებელია და მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე პასუხისმგებლობას მოქმედ მთავრობას აკისრებს. საინფორმაციო სააგენტო „ნიუს.გე“-ს მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვაში ჩახალიანის გაშვებას მხარი 10%-მა დაუჭირა, 78%-მა კი, გააპროტესტა.

„ვერსიასთან“ საუბრისას პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი რუსულ გზას მისდევს, როცა ჯავახეთში შესაძლო გართულებით აპელირებს:

„მოგეხსენებათ, შეძახილმა ხე გაახმო და, თუ ბევრს ვიძახებთ, შეიძლება, ვისაც გართულება უნდა, იმას ჭკუაში დაუჯდეს ეს ამბავი. თავის დროზე, ჯავახეთში მდგომარეობის გართულებით რუსეთი გვაშინებდა. სამწუხაროა, რომ ამ რუსულ გზას მისდევს საქართველოს პრეზიდენტი. ამისთვის ნიადაგი ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს. საქართველოში ცხოვრების დონე არ არის ისეთი, ყველა კარგად ცხოვრობდეს. ხშირად, იქაურ სომხებს ჰქონდათ პრეტენზია ამ ტიპის პრობლემებზე. ოღონდ მიაჩნდათ, რომ ეს ზოგადქართული კი არა, სწორედ სომხების წინაშე დასმული პრობლემაა და თბილისი მათ ამ მდგომარეობაში ამყოფებს... ბოლოს და ბოლოს, სომხეთიც პატარა ქვეყანაა და ნუ გაგვიკვირდება, სომხების ასეთი ემოციურობა... შეიძლება, პრეტენზიები გვქონდეს სომხების მიმართ და შეიძლება, აზერბაიჯანელებთანაც გვქონდეს განსახილველი საკითხები, მაგრამ ამის მედიაში ზედმეტად მუსირება კავკასიის პრობლემებს ხეირს არ მოუტანს“.

ახალმა მთავრობამ კეთილი ნება გამოიჩინა და ძალიან ბევრი ადამიანი ოჯახს დაუბრუნა, თუმცა ამ კუთხით, ყოფილი პატიმრის ეთნიკური წარმომავლობა თუ სხვა ნიშანი, აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. სხვა საქმეა, როცა ვიღაც „წინა ცხოვრებაში“, რუსული ბაზის მხარდაჭერით დაიმედებული, ანტიქართულ საქმეებს სჩადიოდა. ამავე დროს, მაშინ არც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები მოქმედებდნენ მთლად კანონიერად და სამართლიანად. დღეს სხვა პოლიტიკური რეალობაა და ყველამ სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანოს. საკუთარი ქვეყნისა და მისი ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლა კარგს არავის მოუტანს.

ვერსიანიუსი

ბიძინა ივანიშვილი „ნაცმოძრაობას“ სიცრუეში აღანაშაულებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობისგან სიცრუის მეტი არაფერი ისმის და ამიტომ კოალიცია მის განცხადებებზე სერიოზულ რეაგირებას აღარ მოახდენს. ივანიშვილმა საპარლამენტო უმრავლესობასთან სამსაათიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის განცხადების კომენტირებისას, აღნიშნა, — **„ნაციონალური მოძრაობის წევრები მათი ხელმძღვანელის, მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით, ძირითადად, სიცრუეს ავრცელებენ და მე მათზე სერიოზულად აქცენტებს აღარ ვაკეთებ. სამი თვის განმავლობაში, რაც ჩვენ მთავრობაში მოვედით, მათგან სიცრუის მეტი არაფერი ისმის. მერაბიშვილი ამბობდა, რომ ბიუჯეტის კრიზისია, გადატრიალება ხდება, პოლიციას აშანტაჟებენ. სააკაშვილი ამბობდა, რომ ქრთამების აღება დაიწყეს, არც ერთი მათგანი სიმართლე არ არის, ისინი მხოლოდ სიცრუის ტირაჟირებას ახერხებენ და ჩვენ, უმრავლესობამ გადავწყვიტეთ, მათ განცხადებებზე სერიოზული რეაგირება აღარ მოვახდინოთ“.**

„პირველი“

facebook NEWS

ჟანა ასანიძე

პოლიტიკურ პარტიებს შეღავათიან ფასად აღმოვუჩენ თავის რიგებში აგენტებს. სამი აგენტის აღმოჩენის შემთხვევაში, მეოთხეს აღმოგიჩენთ უფასოდ!

facebook NEWS

მარიამ სხილაძე

ვახ, რა მოწყენილობა იყო... ა, კაცი დაბრუნდა და გავცოცხლდით! შალვა ნათელაშვილს პოლიტიკიდან წასვლა, ან ტაიმ-აუტის აღება აეკრძალოს! ცუდად მოქმედებს ადამიანების ჯანმრთელობაზე მისი არ ყოფნა — მთქნარებაზე გადადის 4 მილიონ „ს ჩემტო“ მოსახლეობა ეგრევე!

facebook NEWS

შორენა მარსაგიშვილი

კახეთში ხარობს ატამი,
კასპია დიდი ტატამი.
და რაღა ამ ჩემს ყაზბეგში
ჰესის დაირწა აკვანი?

facebook NEWS

ხათუნა საღინაშვილი

ქდმ „გადაიტვირთა“ — „რესტარტის“!

facebook NEWS

პაატა ქურდაძე

ძალიან მომწონს, ორთოდოქსი მიშისტები დანარჩენ საქართველოს „გრუზინებს“ რომ ეძახიან რაღაც მასონური სარკაზმით, რომელიც მხოლოდ თვითონ ესმით. დარწმუნებული ვარ, ასეთ დროს სისხლი უჩქოლდებათ ხოლმე როგორც ჭეშმარიტ „ჯეორჯიელებს“.

facebook NEWS

ეკა ებრალიძე

ვუკრავ ფორტეპიანოზე, ვმღერი, მეხერხება ცეკვაც („მენუეტი“, „პოლკა-მაზურკა“, „კრაკავიაკი“). გთხოვთ, დამნიშნოთ მერიის დასუფთავების სამსახურში აკვალანგისტ-ასენიზატორის საპატიო თანამდებობაზე.

პატივისცემით, მე.

როგორ „გულაობდნენ“ ბიუჯეტის ფულით კახელი „ნაციონალები“

ეილია მარტყოფლიშვილი,
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

კახეთის რვა რაიონიდან, როგორც „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ იუწყება, ყველაზე მეტი პრემია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყოფილმა გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა აიღო. ამავე მონაცემების თანახმად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა, სხვა კახელ კოლეგებთან შედარებით, მეტი პრემია მიიღეს და ამ თანხამ, საერთო ჯამში, 248 713 ლარი შეადგინა. მოკლედ, პრემიების სიდიდით, დედოფლისწყარო პირველ ადგილზეა. საერთოდ, კახეთის მუნიციპალიტეტების გამგეობების თანამშრომლებსა და თანამდებობის პირებზე 2012 წელს, პრემიის სახით, 830 452 ლარი გაიცა. აღსანიშნავია, რომ გურჯაანის გამგეობა პრემიების თაობაზე საჯარო ინფორმაციას მალავს.

პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, 2012 წლის დეკემბრიდან, სოფლის რწმუნებულებსა და თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მოხელეებს ხელფასები მნიშვნელოვნად გაეზარდათ, რამაც რაიონულ ბიუჯეტებში ადმინისტრაციული ხარჯები საგანგაშოდ გაზარდა. ხელფასების ზრდამ კახეთის ზოგიერთ რაიონში სოციალური პროგრამების დაფინანსება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ყოველ შემთხვევაში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იმთავითვე ამბობდნენ, თანამშრომლებისთვის ხელფასების ზრდის ფონზე, ადგილობრივ ბიუჯეტს სოციალური პაკეტების დაფინანსებისთვის საჭირო თანხის მობილიზება გაუჭირდებაო.

რაც შეეხება პრემიებს, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ცნობით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყოფილმა გამგებელმა, ნიკოლოზ შანშიაშვილმა 2012 წელს 2 360-ლარიანი პრემია ოთხჯერ გამოიწერა და, ჯამში, პრემიის სახით, 9 440 ლარი აიღო. ცნობისთვის: ნიკოლოზ შანშიაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობას 2010 წლის ივნისიდან 2012 წლის ნოემბრამდე იკავებდა...

პრემიების სიდიდით, მეორე ადგილზე თელავის მუნიციპალიტეტია, სადაც შარშან თვითმმართველობის 310 თანამშრომელზე, პრემიის სახით, 195 668 ლარი გაიცა. აქედან, 2 360 ლარი მუნიციპალიტეტის იმჟამინდელმა გამგებელმა პეტრე კიკნაძემ აიღო. სხვათა შორის, მაშინ, როცა დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეები 2012 წელს პრემიას ყოველკვარტალურად ანუ წელიწადში ოთხჯერ იღებდნენ, კახეთის ზოგიერთი რაიონის გამგეობაში სახელფასო დანამატი მხოლოდ ერთხელ გაიცა.

დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ორგანოებში პრემიალური სისტემა რომ უსამართლოა, ამას „ვერსიასთან“ საუბრისას, დედოფლისწყაროს ამჟამინდელი გამგებელი, „ქართული ოცნების“ კადრი ირაკლი შიოლაშვილიც ადასტურებს და ამბობს, რომ ამიერიდან, პრემია ყოველკვარტალურად აღარ გაიცემა.

დედოფლისწყაროში პრემიების გაცემის წესს თავისუფალი საქართველოს დედოფლისწყაროს ორგანიზაციაც აპროტესტებს.

დეკემბერში, დედოფლისწყაროს გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის ერთდროულად გადადგომის შემდეგ, თვითმმართველობის ორგანოში, სხვადასხვა თანამდებობაზე, „ქართული ოცნების“ წევრები დასაქმდნენ. თავისუფალი საქართველოს ადგილობრივი ორგანიზაცია ამბობს, რომ საჯარო მოხელეების დიდმა ნაწილმა, სამსახურში მიღებიდან 10 დღეში, საახალწლოდ, პრემია მიიღო. ოპოზიციის აზრით, 10-დღიანი მუშაობის პერიოდში, მთელი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის პრემიის მიღება მართებული არაა.

თავისუფალი საქართველოს დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე თამილა გურაშვილი მიიჩნევს, რომ ახლადმიღებულ თანამშრომლებს პრემია არ დაუმსახურებიათ და ამ ფაქტებზე სამართლებრივ რეაგირებას მოითხოვს:

„დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ხელმძღვანელობა მუდმივად საკუთარ კომფორტზე ზრუნავდა და ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, რეკორდი მოხსნა — კახეთის გაცილებით დიდ რაიონებთან შედარებით, ყველაზე მეტი პრემია სწორედ დედოფლისწყაროში გაიცა. რაიონის ხელმძღვანელობა, ძირითადად, დროსტარებასა და რესტორნებში ქეიფით იყო დაკავებული, ამიტომაც, სხვა რაიონებთან შედარებით, სტუმრებს დედოფლისწყაროში ჩამოსვლა უხაროდათ. კლანურ მმართველობას, სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ ადგილობრივი წარმომადგენლებიც აგრძელებენ. ამ მხრივ, დედოფლისწყაროში არაფერი შეცვლილა და მსგავსი ვითარება სხვა ქალაქებშიც შეინიშნება“.

დედოფლისწყაროსგან განსხვავებით, პრემია თითოჯერ აიღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყოფილმა გამგებელმა, მისმა მოადგილეებმა და თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლებმა — 2012 წლის განმავლობაში, საგარეჯოს გამგებელმა გია ჩალათაშვილმა მხოლოდ 2 360 ლარი მიიღო. მისმა ოთხივე მოადგილემ — შალვა ჯაბადარმა, ვეფხია ჩერქეზიშვილმა, გიორგი ბეჟიტაშვილმა და ლაშა შიოშვილმა კი — 900-900 ლარი. რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებს, მათ მთელი წლის განმავლობაში, ჯამში, 92 050 ლარის პრემია აქვთ მიღებული. თანამშრომლებზე პრემიები გაცემულია 2012 წლის თებერვალში, აპრილში, ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში.

სახელფასო დანამატი ლაგოდეხის გამგებელმა, საკრებულოს თავმჯდომარემ და სხვა თანამდებობის პირებმაც ერთხელ მიიღეს. გამგეობის სხვადასხვა სამსახურების უფროსებმა კი, 700-700-ლარიანი პრემია ორჯერ აიღეს. საერთო ჯამში, 2012 წელს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში, პრემიის სახით, 106 960 ლარი გაიცა. ამასთან, მონიტორინგის დროს, ლაგოდეხის გამგეობამ პრემიების თაობაზე მონაცემები ვადის დარღვევით გასცა.

2012 წელს ორჯერ აიღეს პრემია სიღნაღის გამგებელმა ალექსანდრე ბოქოლიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ზედელაშვილმა, ასევე, მათმა მოადგილეებმა. ე.წ. პირველი კვარტლისა და მარიამობის პრემიები მიიღეს სიღნაღის გამგეობის, საკრებულოს, სოფლის ტერიტორიული ორგანოების, სახანძრო-სამაშველო და სამხედრო სამსახურის თანამშრომლებმაც.

შარშან ახმეტის მუნიციპალიტეტში, პრემიის სახით, მთლიანობაში, 40 821 ლარი გაიცა. გამგეობა საჯარო ინფორმაციაში წერს, რომ პრემია გამგეობის ყველა თანამშრომელმა მიიღო. წლის განმავლობაში, ერთხელ — გამგებელმა კობა მაისურაძემ და მისმა მოადგილემ. გამგებლის ორმა მოადგილემ კი, 900-ლარინი პრემია სამ-სამჯერ აიღო. ახმეტის გამგეობას მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრემიებთან დაკავშირებული მონაცემები არ გამოუქვეყნებია.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობას შარშან, პრემიის სახით, ხელმძღვანელ პირებზე 20 600 ლარი აქვს გაცემული, რიგით თანამშრომლებზე კი — 34 420 ლარი. გამგებელ ბესიკ ზანდარაშვილს, პრემიის სახით, 2 300 ლარი აქვს აღებული, მის ოთხ მოადგილეს კი — 900-900 ლარი. ყვარლის გამგეობის სამსახურის უფროსებმა, ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებმა და სამხედრო და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ხელმძღვანელებმა შარშან პრემია მხოლოდ ერთხელ, მარტში აიღეს...

პოლიციელის დაჭრისთვის ერთი პირი დააკავეს

შს სამინისტროს პოლიციის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის რაიონული სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა ქურდობის მცდელობისა და პოლიციელის დაჭრისთვის 1993 წელს დაბადებული მამუკა ჯ. დააკავეს.

დაკავებულმა 2012 წლის 3 ნოემბერს თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში ელექტროსადენები მოიპარა და მიმალვა სცადა. ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა იმავე დასახლებაში, ქუჩაში პოლიეთილენის პარკით მიმავალი მამუკა ჯ. საეჭვოდ მიიჩნიეს და გადამოწმების მიზნით გააჩერეს. ამ უკანასკნელმა მათ წინააღმდეგობა გაუწია და ერთ-ერთი პოლიციელი, ედუარდ გელაშვილი დანის რამდენიმე დარტყმით დაჭრა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო პოლიეთილენის პარკში მოთავსებული ნაქურდალი ელექტროსადენები იქვე დატოვა.

სამართალდამცველებმა მამუკა ჯ. ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს.

საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-177-ე მუხლის (ქურდობის მცდელობა) პირველი ნაწილით და 353-ე მუხლის (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

აშშ-ს ახალმა სახელმწიფო მდივანმა ფიცი დადო

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ფიცის დადების ცერემონიალი დახურული იყო. ჯონ კერიმ ფიცი კონგრესის შენობაში დადო. როგორც ცნობილია, მან ამ პოსტზე ჰილარი კლინტონი შეცვალა, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტს 2009 წლიდან ხელმძღვანელობდა. ცერემონიას აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს წევრი, ელენა კეიგანი უძღვებოდა, ხოლო ბიბლია, რომელზეც კერიმ ფიცი წარმოთქვა, მის მეუღლეს, ტერეზას ეკავა. ცერემონიას, ასევე, ესწრებოდნენ პოლიტიკოსის ქალიშვილი, ვანესა და მისი ძმა, კემერონი.

„ჩემთვის დიდი პატივია ფიცის მიღება და ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ მუშაობას“, — განუცხადა კერიმ ჟურნალისტებს.

68 წლის დემოკრატი პოლიტიკოსი, რომელიც წარსულში მასაჩუსეტსის შტატის სენატორი იყო, სენატმა პოსტზე გასულ კვირას დაამტკიცა. მისმა წინამორბედმა, ჰილარი კლინტონმა კერი დაახასიათა, როგორც „უნიკალური, საინტერესო და რთული“ გამოცდილების მქონე დიპლომატი.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ვერსიანიუსი

სოფლის მეურნეობის ექსპერტი ალექსანდრე ლომოური მთავრობას „გლეხთა დარბაზის“ შექმნას სთავაზობს

სოფლის მეურნეობის საკითხების ექსპერტი ალექსანდრე ლომოური მიიჩნევს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ქვეყნის პრიორიტეტული დარგის მშენებლობაში საზოგადოება უნდა ჩართოს. ამიტომაც, ლომოური სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მთავრობას „გლეხთა დარბაზის“ შექმნას სთავაზობს. ლომოურის ინიციატივას სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

„ბოლო 9 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის მინისტრები საზოგადოების აზრს არ ითვალისწინებდნენ, ამიტომაც ჩავარდა არაერთი პროგრამა, მათ შორის, ე.წ. ჰიბრიდული სიმინდის. „გლეხთა დარბაზი“ სწორედ მსგავს პრობლემებს აგვაცილებს“, — აცხადებს ალექსანდრე ლომოური „ქუთაისი თუ დეისთან“ საუბრისას და იქვე განმარტავს, რომ „გლეხთა დარბაზი“ თვეში ერთხელ უნდა შეიკრიბოს, სოფლის მეურნეობაში არსებულ მდგომარეობაზე დისკუსია გამართოს. ლომოურის ინიციატივის მიხედვით, „გლეხთა დარბაზის“ წევრები სოფლად მცხოვრები ადამიანები უნდა იყვნენ:

„სოფლის მეურნეობის სამინისტრო დარგის განვითარებისთვის აქტუალურ ბევრ საკითხზე მუშაობს, მაგრამ მთავარია, ის შეცდომები აღარ გაიმეოროს, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაუშვა“.

„ქუთაისი თუ დეი“

თედო ჯაფარიძე იგორ ივანოვს შეხვდა

რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი იგორ ივანოვი საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარეს, თედო ჯაფარიძეს შეხვდა. შეხვედრა არაფორმალურ გარემოში, მიუნჰენში გაიმართა, სადაც რიგით 49-ე უსაფრთხოების კონფერენცია მიმდინარეობს.

როგორც ივანოვმა განაცხადა, ჯაფარიძესთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს. მხარეებმა საქართველო-რუსეთს შორის არსებული პრობლემები განიხილეს და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

„თუ სურვილი არსებობს, ყველაზე მწვავე პრობლემაც მოგვარებადია. მნიშვნელოვანია, არ ვიყოთ ამ სირთულის მძევლები, მაშინაც კი, როდესაც ეს პრობლემები სერიოზულია. რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ეს ფაქტორები არ უნდა გავითვალისწინოთ, თუმცა ისინი არ უნდა აფერხებდეს მომავალ თანამშრომლობას“, — განაცხადა ივანოვმა.

თედო ჯაფარიძის განცხადებით, მხარეებმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დინამიკაზე ისაუბრეს: **„ივანოვმა დადებითად შეაფასა ის ნაბიჯები, რომელიც დღეისთვის გამოიკვეთა ჩვენს ურთიერთობებში, აღნიშნა, რომ ეს რთული და გრძელვადიანი პროცესია, თუმცა კარგი იქნება, თუ გადაიდგმება ადეკვატური ნაბიჯები“.**

„ინტერპრესნიუსი“

აფხაზეთის ომის ვეტერანის ღია წერილი პრეზიდენტსა და პრემიერს

მარი შათირიშვილი

გიორგი შანშიაშვილის ტრაგედია მთელი იმ თაობის ტკივილია, რომელსაც „ნაომარ ბიჭებს“ ეძახიან. გიორგიმ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში, აფხაზეთში მიღებული ჭრილობის გამო, 17 წლის განმავლობაში, 10 ოპერაცია გაიკეთა — მუხლს ქვემოთ, მარცხენა ქვედა კიდური დაკარგა, ახლა კი, მეორე ფეხის ამპუტაციის საშიშროების წინაშეც დგას. ოჯახის მატერიალური შესაძლებლობები, პრაქტიკულად, ამოწურულია და ომის ვეტერანი მხოლოდ სახელმწიფოს ყურადღების იმედადღაა, თუმცა ეს იმედიც თანდათან ქრება...

„ბოლო 17 წლის განმავლობაში, 10 ქირურგიული ოპერაცია დამჭირდა და ოჯახმა ფინანსური შესაძლებლობა სრულად ამოწურა... სტუდენტი შვილი მყავს... დღემდე არავინ შემიწუხებია, მაგრამ ახლა მეორე ფეხის მოკვეთის საფრთხის წინაშე ვდგავარ“, — ამბობს პირველი ჯგუფის ინვალიდი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერან გიორგი შანშიაშვილი.

სამედიცინო ცნობა – ფორმა №100-ში დაფიქსირებულია დიაგნოზი: მარცხენა წვივის იშემიური ტაკვი; მარჯვენა ქვემო კიდურის კრიტიკული იშემია; მარცხენა თეძოს გარეთა ბარძაყის საერთო და ზედაპირული არტერიის ოკლუზია; მარჯვენა წვივის არტერიების სტენო-ოკლუზიური დაავადება. „ავერსის კლინიკაში“ ჩატარებული გამოკვლევით, აუცილებელი ოპერაციული ჩარევა დაიგეგმა და სათანადო კალკულაციაც შედგა, რომელიც 12 ათას ლარს შეადგენს.

როგორც „ვერსიას“ ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან აცნობეს, „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შექმნილი კომისიის „2013 წლის 17 იანვრის 1 სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გიორგი შანშიაშვილის სამედიცინო მომსახურების 575 ლარით დაფინანსების თაობაზე.“ ეს თანხა, როგორც გიორგი ამბობს, კომპიუტერულ გამოკვლევას მოხმარდა.

„გთხოვთ, თუ სახელმწიფოს რამედ უღირს ერთი მეომრის სიცოცხლე, უზრუნველყოთ ჩემთვის სამკურნალო კურსის დაფინანსება!“

მართალია, გიორგი შანშიაშვილმა და მისი ოჯახის წევრებმა ჯანდაცვის სამინისტროს ათამდე წერილით მიმართეს, მაგრამ ხელისუფლების შეცვლამდე რეაგირება ერთ წერილზეც არ მომხდარა. 2012 წლის დეკემბერში, საქართველოში არსებულმა ომის ვეტერანთა 14-მა გაერთიანებამ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ერთობლივი წერილი გაუგზავნა და საქართველოს მთლიანობისთვის თავგანწირული მებრძოლისთვის დახმარების აღმოჩენა სთხოვა. პრემიერის სახელზე გაგზავნილ წერილს ხელს აწერენ: საქართველოს ვეტერანთა ეროვნული ლიგა, აფხაზეთის ვეტერან-მეთაურთა საბჭო, საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანთა ორგანიზაცია, საქართველოს მხედრიონი, საქართველოს ავღანელთა კავშირი, საქართველოს ლეგიონი, ზვიად გამსახურდიას ეროვნული გვარდიის ვეტერანები, რეპრესირებულ მეომართა კავშირი, საქართველოს ვეტერანთა ფედერაცია, ქართველ შევარდენთა ლეგიონი, დივიზია „თბილისელი“, შსს-ს შინაგანი ჯარების ვეტერანები, აჭარის ვეტერან მეომართა კავშირი, ცხინვალის რეგიონის ვეტერანთა ორგანიზაცია.

პრემიერ-მინისტრისგან პასუხი, ჯერჯერობით, არ ჩანს. არადა, დრო ავადმყოფის საზიანოდ მუშაობს — გიორგი შანშიაშვილს ფეხის თითებზე უკვე განგრენის ნიშნები იკვეთება. როგორც გიორგის ოჯახის წევრები ამბობენ, კლინიკა თანახმაა, პაციენტს სასწრაფო ოპერაცია თუნდაც საგარანტიო ფურცლის საფუძველზე გაუკეთოს.

„ვერსია“ ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელ ხათუნა ჩაჩავას დაუკავშირდა, რომელმაც უწყების პიარ-სამსახურთან გადაგვამისამართა. პიარ-სამსახურის ხელმძღვანელის, თამარ ბოდოკიას თქმით კი, გიორგი შანშიაშვილის მკურნალობის საკითხი კომისიამ 2013 წლის 31 იანვარს კვლავ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ შანშიაშვილის სამედიცინო მომსახურება 50%-ით, ანუ 6 ათასი ლარით დაფინანსდება, რაც კარგია, თუმცა ეს თანხა ოპერაციისთვის საკმარისი, სამწუხაროდ, არაა.

როგორ იცავს სახელმწიფო ვეტერანების უფლებებს? — ამ საკითხს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონი არეგულირებს, რომელიც გადასახედი და დასახვეწია. კანონში დეტალურადაა ლაპარაკი საყოფაცხოვრებო-კომუნალურ მომსახურეობაზე. ჯანმრთელობის დაცვის შეღავათიან ღონისძიებებზე კი, პრაქტიკულად, არაფერია ნათქვამი. კანონის მე-4 მუხლში ვკითხულობთ: **„საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფს ვეტერანებისთვის ამ კანონით დაწესებული უფლებებისა და შეღავათების რეალიზაციას და ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათი სოციალური დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად სახსრების გამოყოფას. დამატებითი სახსრების მიღება ვეტერანების სოციალური დაცვის ამ კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დასაფინანსებლად, დადგენილი წესით, შეიძლება, ნებისმიერი კანონიერი წყაროდან საბიუჯეტო ურთიერთობების შეუცვლელად“.**

პარლამენტარი, იურისტი შალვა შავგულიძე, რომელიც აფხაზეთის ომის ვეტერანია, მიიჩნევს, რომ ომის ვეტერანთა მიმართებაში სახელმწიფოს დამოკიდებულება, ჯერჯერობით, კრიტიკას ვერ უძლებს.

შალვა შავგულიძე: „ვეტერანები, პრაქტიკულად, სოციალურად დაუცველები და მრავალი პრობლემის წინაშე პირისპირ არიან დატოვებულნი. არადა, ეს ადამიანები საკუთარი ქვეყნისა და ხალხისთვის სიცოცხლეს სწირავდნენ. ომის ვეტერანთა მიმართ სახელმწიფომ დამოკიდებულება უნდა შეცვალოს და ისინი ბევრი სოციალური შეღავათით, უპირველესად კი, ჯანდაცვის მომსახურებით უნდა სარგებლობდნენ. მისასალმებელია, რომ დღევანდელმა მთავრობამ ინიციატივა უკვე გამოიჩინა და შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ომის ვეტერანთა მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულების პრინციპები და შესაბამისი კანონმდებლობა თავიდან უნდა შეიმუშაოს, რაც მათ მდგომარეობას, უდავოდ, გააუმჯობესებს. ეს საშური საქმეა და მაქსიმალურად სწრაფადაა გასაკეთებელი, რადგან ომის ვეტერანთა პრობლემები, რაც დრო გადის, უფრო გაუსაძლისი ხდება და ამას ჩემთან — პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიუროში შემოსული მრავალი განცხადებაც ადასტურებს“.

გიორგი შანშიაშვილმა „ვერსიას“ საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერის სახელზე საკუთარი ხელით დაწერილი ღია წერილი გადასცა. „ვერსია“ ვეტერანის წერილს უცვლელად აქვეყნებს:

„მოგმართავთ საქართველოს მოქალაქე, 1957 წელს დაბადებული, ეროვნებით ქართველი, უმაღლესი განათლებით, პროფესიით — მეზღვაური, გეოგრაფი, ჟურნალისტი, საქართველოს სამხედრო ძალების ვეტერანი, ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი. 90-იან წლებში აფხაზეთში საბრძოლო ოპერაციისას მიღებული ჭრილობის შედეგად, განმივითარდა განგრენა, რის გამოც ბოლო 17 წელიწადში 10-მდე ოპერაცია გავიკეთე. დაავადების თავისებურებიდან გამომდინარე, დღეს ერთი ფეხის დარჩენილი ნაწილისა და მეორე ფეხის ამპუტაციის საკითხი დგას, რასაც რამდენიმე თვეში მთელი სხეულის გვამური დაშლა და უმძიმესი ტკივილებით სიკვდილი მოჰყვება. მე აღარ აღვწერ იმ სულიერ და ფიზიკურ ტკივილებს, რასაც განვიცდი და რაც მომავალში წინ მელის. მოგმართავთ საქართველოს დღევანდელ იურიდიულ და ფაქტობრივ ხელმძღვანელებს და გთხოვთ, თუ სახელმწიფოს რამედ უღირს ერთი მეომრის სიცოცხლე, უზრუნველყოთ ჩემთვის სამკურნალო კურსის დაფინანსება. მე თითქმის აღარაფერი გამაჩნია!“

ავდოკატი „ვერსიაში“ გამოქვეყნებულ წერილზე გამოძიების დაწყებას ითხოვს

„ვერსიის“ 10 (766)-ში გამოქვეყნებულ წერილს („გარდაცვლილი პაციენტის მეუღლე ქმრის სიკვდილში ექიმებს ადანაშაულებს“), რომელიც 60 წლის იური ციცქიშვილის გარდაცვალებას და ამ ტრაგიკულ ფაქტთან სასწრაფო დახმარების ექიმ სოფიო ბზეკალავას კავშირს ეხებოდა, ქალბატონი სოფიოს ადვოკატი ლავრენტი სუხიშვილი გამოეხმაურა:

— სტატიაში ნათქვამია: „კამათის დროს მე და ჩემმა ქალიშვილმა შევამჩნიეთ, რომ სასწრაფოს ექიმი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ალკოჰოლის სუნი ასდიოდა“. არადა, დოკუმენტი ან მტკიცებულება, რომ ქალბატონი სოფიო ბზეკალავა ნასვამი იმყოფებოდა, არ არსებობს. სასამართლოს ერთ-ერთ სხდომაზე მოსარჩელემ, ქალბატონმა თამარ კოტეტიშვილმა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ვულგარული და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია, ლოთი, ნარკომანია და მუდმივად ნარკოტიკულ საშუალებებს იღებსო, რაც სამართლიანად გავაპროტესტე და ამ პროტესტის საფუძველზე, მოსამართლემ ქალბატონი თამარი 50 ლარით დააჯარიმა. თამარ კოტეტიშვილმა მოსამართლესაც მუქარით მიმართა, თქვენთვისაც მოვიცლიო და გასაკვირი არაა, რომ საჩივარი მის მიმართაც ჰქონდეს შეტანილი — ასეთ მომენტებს ხელიდან არ უშვებს და ცდილობს, მიზნის მისაღწევად ყველაზე ზეწოლა მოახდინოს... ტრაგედია მოხდა — ადამიანი დაიღუპა. მეუღლე გამწარებული და გაუბედურებულია, მაგრამ შემდეგ, როცა ამ სიტუაციას უფრო ცივი გონებით შევხედე, მივხვდი, რომ ყველაფერს ძალიან მიზანდასახულად აკეთებს და, ჩემი აზრით, გარკვეული ფინანსური დაინტერესება აქვს. სასამართლოზე მოპასუხეთა სიიდან ერთი საკვანძო პიროვნება — ჰოსპიტალიზაციის მენეჯერი მარიკა ხათაშვილი ამოიღო და მასზე დადებითი სიტყვები წარმოთქვა, ძალიან სწორი დიაგნოზი დასვა და ყველაფერი დროულად გააკეთაო. არადა, ჰოსპიტალიზაციის მენეჯერს პაციენტთან შეხება არ აქვს და წინასწარი დიაგნოზი სწორედ სოფიო ბზეკალავას დასმულია. საერთოდ, ადგილზე პაციენტს დიაგნოზს სასწრაფო დახმარების ექიმი უსვამს, რომელიც თუ ჰოსპიტალიზაციას ჩათვლის საჭიროდ, ჰოსპიტალიზაციის მენეჯერს უკავშირდება. ამ შემთხვევაშიც, ზუსტად ასე მოხდა — სწორედ ბზეკალავას მოთხოვნით მოხდა ავადმყოფის ჰოსპიტალიზაცია...

სტატიაში, ასევე, წერია: „... თამარ კოტეტიშვილს კლინიკის მიერ დაფიქსირებული სიკვდილის დადგომის დროც აეჭვებს: **„ამდენი ხანი მქონდა და მაწუხებდა ეჭვი, რომ ჩემი მეუღლე ოპერაციის დროს გარდაიცვალა და როდესაც მეორე დღეს, 21 ივლისს ტომოგრაფიაზე მიჰყავდათ, მივხვდი, რომ გარდაცვლილი იყო. ვფიქრობ, პაციენტი იმავე დღეს დაიღუპა და, ოპერაცია რომ დანაშაულად არ ჩათვლოდათ, ორი დღე მკვდარს ინახავდნენ. ამას ადასტურებენ მათივე თანამშრომლები და ბალზამის კაცი: ეს ახალი გარდაცვლილი არ არის, ორგანიზმი ბალზამს არ ღებულობს და მალე დაკრძალეთ, თორემ გაგიფუჭდებათო“.** ჩემი გადმოსახედიდან, ამ ჩანაწერში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებია და მივესალმები, თუკი პროკურატურა გამოძიებას დაიწყებს. აქვე იბადება რიტორიკული შეკითხვაც: ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში მსგავსი არაფერია წარმოდგენილი. გასაკვირია, მოსარჩელეს ასეთი მასალები ჰქონდეს და სასამართლოზე არ წარადგინოს... ჩემთვის ცნობილია, რომ ქალბატონი თამარი ასეთ საკითხებში სრულად გათვითცნობიერებულია და თუ თავის დროზე ეს ყველაფერი მისთვის ცნობილი იყო, ამაზე გამოძიება დიდი ხანის წინ უნდა დაწყებულიყო. ვფიქრობ, აღნიშნულ სტატიაზე პროკურატურამ რეაგირება აუცილებლად უნდა მოახდინოს, რადგან პირდაპირ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

როცა კოტეტიშვილის სარჩელზე სასამართლოში შესაგებელი შევიტანე, ჩემი მობილური ტელეფონის ნომერიც მივუთითე. იმავე საღამოს ქალბატონმა თამარმა დამირეკა და საუბარი დაიწყო შეკითხვით, მქონდა თუ არა ნანახი ფილმი „მაგდანას ლურჯა“. ბუნებრივია, „მაგდანას ლურჯა“ არაერთხელ მაქვს ნანახი და ვუპასუხე, დიახ-მეთქი და აქედან დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება, თითქოს გარეწარს და ძალიან ცუდ ადამიანს ვიცავ. ვცდილობდი, ამეხსნა, რომ ადვოკატი ვარ და არ ვარჩევ, დასაცავი ექიმია თუ მძღოლი...

რაც შეეხება კიდევ ერთ მთავარ საკითხს, გაჩვენებთ მარეგულირებელი სააგენტოდან სასამართლოს მიერ ჩემი ინიციატივით გამოთხოვილ კვლევას, რომელსაც ხელს ანესთეზიოლოგიისა და კრიტიკული მედიცინის ასოციაციის რეცენზენტები — მამუკა ხაჩიაშვილი და გიორგი კორძახია აწერენ. დასკვნაში წერია: **„...შესწავლილი იქნა პაციენტ იური ციცქიშვილის ავადმყოფობის ისტორია, რომელიც მკურნალობდა კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში 2011 წლის 14 ივლისიდან 22 ივლისამდე. პაციენტი მიყვანილი იქნა კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში 10 სთ. 33 წთ-ზე კრიტიკულ მდგომარეობაში... გამომგზავნი დაწესებულების დიაგნოზი წინასწარ და კლინიკური დიაგნოზი დასმულია სწორად... ავადმყოფის ტრანსპორტირება მოხდა ნეიროვიზუალიზაციაზე სტაბილურ ვითარებაში. დრო, რომელიც გავიდა სტაციონარებიდან ტრანსპორტირებამდე, დაახლოებით, 4-5 საათი არანაირად არ იმოქმედებდა არც პაციენტის მდგომარეობაზე, არც მკურნალობის ტაქტიკაზე“.**

ნათია ვასაძე

„ყურადღება, გაიღიმეთ!“

მე-19 საუკუნის უდიდეს აღმოჩენად ფოტოგრაფიის გამოგონება ითვლება — გამოსახულებათა მიღების ხერხის შემუშავება 1838 წლის 19 აგვისტოს მოხდა. იმ დღიდან მოყოლებული, ადამიანები შუქმგრძნობიარე ნივთიერებებზე სინათლის ზემოქმედებას სწავლობენ და გამოსახულების მიღების მეთოდებს ხვეწენ. ისე, კამერა ობსკურადწოდებული ფოტოაპარატის წინაპრის გამომგონებლად, ცნობილი იტალიელი მხატვარი ლეონარდო და ვინჩი ითვლება.

ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ფოტოგრაფთა მხარდასაჭერად ახალ პროექტს იწყებს

ამ მცირე ისტორიული ექსკურსის შემდეგ კი, ფოტოხელოვანებსა და ფოტოხელოვნების მოყვარულთ ერთ სასიამოვნო ინფორმაციას მოგაწვდით: ევროკავშირის ახალი პროექტი — „ყურადღება, გაიღიმეთ!“ — აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (ბელორუსი, უკრაინა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა) ფოტოგრაფიის განვითარებას ემსახურება. პროექტის პარტნიორები არიან: ფონდი „ინტერაქცია“ (ინიციატორი და წამყვანი პარტნიორი ბელორუსი), ბელორუსის საზოგადოებრივი გაერთიანება „ფოტოისკუსტვო“, კომპანია „რიფტური“ (ბელორუსია), „სომეხ ფოტოგრაფთა ეროვნული ასოციაცია“, კომპანია „ბესტსელერი“ (საქართველო), მოლდოვის ფოტოხელოვანთა კავშირი, უკრაინის ფოტოხელოვანთა ეროვნული კავშირი, აზერბაიჯანის ფოტოგრაფთა კავშირი (ასოცირებული პარტნიორი).

პროექტის მიზანი ფოტოხელოვნების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ფოტოგრაფებს შორის თანამშრომლობის განმტკიცება, ხარისხის გაუმჯობესება, ამასთან, ფოტოგრაფთა ნამუშევრების ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდაა.

ევროკავშირის ახალი პროექტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაში ონლაინ-გამოკითხვის ჩატარებას ითვალისწინებს. გამოკითხვით, ამ ქვეყნებში ფოტოგრაფიის განვითარების მდგომარეობა შეფასდება — რამდენად იცნობენ ამ ქვეყნის ფოტოგრაფები ერთმანეთს, როგორ იქცევიან საავტორო უფლებების დარღვევის შემთხვევაში და ფოტოგრაფიასთან დაკავშირებული რა თემებია არასაკმარისად გაშუქებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ფოტოსაზოგადოებაში.

კვლევის შედეგების მიხედვით, ფოტოგრაფიაში არსებული პრობლემების მოგვარების გზებიც გამოიკვეთება, რაც პარტნიორებს დაეხმარება, ქართველი, ბელორუსი, სომეხი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი და მოლდოველი ფოტოგრაფების მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროექტის ღონისძიებები უკეთ დაგეგმონ.

ორწლინახევრიანი პროექტის ფარგლებში, თითოეულ მონაწილე ქვეყანაში უამრავი ღონისძიებაა დაგეგმილი — მრგვალი მაგიდებიდან დაწყებული, კონფერენციებით, სემინარებით, ბიზნეს-ფორუმებით, ფოტოკონკურსებით, გამოფენებითა და ფოტოპლენერებით დამთავრებული... ამასთან, იგეგმება, შეიქმნას ერთიანი ვირტუალური ფოტო-სკოლა, სადაც კონკურსის წესით შერჩეული პროფესიონალი და მოყვარული ფოტოგრაფები სპეციალურ პროგრამას უფასოდ გაივლიან და, გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, საერთაშორისო სერტიფიკატს მიიღებენ.

პროექტის მონაწილეებს, ასევე, საშუალება ექნებათ, პროექტის დაფინანსების ფარგლებში, იმოგზაურონ და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებაში, შეხვდნენ ევროპის ფოტოგრაფთა ასოციაციის ექსპერტებსა და მოქმედ ფოტოგრაფებს, რაც ახალგაზრდა ფოტოგრაფების პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს. პროექტის ფარგლებშივე, მოეწყობა ფოტოგადაღებები, საუკეთესო ფოტონამუშევრები კი, „აღმოსავლეთ პარტნიორობის საოჯახო ფოტოალბომში“ დაიბეჭდება, რომლის პრეზენტაციაც საქართველოშია დაგეგმილი.

2013 წლის მარტში, მინსკში (ბელორუსი) ჩატარდება საერთაშორისო პრესკონფერენცია — „აღმოსავლეთ პარტნიორობის თემატური ფოტოგრაფიის განვითარების პერსპექტივები“ და, მრგვალი მაგიდის ფორმატში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ფოტოგრაფიის განვითარების პრობლემები, ფოტოგრაფთა ეროვნულ ასოციაციებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და სხვა აქტუალური საკითხები განიხილება, რაც ზემოხსენებული ქვეყნების ფოტოგრაფთა შორის ურთიერთობის გაღრმავებასა და შემოქმედებითი კონტაქტების დამყარებას გააღრმავებს.

მოკლედ, „ყურადღება, გაიღიმეთ!“ — ევროკავშირის ახალი ფოტოპროექტი იწყება.

EUROEAST CULTURE
Eastern Partnership Culture Programme
funded by the European Union



ქილდის „ღვთისმშობლის“ საერთო ხედი . ჩრდ. აღმოსავლეთიდან

ქვათა მატიანე

დედაო ქილდა!..

ცენტრალური ჯავახეთი

გელა ქოქიაშვილი

ყორეები ყვავილოვან ველზე

სასულიერო მოღვაწის საფლავის ქვა

ქილდის „ღვთისმშობლის“ ჩრდ. ნავი შიგნიდან

კვარშიდან სამხრეთით მივეშურებით. დიდი გაჭირვებით ხრამის კიდეს მივდევთ, რომ მხარი არ გვექცეს. ქვევით არტაანის (ძირითადი) მტკვარი მიედინება. მის მარცხენა სანაპიროზე, შორს კლდეში გამოკვეთილ გელსუნდის ქვაბთა კომპლექსს ვამჩნევთ. გზაზე ცხვრის მცირე ფარა და მწყემსი გვხვდება. ხერთვისელი აღმოჩნდა და თავის მხრივ მანაც დამიდასტურა — სოფლის ცხვარს ამ ადგილებში იმიტომ ვაძოვებ, რომ კვარშა მამა-პაპათაგან ჩვენ გვეკუთვნისო.

— ქილდამდე შორია? — ვეკითხები.

— ქილდა?.. — მწყემსი წამით ჩაფიქრდა, — მარჯვედ მიდიხართ... დედაღვთისას კიდევ დარჩა მომკითხავი? აქედან აყრილი გვარებისა თუ იქნებით...

— არა, ჩვენ თბილისელები ვართ... — მობოდიშებასავით გამომდის.

— დღეს ყველა თბილისელი გახდა, — მწყემსს, თითქოს, ხმა გაებზარა. — განა კი თბილისში ცოტაა აქაური? ქართლის ერთი ნაწილიც ჩვენებურებს არა აქვთ გამამულებული? ეს ადგილები, ერთხელ რომ აიყარა, მერე ვერანაირად დაესახლა, ბოლოს ვერც მენშევიკებმა დაიცვეს ქრისტიანი მოსახლეობა იერლისგან. ჩუნჩხაში კი შეიკრიბა გაფანტული ჯავახობა, მაგრამ კვარშასა და ქილდაში ფეხი ვერ მოიკიდა. ვინც ბოლოს აიყარა ქილდიდან, ზარიძეები, ზედგენიძეები, ნიკოლაანთ ოქროაძეები, ღაღანთ მიქელაძეები იყვნენ. ამიტომ ვიფიქრე, რომ თქვენც მაგ ქოქისანი იყავით.

— არა, მაგრამ, ქოქი რომ თქვი, ეგ კი ახლოსაა ჩემს გვართან. ვინ იცის, ჩემი უძველესი წინაპარიც აქ ცხოვრობდა, — გზააბნეული ბედუინივით ვამბობ და თბილად ვემშვიდობები ხერთვისელს.

როგორც იქნა ეკლესიის კონტურები გამოჩნდა.

ქილდა...

ეს ნასოფლარის სახელია,

ტაძართან მანქანით მიახლოება შეუძლებელია. გალეული ნაყორალი ლაბირინთივითაა, შესვლით შეხვალ, მაგრამ ისეთი ვიწრო მიხვეულ-მოხვეულებია, შეიძლება მანქანა უკან ვეღარ გამოიყვანო, ამიტომ გზას ქვეითად ვაგრძელებთ.

კვარშის საყდრისა არ იყოს, ქილდაც მუქი რუხი ქვებით ყოფილა. ბოლშევიკ-კომუნარებს „ქილდა“ საგულდაგულოდ შეუთეთრებიათ, მაგრამ, სულო ცოდვილო, უნდა ვაღიარო, რომ ტაძარს ეს სითეთრე ნამდვილად შვენის. კირის ფენა ქვათა ნაკერებში ჩამორეცხილა და კედლები გრაფიკულად აუმეტყველებია. ცისა და ყვავილოვანი ბალახის ფონზე, ეკლესია და იქვე განაბული საფლავის ვერძი სპეკალივით ანათებენ. ტაძარი ნასოფლარის ცენტრში, გალავანში ყოფილა ჩამჯდარი. მასთან სამხრეთ-დასავლეთიდან საკმაოდ განიერი ქუჩა ამოდის. სავარაუდოა, რომ უფრო ძველი დასახლება ამ მხრიდან ეკვროდა ტაძარს. ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ „ქილდა“ ერთი ჩვეულებრივი სოფლის საყდარია. მართალია, იგი მეზობლად მდგარი კუმურდოს X საუკუნის ტაძარივით დახვეწილი ვერაა და ვერც მისნაირი პერანგით გამოირჩევა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქილდის ერთგვარი ტლანქი ფორმები შედარებით ადრინდელია. **ქილდა ზის კვარშა-დანკალის ეკლესიათა ერთიან ჯაჭვში და ამასთანავე, ერთ-ერთი უძველესი 2-ნავიანი ნაგებობაა. ამ ეპოქისა და ფორმის ძეგლი ბევრი არაა ჩვენში და წარმოუდგენელია მხოლოდ ერთი სოფელი ყოფილიყო მისი ამგები.** ჩრდილოეთი ნავის გარდა, რომელიც ძირითად დარბაზს სამთაღედით უკავშირდება, ტაძარს სამხრეთის მინაშენიც ჰქონია, მაგრამ მისგან აღარაფერია დარჩენილი. ტაძარში შესულს, სიძველეზე მეტად, ადამიანთა უყურადღებობის და უმადურობის განცდა დამეუფლა. ბევრი ამაზე მეტად დანგრეული და მიტოვებული ძეგლი მინახავს, მაგრამ ასეთი მივიწყებული და „მტვრიანი“ ,არსად. ტაძარში ძალიან „ცივა“ და ეს იმის გამო, რომ აქ ბარეორი საუკუნეა ერთი სანთელიც არ დანთებულა, ერთი ლოცვაც არ აღვლენილა. ისევ ბუნებას უვაჟკაცნია — გარეთ, საყდრის მორღვეულ ლავგარდანზე, ცეცხლისფერი ყაყაჩოები ამოსულან და ჩურჩულებენ:

„მითხარ ძვირფასო, აქ ვინ გაკურთხა,
ამ ცის საუფლოს ვინ მოგცა ბინა?
ან ყვავილოვან ველთა ზღაპარში
მე მწყემსად შენდა ვინ დამადგინა?
ვინ შემოგწირა საფლავზე ყოჩი,
ვინ გაგიხსენა დედაო ქილდა?
ვინ დაგიარა მუხლის ჩოქებით
და ცრემლი წმინდა ვინ დაგადინა?
თქვი ჯავახეთის პირიმზე დედავ,
თმადათოვლილო თეთრო ტაძარო,
თქვი, შენს შვილებში კიდევ ვის ხედავ,
რომ ტვირთი მასთან ერთად ვატარო.“

... ჩვენი მანქანა ისევ არტაანის მტკვრის (ძირითადი მტკვრის) ხრამის თავს მიუყვება და ბალახში ღრმა ნაკვალევს ტოვებს. ალაგ-ალაგ ვჩერდებით, რომ კელაპტრებივით აზიდული ყვითელი სარო-ყვავილების ფონზე მობიბინე ველი და მტკვრის ხეობის გრძელი პანორამები გადავიღოთ. ხრამის გაყოლებაზე მრავალი ქვაყრილია. ზოგი მათგანი მინდვრის გაწმენდისას ნაგროვები ლოდებია, ზოგი ციკლოპური კედლის ნაშალს ჰგავს.

ფიქრი თავისას არ იშლის — დიდი წუნდის ნაკვალევი თუა!.. ვინ იცის, მიწის სიღრმეში რა საიდუმლოება თვლემს!..

კარგა ხნის ჯაყჯაყის შემდეგ, დამრეცზე მდგარი თლილი, შინდისფერი ქვით შემოსილი ტაძარი გამოჩნდა. ეს **დახვანდის** ეკლესიაა. ირგვლივ ნასახლარის კონტურები ისახება.

ვარაუდობენ, რომ ამ ადგილის უძველესი სახელი დავხანდა უნდა იყოს. აქ ხომ არ მთავრდებოდა დიდი წუნდის გალავანი და დავხანდა დასახანებელი, მოსაცდელი პუნქტი ხო მარ იყო? დახვანდის შემდეგ, სამხრეთით, კანიონი მცირე უბეს ქმნის და მერე კუმურდოც იწყება...

ნასოფლარის სახელწოდების სუფიქსი „და“, ნიკო ბერძენიშვილის ვარაუდით, იმ ხალხის მოტანილი უნდა იყოს, რომელმაც „ურ“ სუფიქსის მატარებელი ხალხი შეცვალა. ამის მაგალითად ღვაწლმოსილ მეცნიერს ჯავახეთის უმთავრესი ცენტრი — წუნდა მოჰყავს (აღსანიშნავია, რომ წუნდის მსგავსი სახელწოდების სოფელი და ეკლესია სამაჩაბლოშიც გვაქვს — „წუნარი“.). ჩნდება სხვა ეჭვიც: სუფიქსი „და“ დაყრუებული „თა“ ხომ არ არის? სამცხე-ჯავახეთში ერთმანეთის გვერდით აკი ასეთი ტოპონიმებიც გვხვდება: ერთი მხრივ — ალანთა, ბალანთა, ღართა, ბერთა და მეორე მხრივ — წუნდა, ქილდა, დახვანდა, სულდა, ოლოდა, კუმურდო, ჭოლდა, გელსუნდა. გავიხსენოთ ქვემო ქართლში მარაბდა, კახეთში — შილდა, აფხაზეთში — წებელდა, დრანდა და ა. შ.

ახლა ტაძარს მივხედოთ. ჩვენს წინაშეა ღვინისფერი თლილი ქვის პერანგში მჯდარი ნაგებობა, რომელიც, სავარაუდოდ, X საუკუნეში უნდა იყოს აგებული. მისთვის 100-150 წლის წინათ სამხრეთიდან ეზო-კარაპანი მიუშენებიათ, რითაც მცხეთის რაიონის ციხისძირის გვიანი შუასაუკუნეების ორ საყდარს მოგვაგონებს. დახვანდის ამ „რეკონსტრუქციის“ ავტორი მეზობელი კუმურდოს სომხური მოსახლეობაა. ეზო-კარაპნის კედლებში აქა-იქ ძველი სტელები და საფლავის ქვებია ჩაყოლებული. ამ მხრივ ყველაზე თვალშისაცემია ეკლესიისა და ეზოს აღმოსავლეთ კედლების გადაბმაში შეყუჟული ე. წ. ბოლნური ჯვარი. თავად ტაძარი „რესტავრატორებს“ კამარით ვერ გადაუხურავთ და შიფერი დაუფარებიათ. ეკლესიას ერთადერთი კარი სამხრეთიდან აქვს. მის არქიტრავზე, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, საღებავით სომხური სიტყვები მიუწერიათ. ამავე პერიოდში, საკურთხევლის სარკმელი სომხურ ყაიდაზე ამოუშენებიათ და დაუპატარავებიათ, ხოლო მისი ორიგინალური ჯვრიანი თავსართი, ეზოს ერთ-ერთ კედელში ჩაუდგამთ. მძიმე სანახავია ტაძრის ინტერიერი: საკურთხევლის ამბიონი მონოფიზიტურ წესზე აუმაღლებიათ და შიდა სივრცის პროპორციები დაურღვევიათ (ასეა სირგვაშიც). ერთ კუთხეში მიყრილია წარმართული საკადრისები, ხოლო მეორე კუთხეში — შეწირული მამლის თავები (ასეა კაჭიოშიც და მურჯიკანშიც).

ქილდიდან გამოყოლილ განცდას დახვანდის ხილვა კიდევ უფრო ამძიმებს.

... რა ულმობლად გადის დრო, თითქოს, გუშინ თუ გუშინწინ იყო აქ, ამ მიწაზე, ამ ტაძრებთან რომ ავიდგით ენა მეც, მამაჩემმაც, პაპაჩემმაც და პაპის პაპამაც, შენმა პაპამაც და პაპის პაპამაც, ჩემო მკითხველო, ჩემო ძმაო ქართველო, ახლა კი გაუცხოებული ვდგავართ და ამ სამოთხეში მასპინძლობას, სტუმრად ყოფნას ვამჯობინებთ, ჩვენივე ნებით.

ავტორის ფოტოები

დახვანდის ეკლესიის ხედი სამხრეთიდან და ეზო-კარაპანში ჩაყოლებული ტაძრის ძველი, მორღვეული რელიეფებიანი ქვები

ბედნიერი ერი

სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, „შური არს მწუხარება სხვის სიხარულსა ზედა“. დიდი ქართველის ლექსიკონში არაფერი წერია, რა არის სიხარული სხვის უბედურებაზე, მაგრამ მისი სახელი ყველამ იცის...

ახლა საქართველოში ისეთი სურათია, როდესაც ერთს მეორის წარმატება სწყინს, ჩავარდნა კი ახარებს და თუ რამე შეემთხვა, ამოისუნთქებს ხოლმე. ეს პოლიტიკური ნევროზი ყველა სფეროს შეეხო და დღემდე დიდი ტემპითა და წარმატებით გრძელდება, რაც ქვეყნის გახლეჩასა და დაქუცმაცებას უწყობს ხელს.

სხვა არაფერი ჰქვია იმ სიხარულს, რაც ბოლო დღეებში ჭიდაობის სამყაროში მომხდარ ფაქტს მოჰყვა. კარგი კი, არაფერი მომხდარა.

„ლუკა კურტანიძემ თემურ ყაზარაშვილი და რაინდ აბრამიშვილი სცემა“, – ამას ისე გვაწვდიან ტელევიზიები, თითქოს, ქართველების წარმატების ამბავს გვახარებენ. თუ დამტკიცდა, რომ ერთმა მსოფლიო ჩემპიონმა (ლუკა კურტანიძემ) მეორე (თემურ ყაზარაშვილი) გალახა, ეს საქართველოს სირცხვილია. არადა, რაღაც, მართლაც, მოხდა.

ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, თემურ ყაზარაშვილი ამტკიცებს, რომ ფედერაციის პრეზიდენტ კურტანიძესთან სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურში გადაიზარდა. კონფლიქტის მიზეზად, აზრთა სხვადასხვაობა დასახელდა: პრეზიდენტად არჩეულმა კურტანიძემ ყველა მწვრთნელი გადააყენა, მაგრამ ბრძანებაზე ხელი არ მოუწერა, რადგან პრეზიდიუმთან არ იყო შეთანხმებული.

— ამის შემდეგ მე, არჩეულ ვიცე-პრეზიდენტს, უშვერი სიტყვებით მომმართა, დარბაზში აღარ დაგინახოო, ხელი და წიხლი დამარტყა, წავიქეცი და წიხლიც მომაყოლა, — აღნიშნა თემურ ყაზარაშვილმა.

ყოფილი მოჭიდავე რაინდ აბრამიშვილიც იგივეს ამტკიცებდა, კურტანიძემ წამაქცია და მცემაო, მაგრამ მისი დანაქადნი, 200-300 კაცი შევიკრიბებით და ფედერაციის პრეზიდენტი აღარ იქნებაო, არ ახდა. ფედერაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე რომან რურუა აღიარებს, რომ მდგომარეობა ჩიხშია შესული. სამწუხარო ამბავია. მანამდეც ასე ხდებოდა, ამბაკო ავალიანის, ბექთილ შეკვანის და სპორტულ ფედერაციებში დასმულ არამკითხეთა ამბები ამაზე მეტყველებდა. ხელქვეითთა წამოლაწუნებასაც არ ერიდებოდნენ. კურტანიძე იმანაც გაამწარა, რომ ბევრზე ჰქონდა ეჭვი, ძველ ხელისუფლებას „ზონდერებით“ ამარაგებდაო.

მისი მაქსიმალიზმი გასაგებია — იმდენი ტკივილი და სიმწარე გადაუტანია, თავის მოთოკვა უჭირს, მაგრამ ახლებისგან ბევრად უკეთეს დამოკიდებულებას ველოდით და ეს არ უნდა დაავიწყდეს. ქრისტიან კაცს მეტი სიყვარული და მიმტევებლობა მოეთხოვება.

იმ ცნობილი ფრაზის დაჯერებაც არ გვსურს, რომ რევოლუციონერები მათ ემსგავსებიან, ვისაც ებრძოდნენ.

ლუკა კურტანიძე გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებს

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი და პოლიციის აკადემიის პრორექტორი ლუკა კურტანიძე მორიგ სკანდალში გაეხვა — ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თემურ ყაზარაშვილი და მოჭიდავე რაინდი აბრამიშვილი მას ცემასა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებენ. ლუკა კურტანიძე კი, „ვერსიასთან“ 30 იანვარს, ჭიდაობის ფედერაციაში მომხდარ ინციდენტს ასე იხსენებს: **„მოგეხსენებათ, ფედერაციის პრეზიდენტად ცოტა ხნის წინ ამირჩიეს, ამიტომ ჯერ კიდევ არ მაქვს უფლება, ხელფასების უწყისებს ხელი მოვაწერო. რაც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, თემურ ყაზარაშვილს ვთხოვე. მან კი უარი განაცხადა. ბუნებრივია, მას უფლებამოსილების შესრულება მოვთხოვე, რამაც ჩვენ შორის შეკამათება გამოიწვია. პრობლემას ვერ ვხედავ, რომ დაქვემდებარებულ პირს ვალდებულების შესრულება მოვთხოვო. შემიძლია გადმოგცეთ ის უწყისი, რომელზეც ვსაუბრობ. ეს იყო და ეს. სიტუაციის განმუხტვის მიზნით, მაშინ კაბინეტიც კი დავტოვე. ვფიქრობ, რომ უნდა შევრიგდეთ, ახლა სხვა გზა არ არსებობს... ვადასტურებ, რომ მწვრთნელები გავათავისუფლე. ნაციონალური მოძრაობის ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში, როგორც სრულიად საქართველოში, ჭიდაობის ოჯახშიც დაგროვდა ნაგავი. ამიტომაც, დღეს ჭიდაობის ფედერაციის დასუფთავებას ვახორციელებ და ყველას მიმართ, ვინც ხელს შემიშლის, ნამდვილად შეუვალი ვიქნები. ოცი წელია, ჭიდაობაზე რეალურად არავის უზრუნია, ამიტომ ვფიქრობ, რომ მწვრთნელები ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა იცვლებოდნენ. წარმოიდგინეთ, ერთი თვეა, რაც ფედერაციის პრეზიდენტად დავინიშნე და უკვე რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მომიწია. კარგი იქნება თუ მუშაობას დამაცდიან“.**

მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და თემურ ყაზარაშვილთან ერთად, გამოძიებამ ლუკა კურტანიძეც დაკითხა. **„ბუნებრივია, სამართალდამცავებმა ინციდენტთან დაკავშირებით საქმე აღძრეს, ეს ნამდვილად არ მიკვირს, რადგან ჩვეულებრივი ამბავი არ მომხდარა... გამოძიებასთან მომავალშიც ვითანამშრომლებ, თუმცა საქმეში ცემის ფაქტი დადასტურებული არ არის“.**

ჭიდაობის ფედერაციაში მომხდარი ინციდენტის გამხაურების შემდეგ, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ ლევან ყიფიანის ინიციატივით, რამდენიმესაათიანი შეხვედრა გაიმართა, სადაც გადაწყდა, რომ კურტანიძე ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად დარჩება.

რუსუდან შელია

ვინი ჯონსი: „ქინქლაძე ძალიან მაგარი იყო!“

უელსელი კინოვარსკვლავი ვინი ჯონსი თბილისშია, „ინბოქსის“ სარეკლამო რგოლში გადაიღეს და მიუსაფარ ბავშვებსაც შეხვდა. მაყურებელმა ჯონსი ფილმებით — „ევროტური“, „კარტი, ფული და ორი ლულა“, „დიდი კუში“ გაიცნო. ის არა მხოლოდ მსახიობი, არამედ, საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელიც გახლდათ, მაგრამ ცნობილი იყო არა იმდენად კლასის, არამედ უხეშობის გამო.

ჯონსმა თავისუფალი დრო მოძებნა და თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებს თავისი გამოცდილება გაუზიარა, ისიც გაიხსენა, რომ 1994 წელს, უელსის ნაკრების შემადგენლობაში ეწვია ჩვენს ქვეყანას.

„ის შეხვედრა ცუდად მახსენდება, საქართველოს ნაკრებმა თბილისში 5:0 მოგვიგო. თქვენებმა მოგვიგეს განმეორებით შეხვედრაშიც, რომელიც უელსში, კარდიფში გაიმართა – 0:1. მეორე მატჩში მოედნიდან უხეშობისთვის გამაძევეს. ეს მომენტი და გიორგი ქინქლაძე განსაკუთრებით დამამახსოვრდა. ძალიან მაგარი ფეხბურთელი იყო, რომლის მსგავსიც ჩემი თამაშის დროს ინგლისსა და მთელ მსოფლიოში ბევრი არ მეგულებოდა“, — ამბობს ვინი ჯონსი.

sochi.ru 2014

სოჭის ოლიმპიადას საქართველო ბოიკოტს აღარ გამოუცხადებს

ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშები საყოველთაო ინტერესს იწვევს. მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური სპორტულ თამაშებთან დაკავშირებულ რამდენიმე ამბავზე მოგითხრობთ.

სააგენტო „ინტერფაქსის“ ცნობით, 2014 წელს დაგეგმილი სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარება ორგანიზატორებს 1,5 ტრილიონ რუბლზე მეტი დაუჯდება, რაც, დაახლოებით, 50 მილიარდი დოლარია. 2013 წლის 1 იანვრის მონაცემებით, ოლიმპიური ობიექტების მშენებლობების დაფინანსებასა და თამაშებთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებზე 1 ტრილიონ 525 მილიარდ 900 მილიონი რუბლი დაიხარჯა.

ამასობაში, ცნობილი ხდება, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება ნაციონალური ხელისუფლების შეხედულებას ემიჯნება და სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე დელეგაციის გამგზავრებას აპირებს, რადგან ოლიმპიადაზე უარის თქმა შემდეგი ოლიმპიადიდან მოკვეთასაც ნიშნავს. რუსეთმა საქართველო დაანაწევრა და, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ამას რომელიმე ქართველი შეეგუოს, მაგრამ ჩვენთვის მაგალითად ვერ გამოდგება, რომ მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადას ამერიკელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, ხოლო რუსებმა — 1984 წლის ლოს-ანჯელესის თამაშებს. ეს ორი ქვეყანა წამყვანი პოლიტიკური ფიგურაა, ხოლო საქართველო პაიკის როლშია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი „ვეშაპებს“ ვერაფერს უბედავს, მაგრამ პაიკებს სამაგალითოდ სჯის.

მსოფლიოში სახელგანთქმულ მევიოლინე ვანესა მეის სოჭის ოლიმპიადაზე „ასპარეზობა“ სურს — თეთრ ოლიმპიადაზე სამთო სათხილამურო სპორტში ტაილანდის გუნდის სახელით უნდა სცადოს ბედი. ბრიტანელმა მევიოლინემ აზიელებს თხოვნით ჯერ კიდევ 2010 წელს მიმართა, ტაილანდის ოლიმპიური კომიტეტიც მის მიმართვას სიამოვნებით დათანხმდა.

2012 წლის ოქტომბერში ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა 41 წლის ლენს ამსტრონგს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და 1998 წლიდან მოპოვებული ყველა ტიტული ჩამოართვა. ამსტრონგი პოპულარულ ამერიკულ თოქ-შოუში გამოტყდა, რომ აკრძალულ პრეპარატებს სისტემატურად იყენებდა. მორიგ სკანდალს უფრო სკანდალური გაგრძელება მოჰყვა: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა დიკ პაუნდმა, რომელიც ადრე მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს თავმჯდომარე გახლდათ, სააგენტო „როიტერთან“ მის განცხადებაზე რეაგირება მოახდინა და შესაძლოა, ველოსპორტი ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოიღონ.

„სოკ-ს, ამ რადიკალური ნაბიჯის გარდა, სხვა გზა არ დარჩენია. ამსტრონგის საქმეს სოკ-ი გამოიძიებს, რადგან ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი დოპინგთან ბრძოლაში კარგი რეპუტაციით არ სარგებლობს“, — ამბობს ამსტრონგი.

ამერიკელი ველომრბოლელის საქმის განხილვა ამჟამად მიმდინარეობს. არსებობს ეჭვი, რომ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი არა მხოლოდ ამსტრონგს, სპორტსმენთა მიერ დოპინგის გამოყენების მასშტაბურ სქემასაც შეგნებულად მალავდა და თუ ეს დადგინდა, ველოსპორტის აფერა დასრულდება.

მოახლოვდა ევროპის რიგით XI ახალგაზრდული ზამთრის ოლიმპიური ფესტივალიც, რომელსაც 17-22 თებერვალს, რუმინეთის ქალაქი ბრაშოვი უმასპინძლებს. სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, საქართველომ ორი ფესტივალი (1999 და 2001 წწ) გამოტოვა, მაგრამ ბრაშოვში ჩვენი სპორტსმენები იასპარეზებენ. დღემდე, ქართველთაგან საუკეთესო შედეგი ვახტანგ მურვანიძემ აჩვენა, რომელმაც 1997 წლის სუნდსვალის (შვედეთი) თამაშებზე ფიგურულ ციგურაობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ბრაშოვში 45-მდე ქვეყნის 1300-ზე მეტი სპორტსმენი მოიყრის თავს, რომლებიც მედლებს სპორტის 8 სახეობაში (სამთო-სათხილამურო სპორტი, თხილამურებით რბოლა, ტრამპლინიდან ხტომა, შორტ-ტრეკი, ჰოკეი, ფიგურული ციგურაობა, ბიატლონი, სნოუბორდი) გაითამაშებენ. საქართველო ფესტივალზე 7 სპორტსმენით წარსდგება: სამთო-სათხილამურო სპორტში ცდიან ბედს ნიკოლოზ კოზანაშვილი, სოსო ჯაფარიძე, შოთა ნათაძე და სანდრო ობგაიძე, სნოუბორდში — გიორგი წამალაიძე და ბექა მერკვილიშვილი, ხოლო არმენ აგაიანი — ფიგურულ ციგურაობაში.

დელეგაციას ბრაშოვში სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი და ზამთრის სპორტის კურატორი მამუკა ხაბარელი უხელმძღვანელებს, ხოლო ოლიმპიურ სოფელში მისიის თავკაცობა გიორგი ესაკიას ჩააბარეს.

წილისყრამ მეტოქეები დაგვიდგინა, საქართველო და რუსეთი კი, უეფა-მაც დააშორა

31 იანვარს ნიონში ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის ჯგუფების წილისყრა გაიმართა. მე-3 შესარჩევ ქვეჯგუფში ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები იქნებიან ჰოლანდია, შოტლანდია, სლოვაკეთი და ლუქსემბურგი.

საიუბილეო, მე-20 ფინალურ ეტაპს 2015 წლის ჩეხეთი უმასპინძლებს, შესარჩევი ტურნირის შეხვედრები კი 2013-2-14 წლებში ჩატარდება. ტურნირის ფორმატით, 52 ქვეყნის ნაკრები 10 ჯგუფში განაწილდა: ორში 6-6 გუნდი იქნება, რვაში — 5-5. უეფა-ს აღმასკომმა არსებული პოლიტიკური მდგომარეობა გაითვალისწინა და წინასწარ ცნობილი გახდა, რომ საქართველო-რუსეთისა და აზერბაიჯანი-სომხეთს წყვილები ერთ ჯგუფში ვერ მოხვდებოდნენ.

წილისყრას დაესწრნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე და სფფ-ის ტექნიკური დირექტორი ნიკოლოზ ჩხეიძე. ისინი მომავალ მეტოქეებს კალენდარზე შეუთანხმდნენ, თუმცა ამისთვის, დიდი კამათი და დისკუსიაც დასჭირდათ. ჰოლანდიური მხარე ყველანაირად ცდილობდა თავისთვის სასურველი ვარიანტის გატანას, მაგრამ როგორც ჩივაძემ განაცხადა, ჩვენთვის მაქსიმალურად კარგ კალენდარზე შეჯერდნენ.

უეფა-ს ევროპის 2015 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კალენდარი. მე-3 ჯგუფი.

2013 წელი — 25 მარტი
შოტლანდია — ლუქსემბურგი
11 ივნისი
ლუქსემბურგი — სლოვაკეთი
5 სექტემბერი
ჰოლანდია — შოტლანდია
ლუქსემბურგი — საქართველო
9 სექტემბერი
სლოვაკეთი — საქართველო
ლუქსემბურგი — ჰოლანდია
10 ოქტომბერი
საქართველო — ჰოლანდია
შოტლანდია — სლოვაკეთი
14 ოქტომბერი
სლოვაკეთი — ლუქსემბურგი
საქართველო — შოტლანდია
14 ნოემბერი
სლოვაკეთი — ჰოლანდია
შოტლანდია — საქართველო
18 ნოემბერი
საქართველო – სლოვაკეთი
2014 წელი — 5 მარტი
საქართველო – ლუქსემბურგი
28 მაისი
შოტლანდია – ჰოლანდია
3 ივნისი
ჰოლანდია – ლუქსემბურგი
4 სექტემბერი
სლოვაკეთი — შოტლანდია
ჰოლანდია – საქართველო
8 სექტემბერი
ჰოლანდია — სლოვაკეთი
ლუქსემბურგი — შოტლანდია

გვერდი მოამზადა გიორგი მაისურაძემ



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ადვილი

3	2	1	8	9	7	6	5	4
9	8	4	6	2	5	1	7	3
7	6	5	4	1	3	9	8	2
6	5	2	3	8	9	7	4	1
4	3	9	1	7	2	8	6	5
1	7	8	5	6	4	3	2	9
5	9	6	7	4	1	2	3	8
8	1	3	2	5	6	4	9	7
2	4	7	9	3	8	5	1	6

რთული

6	5	1	8	9	3	4	2	7
9	4	8	2	1	7	6	5	3
7	3	2	6	5	4	8	1	9
3	2	6	1	8	9	7	4	5
5	1	9	4	7	6	3	8	2
8	7	4	5	3	2	1	9	6
4	9	7	3	2	1	5	6	8
2	6	5	7	4	8	9	3	1
1	8	3	9	6	5	2	7	4

საშუალო

9	2	7	8	6	5	3	1	4
6	8	1	7	4	3	9	2	5
5	4	3	2	1	9	7	8	6
8	3	5	1	9	4	6	7	2
4	1	2	6	8	7	5	9	3
7	9	6	3	5	2	8	4	1
2	7	4	9	3	6	1	5	8
1	6	9	5	2	8	4	3	7
3	5	8	4	7	1	2	6	9

ეჭვიანი

1	6	4	2	7	9	8	5	3
5	9	3	4	6	8	1	7	2
8	2	7	5	3	1	9	4	6
9	1	8	3	5	7	2	6	4
7	5	6	1	4	2	3	9	8
4	3	2	9	8	6	7	1	5
6	8	1	7	2	5	4	3	9
2	4	9	6	1	3	5	8	7
3	7	5	8	9	4	6	2	1

ჰოროსკოპი
4 თებერვალი

ვერძი — ახლა წვრილმანებით დაკავების დრო არ არის. სჯობს, ერთი მიმართულება აირჩიოთ და მას მიჰყვეთ. დღეს გარკვეულ კომპრომისებზე წასვლაც მოგიწევთ, რათა გარშემომყოფებსა და შინაურებთან ურთიერთობაში წონასწორობა შეინარჩუნოთ.

კურო — დღეს წარმოქმნილი პრობლემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ იქნება, მაგრამ მათ მოგვარებას დიდი დრო და ენერგია სჭირდება. შეეცადეთ, დისტანცია დაიცვათ და ყველაფერსაც ნუ დაიჯერებთ, რისი მოსმენაც მოგიწევთ.

ტყუპები — დღეს არაა სასურველი, მოვლენების ფორსირება მოახდინოთ სამსახურში, ჯიუტად განაგრძეთ დაწყებული საქმე, ეცადეთ, ყველგან დაამყაროთ წესრიგი და ნურც სხვების დახმარების იმედი გექნებათ. თავი შეიკავეთ დიდი ფინანსური ხარჯებისგან.

კირჩხიბი — დღე სწრაფ ტემპში ჩაივლის და მოვლენებით გადატვირთული იქნება, მაგრამ თუ რაიმე საქმის გაკეთებას ვერ მოასწრებთ, ნუ ეცდებით თავს ზემოთ ახტომას. სასიამოვნო შეხვედრები და ახალი რომანტიკული გატაცება გელით, ოღონდ მოვლენებს ნუ დააჩქარებთ.

ლომი — ლომებისთვის ეს დღე საკმაოდ რთული იქნება, საყვარელი ადამიანიც უამრავ საზრუნავს გაგიჩენთ. მაგრამ ნუ მიიტანთ გულთან ახლოს მის გამოხტომებს, რადგან ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა. თავი აარიდეთ ახალ ნაცნობობას — ის წარუმატებელი და უმნიშვნელო აღმოჩნდება.

ქალწული — დღეს მოგიწევთ დიდი ძალისხმევა დახარჯოთ წინააღმდეგობების გადალახვაზე, მაგრამ წარმატებაც არ დააყოვნებს. თუ გაქვთ არარეალიზებული იდეები, სწორედ ახლა დადგა მომენტი მათი განხორციელებისთვის.

სასწორი — სასწორებს დღეს უსიამოვნო მოვლენა არ ელოდება და ამიტომ თამამად დაგეგმეთ დღე, როგორც გსურთ. შეეცადეთ ის საკითხები მოაგვაროთ, რაც ადრე გადადეთ. მიღებული შედეგით საკმაოდ კმაყოფილი დარჩებით.

მორიელი — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს მთების გადაგორებასაც შეძლებენ, თუკი ეს დასჭირდებათ. თუკი სიმტკიცესა და მიზანსწრაფულობას გამოიჩენთ, მოლაპარაკებები მაღალ დონეზე ჩაივლის და არც სასურველი კონტრაქტების გაფორმება დააყოვნებს.

მშვილდოსანი — დღეს თავში უამრავი ახალი იდეა და ნოვატორული აზრები მოგდით, თუმცა ამაღლებული განწყობა შეიძლება იმან გაგიფუჭოთ, რომ ხელმძღვანელობა არ აფასებს ღირსეულად თქვენს მუშაობას. ნუ მიიღებთ ამას სერიოზულად და გაითვალისწინეთ უფრო გამოცდილი კოლეგების მოსაზრება.

თხის რქა — დღეს წარმატებებს მიაღწევთ როგორც სამსახურში, ისე საქმიანობის სხვა სფეროებშიც. საკუთარი პოტენციალი იქ გამოიყენეთ, სადაც თქვენი ნამდვილად ესმით და თქვენს იდეებსაც იწონებენ. მხოლოდ ნუ ჩამოარიგებთ დაპირებებს, რომლის შესრულების საშუალება არ გაქვთ.

მერწყული — ეს დღე მერწყულებისთვის, შესაძლოა, წინააღმდეგობებით სავსე აღმოჩნდეს. ერთი მხრივ, საკმაოდ აქტიური იქნებით და შედეგების მიღწევის დიდი სურვილი გამოძრავებთ, მაგრამ, მეორე მხრივ, შემოთავაზებული წინადადებები, შესაძლოა, არც ისე საინტერესო აღმოჩნდეს, როგორც ელოდით.

თევზები — დღეს ერთბაშად რამდენიმე საქმის კეთება მოგიწევთ. შეეცადეთ, დრო ტყუილად არ გაფლანგოთ და ყურადღება მიაქციოთ შემოსულ ინფორმაციას. ეს დღე რომანტიკული განწყობისკენ გიბიძგებთ, საღამოს სავარაუდოა დროის სასიამოვნოდ გატარება და ჰარმონიული ურთიერთობები საყვარელ ადამიანთან.

ტემპერამენტს სისხლის ჯგუფი განსაზღვრავს

აღზრდის, საზოგადოებრივი აზრისა თუ მსოფლმხედველობის გამო, 21-ე საუკუნეშიც, ქალების უმრავლესობა არ არის თავისუფალი ტემპერამენტისა და სექსუალური შესაძლებლობების გამოვლენისას, თუმცა რამდენად ტემპერამენტიანია მანდილოსანი, ამის განსაზღვრა შესაძლებელი ყოფილა... სისხლის ჯგუფის მიხედვით. მაშ ასე, თუ სუსტი სქესის წარმომადგენელს პირველი ჯგუფის სისხლი აქვს, მაშინ ის ვნებიანი და ძლიერი ნებისყოფის მქონე ქალბატონია. საწოლში ის „მტაცებელია“, რომელიც არ იღლება და არც პარტნიორს აძლევს მოსვენების საშუალებას. არ ესმის და არ სცნობს მორცხვ და მოკრძალებულ მამაკაცებს. მეორე მხრივ, ასეთი ქალი თავშეკავებულია და ძლიერი ვნების მიუხედავად, არავის მისცემს უფლებას, მოხიბლოს. ის მთლიანად ეკუთვნის მუდმივ პარტნიორს, რომლისთვისაც ამოუცნობი და სასურველია 20-წლიანი თანაცხოვრების შემდეგაც.

მეორე ჯგუფის სისხლის მქონე ქალები, ძირითადად, კარიერითა და პირადი საქმეებით არიან დაკავებულნი, მათ ნაკლებად აღელვებთ სექსი, მაგრამ მამაკაცს უარს იშვიათად ეუბნებიან — უფრო მისი დაკარგვის შიშის გამო. ასეთი ქალი გონიერი და წინდახედულია, ხშირად აღწევს წარმატებას ბიზნესში და არ უყვარს ექსპერიმენტები საწოლში. ამ ჯგუფის წარმომადგენლები ქმრის ერთგულები არიან, თუმცა მისთვის სიამოვნების მინიჭება საყვარელ მამაკაცს უჭირს ზედმეტი კონსერვატიულობის გამო.

თუ მესამე ჯგუფის სისხლის მქონეა მანდილოსანი, მას უყვარს სექსი, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ისინი კარგი მსახიობები არიან და ლოგინში თამაშიც შესანიშნავად გამოსდით. ცხოვრებასაც თამაშით მიჰყვება — ყველაფერს მარტივად უყურებს და თავისუფალია ყველანაირი კომპლექსისგან. არც დიდი ერთგულებით გამოირჩევა, პარტნიორებს ხელთათმანივით, უბრალო ინტერესის გამო იცვლის.

მშვენიერი სქესის წარმომადგენელს თუ მეოთხე ჯგუფის სისხლი უჩქეფს, მას შეუძლია, მამაკაცი მთლიანად გაათავისუფლოს სექსუალური კომპლექსებისგან. ასეთი ქალი მგრძნობიარეა და თანაც შეუძლია, პარტნიორის ყველა ფანტაზია განახორციელოს. სიყვარულის მიმართ სერიოზული დამოკიდებულებით გამოირჩევა და, შესაბამისად, არც პარტნიორს იცვლის ხშირად.

სიმსივნის ტესტი მოსწავლემ გამოიგონა

15 წლის მოზარდმა მერილენდის შტატიდან, რევოლუციური აღმოჩენა მოახდინა მედიცინის სფეროში. მან კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს ადრეული სტადიის აღმოსაჩენად ტესტი მოიგონა. ეს სიმსივნის ერთ-ერთი მძიმე სახეობაა, რომელიც ავადმყოფთა თითქმის 98%-ს კლავს. თანაც, უმრავლესობა დიაგნოზის დასმიდან ერთ წელიწადში იღუპება. სამწუხაროდ, სიმსივნე ყოველგვარი სიმპტომის გარეშე ვითარდება იმ მომენტამდე, როცა მკურნალობა დაგვიანებულია. ამერიკელმა მოსწავლემ კი ამ გამოგონებით, შესაძლოა, მილიონობით სიცოცხლე იხსნას. თუ დაავადება 1-2 სტადიაზე გამოვლინდება, გამოჯანმრთელების შანსი იზრდება. ჯეკ ანდრაკამ უმარტივესი ანალიზი მოიფიქრა მეზოტელინის დონის გასაზომად. მეზოტელინი ბიომარკერია სიმსივნის ადრეული სტადიისა, რომლის გამოვლენაც შეიძლება სისხლსა და შარდში. ანალიზი საშუალებას იძლევა, ნამდვილი რევოლუცია მოახდინოს დაავადების მკურნალობის საქმეში. ანდრაკის ტესტი, რომლისთვისაც მან უკვე მიიღო პირველი პრიზი — 75 ათასი დოლარი, ძალიან ჰგავს ტესტს დიაბეტიანებისთვის. ეს სპეციალური ქაღალდის ზოლია, რომელზეც სისხლი უნდა დააწვეთოთ. ანალიზის სიზუსტე 90%-ს აჭარბებს, ტესტის ღირებულება კი სულ 3 ცენტია. გარდა კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოსი, ტესტის გამოყენება შეიძლება ასევე საკვერცხეებისა და ფილტვების სიმსივნის, ასევე სხვა უამრავი დაავადების გამოსავლენად. ტესტი კიბოს სხვადასხვა ფორმას, ტუბერკულოზს, შიდსს, სალმონელოზს და სხვა მსგავს დაავადებებსაც გამოავლენს, — აცხადებს ახალგაზრდა მეცნიერი, — და ეს ყველაფერი ხუთ წუთში, სულ რაღაც სამ ცენტადაა შესაძლებელი. ტესტის შექმნა მაშინ გადავწყვიტე, როცა ოჯახის ახლობელი გარდაიცვალა, — აღნიშნავს ჯეკ ანდრაკა.

ბროწეული მადას გაგიკონტროლებთ

რამდენიმე წლის წინ, ბროწეული სუპერპროდუქტად აღიარეს, ანტიოქსიდანტების მაღალი შემცველობის გამო. ცოტა ხნის წინ კი, სწავლულებმა ამ წვნიანი ხილის კიდევ ერთი თვისება აღმოაჩინეს, რომელიც დიეტაზე მყოფ ადამიანებს დააინტერესებს. საქმე ისაა, რომ ბროწეული (ან ბროწეულის წვენი) შიმშილის მკვეთრ შეგრძნებას აქვეითებს და საშუალებას იძლევა, ადამიანი დანაყრდეს საკვების მცირე რაოდენობის მიღების შემდეგაც. ედინბურგის უნივერსიტეტის მეცნიერეთა მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ ისინი, ვინც ბროწეულის ექსტრაქტს იღებდა, 22%-ით ნაკლებ საკვებს მიირთმევდა, პლაცებოს მიმღებ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

სუდოკუმანია

ადვილი

	4			9		7	5	
			4				8	
			3		2		9	
8				5	7	4		
1								5
		4	8	6				9
	6		7		4			
	2				9			
	1	7		8			2	

სტანდარტი

2		5	1					
	7		5	4				1
4	1				2			
						5	3	9
		7		8		4		
5	3	6						
			9				5	8
9				5	3		1	
					1	9		4

რთული

	4				6			9
	1				2	7		
						4	3	
	5	4	8					
2			9		5			4
					1	6	5	
	6	9						
		7	6				8	
5			1				4	

ექსპერტი

5					2	6		
				6	5		3	1
	1				3		7	5
					1		2	
8			3		7			6
	3		4					
3	6		7				8	
2	8		5	3				
		4	2					7

კაცებისთვის ყველაზე საშიში პროფესიები გამოავლინეს

სოციოლოგიურმა კვლევამ, რომელიც დიდ ბრიტანეთში ჩატარდა, გამოავლინა, რომ მამაკაცების ჯანმრთელობისთვის ყველაზე საშიში პროფესია — ბიზნესია. ბიზნესმენებს სხვებზე მეტად აწუხებთ პრობლემები სექსუალურ სფეროში, რადგან რეგულარულად სტრესის ქვეშ არიან და არასწორად იკვებებიან. გამოკითხვის მიხედვით, იმპოტენციის შედარებით ნაკლები რისკის ქვეშ მოხვდნენ პოლიციელები, მცველები, სამხედროები და მეხანძრეები. მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები და სხვა შემოქმედებითი პროფესიის მქონე მამაკაცებიც არ არიან საუკეთესო საყვარლები. სექსუალური ენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილის სუბლიმირებას ისინი შემოქმედებაში ახდენენ, ხოლო როცა მუზა ეწვევათ, თავით გადაეშვებიან ხოლმე საქმეში. რეიტინგს სპორტსმენები და იმ პროფესიის მამაკაცები ასრულებენ, ვინც ფიზიკური სამუშაოთია დაკავებული.

სახლებში ჩუმად ალაგებდა

აშშ-ს ოჰაიოს შტატში 53 წლის სიუზან უორენი დააკავეს, რომელსაც ადგილობრივმა მედიამ მეტსახელად „სისუფთავის ფერია" შეარქვა. ქალი უცხო სახლებს პატრონების ნებართვის გარეშე ალაგებდა. ამჯერად, სამართალდამცავებმა დამნაშავე მაშინ გამოიჭირეს, როცა ერთ-ერთ სადარბაზოს, პატრონის დაუკითხავად, თოვლისგან წმენდდა. პოლიციელს უცნობი დამლაგებლის შესახებ მეზობლებმა მაშინ შეატყობინეს, როცა უორენი ნიჩბით ხელში დაინახეს. აღმოჩნდა, რომ „სისუფთავის ფერია" უკვე იყო ნასამართლევი — უცხო სახლში შეჭრისა და არასანქცირებული დასუფთავების გამო, ერთწლიანი პირობითი სასჯელი ჰქონდა შეფარდებული. ახლა კი, სიუზანს ერთწლიანი პატიმრობა ემუქრება. უორენის ვაჟმა პრესასთან საუბრისას განაცხადა, რომ წარმოდგენა არ აქვს, რატომ ასუფთავებს დედამისი უცხო ადამიანების სახლებს.

ჩინური კომბოსტო სიმსივნეს ებრძვის

სამხრეთ კორეელმა მეცნიერებმა გამოკვლევები ჩაატარეს და ჩინური კომბოსტოს უნიკალურ შემადგენლობაზე გაამახვილეს ყურადღება. ექსპერიმენტისას, 25 სახის კომბოსტოს ტესტირება მოხდა და შედეგად, აღმოჩნდა, რომ ჩინურ კომბოსტოში 14 ტიპის ანტიკანცეროგენული ნივთიერებაა. მათ შორის გლუცოსინოლატეს — რთული ორგანული ნაერთი. კიბოს უჯრედებზე ამ ნაერთების ზემოქმედების შემდეგ, სწავლულებმა დაადგინეს, რომ ის სიმსივნურ წარმონაქმნს ანადგურებს. აღსანიშნავია, რომ ერთი გრამი ჩინური კომბოსტო 2,3 მილიგრამ ამ სასწაულმოქმედ ნაერთს შეიცავს, გარდა ამისა, კომბოსტოში გლუკობრასიცინების შემცველობა, რომელიც სარძევე ჯირკვლის კიბოს წინააღმდეგ მოქმედებს, რამდენჯერმე მაღალია, ვიდრე ბროკოლში.

ელექტრონული სიგარეტი მავნეა

გერმანელი მეცნიერების ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დღეისთვის საკმაოდ პოპულარული და უსაფრთხოდ მიჩნეული ელექტრონული სიგარეტი, სინამდვილეში, ჩვეულებრივზე მავნეა. სწავლულების თქმით, პროპილენგლიკოლი, რომელსაც ელექტროსიგარეტში იყენებენ ნიკოტინის ასაორთქლებლად, სასუნთქი გზების გაღიზიანებას იწვევს, კარტრიჯები კი ისეთ კანცეროგენს შეიცავს, როგორიც ნიტროზამინია. გერმანელ მედიკოსებს ეთანხმებიან ამერიკელი სპეციალისტები. მათი გამოკვლევების შედეგად, დადგინდა მავნე ნივთიერებების არსებობა ელექტრონულ სიგარეტებში. გარდა ამისა, დღეს არ მიიჩნევენ სამედიცინო მოწყობილობად, რის გამოც, მათი რეგულირება ნიკოტინის შემცვლელის რანგში, შეუძლებელია, თუმცა ეს ყველაფერი არ არის: ელექტროსიგარეტში არსებული გამაცხელებელი ელემენტი, ნიკოტინის შემცველ სითხეს ორთქლად აქცევს, რასაც მერე ადამიანი შეისუნთქავს და მის ფილტვებში ხვდება. დღეს ასეთი სიგარეტის მოხმარება უკვე აკრძალულია აშშ-ს ზოგიერთ შტატში, ასევე ლიტვაში, თურქეთში, ნორვეგიაში, ურუგვაიში, ავსტრალიასა და ბრაზილიაში.

ჯინსი კლავიატურით

ჰოლანდიელმა დიზაინერებმა ერიკ დე ნიისმა და ტიმ სმიტმა კომპანიიდან Nieuwe Heren ჯინსები შექმნეს, რომელიც სამუშაო კლავიატურითაა აღჭურვილი, შარვლის ზედა ნაწილში მაუსი და ყურსაცვამები აქვს ჩამონტაჟებული. ხელით შექმნილი ჯინსი მომხმარებელს მოძრაობის თავისუფლებას ანიჭებს კომპიუტერთან მუშაობისას. შარვალი ჩვეულებრივ ჯინსზე ოდნავ მეტს იწონის, — აცხადებენ შემქმნელები. მათი განცხადებით, გამოგონების აზრი ისაა, მომხმარებელს თავისუფლად გადაადგილების საშუალება ჰქონდეს. ცოტა ხნის წინ კი, ერთმა ჰონდურასელმა ახალგაზრდამ კლავიატურა შექმნა, რომელიც თვალის მოძრაობით იმართება. ლუის ერნანდო კრუსის გამოგონება აშშ-სთვის შეიქმნა, სულ რაღაც, 300 დოლარად. მის ინტერფეისს თვალთვალის მარტივი მოწყობილობა აქვს — თვალის გუგა. ეს ტექნოლოგია, ახალგაზრდა გამომგონებლის თქმით, შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებს დაეხმარება.



ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
5 თებერვალი

ᲪᲕᲠᲘ — თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი დაბალ დონეზეა. არ არის გამორიცხული სკანდალი დიდი ხნის პარტნიორთან. კამათი ურთიერთობის გაწყვეტამდე მიგიყვანთ.

ᲙᲣᲠᲝ — შესაძლოა, ინტერესი გაგიჩნდეთ მისტიკისადმი, ფილოსოფიისა და კლასიკური ლიტერატურისადმი. შესანიშნავი დღეა შემოქმედებისთვის. ნუ გაუშვებთ ინიციატივას ხელიდან. ახლობლებისგან კი დახმარების იმედი ნუ გექნებათ — უველაფერი საკუთარი ხელით გააკეთეთ.

ᲪᲣᲙᲔᲜᲘ — დღეს, შესაძლოა, უსიამოვნო თავგადასავალი გადაგხდეთ, რაიმე კატასტროფაში მოუვეთ ან ავად გახდეთ. საკარაუდოა ახლობელ ადამიანთან დაკავშირებული პრობლემებიც. მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული, დამორდებით ერთმანეთს თუ გააგრძელებთ ურთიერთობას.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — დღეს რეალიზებულმა პროექტმა, შესაძლოა, საფუძვლიანად შეცვალოს თქვენი ცხოვრება, მაგრამ გვერდიდან დახმარებას ნუ დაელოდებით, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ. საღამოსთვის თავის ტკივილმა, შესაძლოა, მწუობრიდან გამოგიყვანოთ, ამიტომ სუბიეს დაისვენოთ და უარი თქვათ ვიზიტებზე ან სტუმრების მიღებაზე.

ᲚᲝᲛᲘ — თავიდან ჩაფიქრებული რომანტიკული ურთიერთობა მამაკაც ლომებს გაიტაცებს და სიყვარულის ქსელში გახვევს, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ ძალიან მალე, ეს აღფრთოვანება სასტიკი ეჭვიანობით შეიცვლება.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — ქალწულებისთვის საშიში დღეა. საკარაუდოა მტანჯველი თავის ტკივილი, მოწამვლა, ხანძარი. ასევე მსხვილი ფინანსური დანაკარგი. სამსახურში უსიამოვნებას რომ თავი აარიდოთ, არავის გაანდოთ თქვენი გეგმები ან პრობლემები. ეცადეთ, რაც შეიძლება ნაკლები გულდაა საუბარი გქონდეთ ადამიანებთან. ეურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს. ნუ იჩხუბებთ წვრილმანებზე — თქვენი დიდსულოვნება და მოთმინება სიმშვიდესა და სიმეუდროვეს შეინარჩუნებს ოჯახში.

ᲛᲬᲘᲠᲜᲘᲡᲘ — დღის პირველი ნახევარი უსიამოვნებებით აღინიშნება. შესაძლოა კონფლიქტი კოლეგებთან ან უფროსობასთან, ამიტომ მოთოკეთ ემოციები და მთელი ეურადღება სამუშაოზე გადაიტანეთ. მეორე ნახევარში შესაძლოა, მოულოდნელი წარმატება გეწვიოთ. თუ ასე მოხდება, შეეცადეთ, გამოიეენოთ მომენტი საკუთარი მდგომარეობის განსამტკიცებლად.

ᲦᲠᲘᲐᲜᲬᲐᲚᲘ — ეურადღებით იეავთ და ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, სუბიეს, დაიცადოთ. ვიღაც ისევ ცდილობს თქვენს ანერვიეულებას. თავი აარიდეთ ათასგვარ ჭორს და კონფლიქტური სიტუაციის განხილვისას, უდანაშაულო ადამიანს ნუ გაიცხავთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲕᲜᲘᲡᲘ — მშვილდოსანს დაძაბული დღე აქვთ. ამ ნიშნის წარმომადგენელ მამაკაცებს სკანდალი ან დიდი ხნის მეგობარ ქალთან ურთიერთობის გაწყვეტა ელით. არ არის გამორიცხული ტრავმები და გულის შეტევა. წარმატებული დღეა მშვილდოსანი–ქალებისთვის. კარსკვლავები მათ მოულოდნელ სიხარულს უქადიან სასიეარულო ურთიერთობებში.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — საკარაუდოა საეკარელ ადამიანთან ან ნათესავთან დაკავშირებული პრობლემები. საქმე, შესაძლოა, დიდ სკანდალამდე მივიდეს, ამიტომ ვიდრე რამეს მოიმოქმედებთ, ჯერ შელეგებზე დაფიქრდით. ოჯახში უთანხმოებამ, შესაძლოა, ნერვულ აშლილობამდე მიგიყვანოთ, სწორედ ამ დროს დაგჭირდებათ კონფლიქტების მოგვარების განსაკუთრებული უნარი.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — მერწეულებისთვის დღე ცხოვრებისეული იდეალებისა და პრინციპების დაცვას უკავშირდება. წარმატებული დღეა შემოქმედებით სფეროში დაკავებულებისთვის, რადგან მოულოდნელი წარმატება გელით. დღეს დიდსულოვნება უნდა გამოავლინოთ და შედარებით მეტი დრო დაუთმეთ თქვენს პარტნიორს, რადგან უეურადღებობა და ცივი დამოკიდებულება მომწიფებულ კონფლიქტს უკიდურესობამდე მიიყვანს.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗᲘ — თქვენთვის პასიური დღეა. არასასურველი პერიოდია სიახლეებისთვის, ცვლილებებისთვის, მოგზაურობისთვის. არ არის სასურველი, ასევე, ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება, სუბიეს, ცოტა დაიცადოთ. დღეისთვის ბავშვებთან ერთად სუფთა ჰაერზე გასეირნება, თხილამურებით სრიალი დაგეგმეთ. საღამო კი ერთგული მეგობრების წრეში გაატარეთ. დღის მეორე ნახევარში ცუდი განწყობაც გამოგიკეთდებათ. თქვენს სახლში კი კვლავ სიყვარული და სიმშვიდე დაისადგურებს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲘᲡᲐᲠᲓᲚᲐᲭᲔᲠᲐ

მარინა სალუქვაძე და ზაზა მარჯანიშვილი თბილისში ნიუორლეანურ კარნავალ „მარდი გრას“ მართავენ

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ

ე.წ. რიოს კარნავალი, რომელიც მსოფლიოს ყველაზე გრანდიოზულ, ლამაზ და ამავ-დროულად, ხმაურიან შოუდაა აღიარებული, მეჩვიდმეტე საუკუნეში, პირველად რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა და მას შემდეგ არაერთი ქალაქის ტრადიციად იქცა, თუმცა კარნავალით ყველაზე განთქმული მაინც რიო-დე-ჟანეირო, ვენეცია, ბაია და ნიუ ორლეანია.

ნიუ ორლეანი აშშ-ს ლუიზიანას შტატში ყველაზე დიდი ქალაქია, რომელიც მთელ მსოფლიოში ყველაზე მუსიკალურ მეგაპოლისად მიიჩნევა, ამიტომაც იქ ყოველწლიურად უამრავი ტურისტი ჩადის, განსაკუთრებით — საკარნავალო დღეებში. ამ ქალაქში კარნავალი „მარდი გრა“ ყოველ წელს, კათოლიკურ მარხვამდე ერთი კვირით ადრე იწყება და მარხვის, ასე ვთქვათ, დადგომისთანავე სრულდება, თუმცა კარნავალს რელიგიური საფუძველი არ აქვს და მორწმუნეთათვის დიდი მარხვის წინ, უბრალოდ, გართობის, ჭამისა და ალკოჰოლის მიღების საშუალებას წარმოადგენს. ამას კარნავალის სახელიც მოწმობს — „მარდი გრა“ ქართულად „მსუყე სამშაბათს“ ნიშნავს.

შეიძლება, უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მსოფლიოში სახელგანთქმულმა ნიუორლეანურმა „მარდი გრამ“ თბილისამდეც ჩამოაღწია. „ვერსიასთან“ ქართული „მარდი გრას“ ორგანიზატორმა, ტელეწამყვანმა მარინა სალუქვაძემ განაცხადა:

„ფესტივალი 8-დან 12 თებერვლამდე გასტანს. კარნავალი თბილისის ქუჩებში კოსტიუმირებული მსვლელობით დაიწყება, რის შემდეგაც, სალონ-რესტორან „ზაზანოვაში“ გადაინაცვლებს. ჩემი მეუღლე, მუსიკოსი ზაზა მარჯანიშვილი 18 წელი ნიუორლეანში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ამიტომაც, „ზაზანოვაში“ პატარა ნიუ ორლეანი მოვაწყვეთ — გარემოც ნიუორლეანურია და მრავალფეროვანი სამზარეულოც... ფესტივალის ფარგლებში რომა რცხილაძის, ნინო ქათამაძისა და მაია ბარათაშვილის საავტორო საღამოები გაიმართება. ასევე, დაგეგმილია ნიუორლეანური დელტა ბლუზისა და ჯაზური ბრასბენდის გამოსვლა, ზაზა მარჯანიშვილის საავტორო მუსიკის საპრემიერო კონცერტი და ა.შ. ფესტივალის დასკვნით საღამოზე კარნავალის მეფესა და დედოფალს ავირჩევთ. ნიღბები და სხვა აქსესუარები, რომლებიც ნიუ ორლეანიდან უკვე ჩამოგვივიდა, თითოეულ სტუმარს საჩუქრად გადაეცემა. გარდა ამისა, ყველა სტუმარი, ბილეთთან ერთად, საჩუქრად არაჩვეულებრივ სასმელს, სპეციალურად ამ ფესტივალისთვის დამზადებულ სამფეროვან, სამეფო ნამცხვარსა და ნიუორლეანურ დელიკატესებს მიიღებს. ასე რომ, თბილისელებსა და თბილისის სტუმრებს დაუვიწყარ კარნავალს ვპირდებით“.



იპოვეთ თქვენი www.versia.ge
ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com